


საქართველო

# ფიქსოფონა

საქართველო



ბიბი თევზაძე



გაკურ სულაკაურის  
ბაიბიძეძეობა

გიგი თევზაძე  
**საბოლოო ფილოსოფია**

რედაქტორი ანა ჭაბაშვილი  
დიზაინერი ია მახათაძე  
ყდის დიზაინერი გიორგი მალრაძე  
ტექნიკური დიზაინერი გიორგი კველიშვილი

© გიგი თევზაძე, 2017  
ყველა უფლება დაცულია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2017

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-805-5

Gigi Tevzadze  
**THE ULTIMATE PHILOSOPHY**

© Gigi Tevzadze, 2017  
All rights reserved

Published by Sulakauri Publishing  
Tbilisi, Georgia, 2017

**www.sulakauri.ge**

სად და რომელ მსჯელობაში შეიძლება გადაიკვეთოს პითაგორას, პლატონის, ეპიკურეს, ავგუსტინეს, ბუდას, დარვინის მემკვიდრეობა, თანამედროვე წარმოდგენები ადამიანის ევოლუციის და ფიზიოლოგიის შესახებ, რა მნიშვნელოვანი გზაწილები შეიძლება ამოვიკითხოთ ამ გაერთიანებაში ჩვენი განათლების და აღზრდის სისტემების მონყობისათვის და როგორ შეიძლება მივალწიოთ ბედნიერებას.



# სარჩევი

შესავალი .....	9
----------------	---

## ნაწილი I

ფილოსოფიის ღამე .....	15
-----------------------	----

პლატონური რევოლუცია: პლატონი VS პითაგორა – დღემდე უცნობი ბრძოლა ეპისტემოლოგიური პარადიგმის გამო .....	16
---	----

მარციანუს კაპელა პითაგორას წინააღმდეგ .....	31
---	----

შესავალი .....	32
----------------	----

შეცვლილი მომავალი .....	35
-------------------------	----

ევოლუციის კომუნიკაციური თეორია და ფილოსოფიური ტექსტები .....	47
---	----

თავისუფლება .....	54
-------------------	----

მარტოობა და სოციალური ქცევა .....	59
-----------------------------------	----

ფიზიკური რეალობა, როგორც პირველადი, როგორც მოქმედების წყარო და საფუძველი .....	60
---	----

განათლება პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით .....	66
--	----

შესავალი .....	67
----------------	----

სასკოლო განათლება .....	71
-------------------------	----

უმაღლესი განათლება .....	76
--------------------------	----

## ნაწილი II

ცნობიერების მიხედვით .....	83
----------------------------	----

არის თუ არა ბედნიერება ადამიანის მიზანი? .....	85
--	----

ეპიკურე და ასკლეპიადეს ბითინიელი – ინტერპრეტაციის ამოტრიალება .....	87
--	----

ჩვენი ტვინი და ჩვენი ცნობიერება .....	94
სიამოვნების გამომწვევი ნივთიერებების წარმოშობა ტვინში და მისი სოციალური პროექციები ...	100
ჰოვარდ გარდნერის მრავალი ინტელექტის თეორია.....	105
ადამიანის ქცევის ევოლუცია და ინტელექტის ორი ტიპი .....	109
იმპლიკაციები პოლიტიკური თეორიებისათვის .....	123
ორი ინტელექტის გარემოცვაში: როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები .....	127
სასწავლო სისტემა, როგორც ჰოვარტსის გამანაწილებელი ქუდი .....	131
საბოლოო სქემა: მომავლის სწავლებისა და სწავლის პრინციპები .....	137
თვითცნობიერება და თვითრეფლექსია.....	139
თვითრეფლექსიის ისტორია.....	143
პარადიგმის ცვლილება და თვითრეფლექსია .....	149
განათლების სისტემა თვითრეფლექსიისათვის .....	151

### ნაწილი III

<b>თვითრეფლექსიის სახელმძღვანელო</b> .....	155
თვითრეფლექსია, როგორც თეორია საკუთარი თავის შესახებ .....	157
„სიამოვნების ხე“ .....	160
სიამოვნების მდგრადობის შესაძლებლობა .....	162
სიამოვნების მიღება სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად .....	165

რამდენად შესაძლებელია ჩემთვის სიამოვნების მიღება ჩემთვის ზიანის მოუყენებლად .....	168
სიამოვნების ახალი ხის აუცილებლობა – გაუტამას ცხოვრება .....	171
როგორ შეიძლება ბედნიერება იყოს ნარმატების შემდგომი ცხოვრება .....	175
მითითებული ლიტერატურა .....	179





## შესავალი

ამ წიგნის საბოლოო ამოცანა, განსხვავებით XX და XXI საუკუნეებში დაწერილი წიგნებისაგან, რომელთა საგანიც ფილოსოფიაა, არის პრაქტიკული, ხელშესახები, ტექნოლოგიური (ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით) ცვლილებების გამოწვევა და ამ ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება. როგორც ტექსტში ნახავთ, არ არის არც ერთი მსჯელობა, რომელსაც მიზნად არ ჰქონდეს ძლიერი ცვლილების მოხდენა/გამოაშკარავება და არ ცდილობდეს მკითხველის დარწმუნებას ამ ცვლილების მნიშვნელოვნებასა და სიკეთეში, როგორც თვითონ მკითხველის, ასევე საზოგადოებისათვის. ამ წიგნის საბოლოო მიზანი არ არის ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების ახალი აღწერის შემოთავაზება. თუმცა ნახავთ, რომ შემეცნების ახალი აღწერა გამოყენებულია იმისათვის, რომ გამოაშკარავდეს არსებული მიმდინარე ცვლილებები, მოშორდეს დამაბნეველი საფარველი და დადგინდეს მომავალი ცვლილების კონტურები.

მკითხველმა არ უნდა ჩათვალოს, რომ ძლიერი ცვლილება არსაიდან ჩნდება. ძლიერი ცვლილების შესაძლებლობა ჩვენს გარემოში მის უკვე არსებობაშია. ტექსტში ნახავთ, რომ შემოთავაზებული აღწერის მიხედვით ჩვენ პარადოქსულ გარემოში ვცხოვრობთ: ერთი მხრივ, რადიკალური, მნიშვნელოვანი ცვლილება ჩვენ გარშემოა, უკვე არსებობს, ხოლო მეორე მხრივ, ის მაინც რეპრესირებულია, რადგანაც ის ენა, ცნებების ის კომპლექსი, ის პარადიგმა, რომლის გამოყენებითაც ამ გარემოს შესახებ ვლაპარაკობთ და ვმსჯელობთ, რომლის გამოყენებითაც შემოდის ჩვენი გარემო ჩვენს აღქმაში, ამ ცვლილების საწინააღმდეგოა და ფარავს მას.

ამ წიგნის პრაქტიკული მიზანი განათლებაა: შემეცნების სქემის და ცნობიერების შესახებ მსჯელობას პირდაპირ მიყვავართ

განხილვამდე, თუ როგორი უნდა იყოს განათლება იმ სამყაროში, სადაც დაფარული ცვლილებები, რომლებიც ჩვენს გარემოში უკვე არსებობს, ცხადი და საყოველთაო გახდება: როგორი უნდა იყოს განათლება, რომელიც ამ ცვლილების გამოაშკარავებას და ინტენსიფიკაციას შეუნყოფს ხელს.

ფილოსოფია ამ წიგნში გზა და მეთოდია დიდ კითხვებზე პასუხის გასაცემად და ამ პასუხისკენ მიმავალი ტექნოლოგიური გზების დასასახად. განსხვავებით დღევანდელი აკადემიური ფორმისაგან, ეს ფილოსოფია არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექსტების ანალიზით და მათი შინაარსების გადმოცემა-შეჯერებით; საბოლოო ფილოსოფიის მიზანი ტექნოლოგიური (ყველაზე ფართო აზრით) ცვლილების დაგეგმვაა ფილოსოფიის მეთოდების და მიდგომების გამოყენებით.

ეს წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი, რომელსაც, „ფილოსოფიის ღამე“ დავარქვი, ჰყვება უცნობი ბრძოლის ისტორიას, რომლის კვალიც ძველ ბერძნულ და ლათინურ ტექსტებში ვიპოვე და, როგორც გამოირკვა, რომლის შედეგმაც მთლიანად შეცვალა ჩვენი სამყარო, არა მარტო ტექსტები და მსჯელობები, არამედ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაც: იმოქმედა იმაზე, თუ როგორ ვიღებთ განათლებას, როგორ აღვიქვამთ გარემომცველ სამყაროს, ვის ვთვლით ჭკვიანად და ვის სულელად, რა მიზნები გვაქვს, როგორ ვუმკლავდებით ყოველდღიურ და არცთუ ისე ყოველდღიურ გამოწვევებს და ა. შ.

შესაბამისად, ამ წიგნის პირველ ნაწილში მსჯელობა ეხება არა მარტო იმ პარადიგმულ ცვლილებებს, რომელიც ძვ.წ.-მდე IV საუკუნეში დაიწყო და საბოლოოდ ახ.წ. V საუკუნეში ჩამოყალიბდა, არამედ, შესაძლებელ მომავალსაც, რომელიც, თუკი განხორციელდა, ისეთივე მნიშვნელოვან ცვლილებას მოახდენს ჩვენს სამყაროში, როგორც 15 საუკუნის წინ მოახდინა: შესაძ-

ლებელი ცვლილება იმოქმედებს არა მარტო ფილოსოფიის გაგებაზე, არამედ, შეცვლის განათლების არსებულ სისტემასაც. განათლების არსებული სისტემა, ამ წიგნის მიხედვით, იმ, საუკუნეების წინა ცვლილებას ეყრდნობა და აფერხებს არა მარტო ჩვენს პიროვნულ განვითარებას, არამედ, ჩვენი, როგორც სახეობის, ადამიანების ევოლუციასაც კი. ამ თავის სათაური ერთსა და იმავე დროს მიუთითებს იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ფილოსოფია და, შესაბამისად, აზროვნება მოექცა პარადიგმული ცვლილების განხორციელების შემდეგ და, ასევე, მომავალ გარღვევაზე, რომელიც შესაძლებელი გახდება, თუკი ძველ, უარყოფილ პარადიგმას გავაცოცხლებთ და ავამუშავებთ.

ამ წიგნის მეორე ნაწილი, „ცნობიერების მიხედვით“, არის მსჯელობა, გამომდინარე მეცნიერებათა თანამედროვე მონაცემებიდან და წარმოდგენებიდან. საბოლოოდ, მეორე ნაწილიც განათლების შესახებაა: რა არის ცნობიერება თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, როგორ მუშაობს ჩვენი ტვინი და სხეული და როგორ შეიძლება მოვანყოს მისი განათლება ისე, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ, როგორც კონკრეტული ადამიანის, ასევე, საზოგადოების შემთხვევაში. გარდა ამისა, ვიმედოვნებ, ეს ნაწილი მეტ-ნაკლებ სიცხადეს შეიტანს რამდენიმე დისკუსიაში საზოგადოების პოლიტიკური თუ სოციალური მოწყობის შესახებ.

მესამე ნაწილი „თვითრეფლექსიის სახელმძღვანელო“ არის მეგზური, წინა ორი ნაწილის დასკვნებზე დაყრდნობილი: რა უნდა გააკეთოს და როგორ უნდა იფიქროს თანამედროვე ადამიანმა იმისათვის, რომ მიაღწიოს ბედნიერებას. პასუხი არ არის არც ტრივიალური და არც ადვილად შესასრულებელი: ბუდიზმის და ეპიკურეზმის გადაკვეთაზე დაბადებული თვითრეფლექსიის მეთოდი აჩვენებს, რომ ბედნიერება წარმატების შემდგომი მდგომარეობაა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ

თვითრეფლექსიის ეს მეთოდი საყოველთაოა და ვფიქრობ, კარგ სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც ბედნიერების მიღწევა უნდა, ის განსაკუთრებით დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ წარმატებას უკვე მიაღწიეს.

შესაბამისად, ეს წიგნი უცნაური და უჩვეულო სტრუქტურისაა: ეს არის მსჯელობა, რომელიც გამომდინარეობს ბერძნული და ლათინური ტექსტებიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თანამედროვე წარმოდგენებიდან. თანამედროვე ტრადიციის მიხედვით, ფილოსოფიური წიგნი აქ უნდა დამთავრდეს. მაგრამ, ირკვევა, რომ ძველი ტექსტების ანალიზი, მეცნიერების მონაცემების გადამუშავება და ცნობიერების ახალი განსაზღვრება მხოლოდ ინსტრუმენტია, რომელსაც ტექნოლოგიურ, განხორციელებად შედეგებამდე მივყავართ. ამავე მსჯელობით მიღებული დასკვნების მიხედვით, ფილოსოფიური მსჯელობა, სამყაროს და შემეცნების აღწერა არ არის თავისთავადი ღირებულების მატარებელი და საბოლოო მიზანი, არამედ კონკრეტული, ტექნოლოგიური ცვლილებისკენ მიმავალ გზაზე წარმოშობილი იარაღია.

გამომდინარე ამ წიგნის ნაწილების სხვადასხვა მიზნებიდან, მეტ-ნაკლებად შეიძლება განვსაზღვრო ინტერესთა ის ჯგუფები, თუ ვისთვისაა ესა თუ ის ნაწილი განკუთვნილი:

პირველი ნაწილი, **ფილოსოფიის ღამე**, ფილოსოფიით და განათლების ფილოსოფიით დაინტერესებული მკითხველისთვისაა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაწილის ტექსტის კითხვა ფილოსოფიისადმი ინტერესს და ფილოსოფიური ტექსტების გამოცდილებას მოითხოვს, მე არ დავტვირთე ეს ნაწილი დიდი ისტორიული განხილვებით. თუკი მკითხველს ისტორიული კონტექსტი დააინტერესებს, ის ადვილად იპოვის სასურველ ლიტერატურას იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც წიგნის ბოლოშია მოთავსებული.

მეორე ნაწილი, **ცნობიერების მიხედვით**, უფრო პრაქტიკული გონების მკითხველებისთვისაა განკუთვნილი, მათთვის, ვისაც პრაქტიკული „ფილოსოფიები“ აინტერესებს. მეცნიერების თანამედროვე მონაცემების მიხედვით განხილულია, თუ რა არის ცნობიერება, როგორ მუშაობს და, რაც მთავარია, რას გვეუბნება ეს განხილვა ჩვენი საკუთარი თავის შესახებ. ამ ნაწილის ბოლოში, ისევე როგორც პირველი ნაწილის შემთხვევაში, მსჯელობაა, რომელიც გამომდინარეობს ცნობიერების შესახებ მიღებული დასკვნებიდან და აგებს სქემას, თუ როგორ უნდა მივცეთ განათლება ბავშვებს, იმისათვის, რომ მათ ბოლომდე შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების განხორციელება.

მესამე ნაწილი, **თვითრეფლექსიის სახელმძღვანელო**, ყველასთვისაა, მათთვის, ვისაც უნდა, მიიღოს სასარგებლო რჩევები ბედნიერების მისაღწევად. ცხადია, ეს ნაწილი მოგცემთ რჩევებს, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ წარმატებას სიამოვნებების გზაზე სიარულით. თუმცა, რჩევების და მეთოდის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთოთ წარმატების მიღწევის შემდეგ, რომ გახდეთ ბედნიერი. ეს ნაწილი გირჩევთ, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ თქვენი ცნობიერება ისე, რომ თქვენთვის ბედნიერება შესაძლებელი გახდეს. ბედნიერების მიღწევა რთული გადაწყვეტილებებით აღსავსე ცხოვრებაა, რომელიც სიამოვნებების მიღებაზე გადის.

დაბოლოს – წიგნის სათაურის შესახებ: ცხადია, ეს არის არისტოტელეს „პირველი ფილოსოფიის“ უკუღმა ციტირება, მაგრამ არა მარტო: ამ წიგნში განხორციელებული მსჯელობა ემყარება იმედს და მიზანს, რომ ფილოსოფიის რამდენიმესაუკუნოვანი სიდუხჭირე გადაიღახება და ფილოსოფია, როგორც აზროვნების წესი, დაუბრუნდება იმ გზას, რომელსაც შექმნის/იდენტიფიკაციის დროს დაადგა: როდესაც სამყაროს სურათები, რომლებიც მით უფრო სწრაფად ცვლის ერთმანეთს, რაც

უფრო იზრდება ჩვენ მიერ ამ ცოდნის გამოყენება, ჩვენი ცნობიერებისათვის გახდება მხოლოდ მიზნისაკენ მიმავალი გზის საფეხურები, და არა საბოლოო მიზანი, როგორც ეს დღესაა.

**შენიშვნა:** წიგნის ყოველი თავის წინ, ისევე როგორც XIX საუკუნეში და უფრო ადრე გამოცემულ ლიტერატურაში, არის ამ თავის შინაარსის მოკლე აღწერა. ეს კითხვის გაადვილებისთვისაა: თუკი მკითხველს არ მოუნდება დასაბუთების გრძელ და მისთვის მოსაწყენ გზას გაჰყვეს, რომელიც ხანდახან მეტად პროფესიულ დეტალებში გადაიზრდება, ან ისედაც ეთანხმება მსჯელობის შედეგს და არ უნდა, რომ დრო დაკარგოს, მას შეუძლია, მხოლოდ ამ მოკლე შინაარსით დაკმაყოფილდეს და გადავიდეს შემდეგ თავზე.

ნაწილი I

ფილოსოფიის დამა



## **პლატონური რევოლუცია: პლატონი VS პითაგორა – დღემდე უცნობი ბრძოლა ეპისტემოლოგიური პარადიგმის გამო**

ის, თუ როგორ ვიმეცნებთ სამყაროს, სულაც არ არის თავისთავად ცხადი და უალტერნატივო. ამ თავში მკითხველი ნახავს, რომ სამყაროს შემეცნების ის წესი, რომელსაც დღეს მივდევთ და რომლის მთავარი აზრი ბოლომდე შეუცნობელი სამყაროს შეცნობაა, სულაც არ არის უპირობო და რომ ამ წესის დადგენა პლატონმა დაიწყო. ამ თავში მკითხველი აღმოაჩენს, რომ პლატონის დიალოგები სულაც არ არის გადაღეჭილი და ბოლომდე გადამუშავებული ტექსტები და რომ მათში დღესაც შეიძლება ახალი ცოდნის პოვნა: ირკვევა, რომ პლატონის ცხოვრების საქმე პლატონის დროს უკვე გარდაცვლილ პითაგორასთან კამათი და პითაგორას ფილოსოფიის ჩანაცვლება იყო. პლატონის დიალოგების და სხვა შემორჩენილი წყაროების ანალიზით დგინდება, რომ პითაგორა, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, უამრავ სიახლესთან ერთად შექმნა სიტყვა „ფილოსოფია“, სამყაროს შემეცნებასა და ცოდნის შექმნაში სხვა შინაარსს დებდა, ვიდრე ჩვენ დღეს: სამყაროს შემეცნება და სამყაროს სურათის შექმნა პითაგორასათვის იყო არა შემეცნების საბოლოო მიზანი, არამედ ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც მომუშავე ტექნოლოგია უნდა შექმნილიყო, რომელიც, თავის მხრივ, ცვლიდა არსებულ რეალობას და სამყაროს ამრავალფეროვნებდა. პითაგორასთვის სამყაროს სურათს მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, თუკი მისი გამოყენებით წარმატებული ტექნოლოგია ინერგებოდა (ამის ყველაზე კარგი მაგალითი პითაგორას მათემატიკაა, რომელიც წარმატებით ახდენს იმპლემენტაციას არქიტექტურასა თუ სხვა გამოყენებით

სისტემებში). შესაბამისად, პითაგორას მიხედვით, შემეცნების აუცილებელი მიზანი იყო ტექნოლოგიური ინოვაციების გზით რეალობის შეცვლა. როგორც ჩანს, პითაგორას ეს ფილოსოფია იმდროინდელ სამყაროს აღქმასთან თანხვედრაში იყო და პითაგორას ფილოსოფია საკუთარი სამყაროს კანონის დამდგენად/გამხმომავნებლად ითვლებოდა. პლატონმა, როგორც ჩანს, მიზნად დაისახა, შემეცნების ეს პარადიგმა შეეცვალა სხვა, საკუთარი პარადიგმით, რომლის მიხედვითაც შემეცნების მიზანი იქნებოდა არა რეალობის შეცვლა, იმპლემენტაცია, არამედ სამყაროს სურათის შექმნა, ხოლო ტექნოლოგიური სიახლე – სამყაროს სურათის შექმნის გვერდითი, უმნიშვნელო შედეგი. ამ მსჯელობის და მიღებული დასკვნის ამოსავალია კარგად ცნობილი ფაქტი, რომ სიტყვა *filia* ძველ ბერძნულში ნიშნავდა მეგობრობას, თანაბრობას, ურთიერთგაცვლას, შეყვარებულებს შორის ურთიერთობას და არა მიუღწევლისკენ სწრაფვასა და ლტოლვას, როგორც დღეს გვეგონია. პლატონის დიალოგების ანალიზი ცხადყოფს, როგორ ცდილობს პლატონი პითაგორასეულ „*filosofia*“-ს (სიბრძნესთან, ცოდნასთან მეგობრობას) მნიშვნელობა შეუცვალოს და *filia* ჩაანაცვლოს *eros*-ით, ანუ სიბრძნესთან მეგობრობა აქციოს სიბრძნისკენ სწრაფვად, ლტოლვად.

ყველამ იცის პლატონის „ნადიმის“ მნიშვნელობა პლატონის ფილოსოფიის გაგებისათვის: ეს ის დიალოგია, სადაც პლატონი ფილოსოფიას განსაზღვრავს, როგორც სიბრძნის სიყვარულს, სიბრძნისაკენ სწრაფვას. სადაც სიბრძნე განსაზღვრულია, როგორც სიკეთე, ხოლო ფილოსოფოსი, ანუ ის, ვისაც სიბრძნე უყვარს, ამ სიკეთისკენ მიმართული, სიკეთისადმი სიყვარულით აღვსილი ადამიანი. ვინც ოდნავ მაინც მიახლოებია პლატონის ფილოსოფიას, ყველამ იცის, რომ პლატონის მიხედვით ფილო-

სოფოსი არის ის არასრულყოფილი არსება, რომელიც აცნობიერებს თავის არასრულყოფილებას და ამიტომ მიისწრაფვის სიბრძნისაკენ. ამავე ფორმულას ეხმიანება სოკრატეს ცნობილი გამოთქმა „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. „ნადიმში“ პლატონი ბრძენი (სავარაუდოა, ქურუმი) ქალის, დიოტიმას პირით ამბობს, რომ ფილოსოფოსი არის ის, ვინც არც ბოროტია და არც კეთილი, რომელიც ვნებით არის აღვსილი სიბრძნის მიმართ და ესწრაფვის მას.

თითქოსდა ყველაფერი ცხადია და გასაგები. ყველამ ვიცი, რომ სიტყვა „ფილოსოფია“ სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს, შესაბამისად, როცა სხვადასხვა ენაზე თარგმანებში ვკითხულობთ, რომ ფილოსოფოსი არის ის, ვისაც სიბრძნე უყვარს, არაფერი არ გვეხამუშება და არც უნდა გვეხამუშებოდეს. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე, როდესაც იმავე ადგილის ბერძნულად წაკითხვას შევეცდებით (Plat. Sym. 204 a b):

τίνας οὐκ, ἔφη, ἐγώ, ἢ Διοτίμα, οἱ φιλοσοφοῦντες, εἰ μήτε οἱ σοφοὶ μήτε οἱ ἀμαθεῖς; δῆλον δῆ, ἔφη, τοῦτό γε ἦδη καὶ παιδί, ὅτι οἱ μεταξὺ τούτων ἀμφοτέρων, ἄν ἂν εἴη καὶ ὁ Ἔρως. ἔστιν γὰρ δῆτῶν καλλίστων ἢ σοφία, Ἔρως δ' ἔστιν ἔρως περὶ τὸ καλόν, ἄσπε ἀναγκαῖον ἔρωτα φιλόσοφον εἶναι, φιλόσοφον δὲ ὄντα μεταξὺ εἶναι σοφοῦ καὶ ἀμαθοῦς.

„Who then, Diotima,' I asked, 'are the followers of wisdom, if they are neither the wise nor the ignorant?' „Why, a child could tell by this time,' she answered, 'that they are the intermediate sort, and amongst these also is Love. For wisdom has to do with the beautiful things, and Love is a love directed to what is beautiful; so that Love must needs be a friend of wisdom, and, as such, must be between wise and ignorant (ჰაროლდ ფოულერის თარგმანი).

მაშ ვინლაა, დიოტიმა, – ვკითხე, – სიბრძნის ტრფიალი, რაკი ის არც ბრძენთ უყვართ, არც უმეცართა? – ბავშვიც კი მიხვდება, – მომიგო, – რომ სწორედ ის, ვისაც საშუალო ადგილი

უჭირავს ამ ორთა შორის, ეროსიც ერთი მათაგანია. სიბრძნე ხომ უმშვენიერეს ფენომენტა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო ეროსი მშვენიერებისადმი სიყვარულია, მაშასადამე, ეროსს უეჭველად უყვარს სიბრძნე და, ამდენად, საშუალო ადგილი უჭირავს ბრძენსა და უმეცარს შორის (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

– Так кто же, Диотима, – спросил я, – стремится к мудрости, коль скоро ни мудрецы, ни невежды философией не занимаются? – Ясно и ребенку, – отвечала она, – что занимаются ею те, кто находится посредине между мудрецами и невеждами, а Эрот к ним и принадлежит. Ведь мудрость – это одно из самых прекрасных на свете благ, а Эрот – это любовь к прекрасному, поэтому Эрот не может не быть философом, то есть любителем мудрости, а философ занимает промежуточное положение между мудрецом и невеждой (ალექსანდრ ლოსევის თარგმანი).

სამივე თარგმანში მთარგმნელები ერიდებიან სიტყვა „ფილოსოფოსების“ (φιλοσοφούντες) გამოყენებას და თარგმნიან ასე: „სიბრძნისკენ მიმსწრაფნი და „სიბრძნის მიმდევრები“. არადა, ბერძნულ დედანში გარკვევით წერია „ფილოსოფოსები“ (φιλοσοφούντες). ამავე აბზაცში ეროსი გაიგივებულია ფილოსოფოსთან "Ἐρως δ' ἐστὶν ἔρως περὶ τὸ καλόν, ὥστε ἀναγκαῖον ἔρως φιλόσοφον εἶναι, φιλόσοφον δὲ ὄντα μεταξὺ εἶναι σοφοῦ καὶ ἀμαθοῦς. and Love is a love directed to what is beautiful; so that Love must needs be a friend of wisdom, and, as such, must be between wise and ignorant. სიბრძნე ხომ უმშვენიერეს ფენომენტა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო ეროსი მშვენიერებისადმი სიყვარულია, მაშასადამე, ეროსს უეჭველად უყვარს სიბრძნე და, ამდენად, საშუალო ადგილი უჭირავს ბრძენსა და უმეცარს შორის. а Эрот – это любовь к прекрасному, поэтому Эрот не может не быть философом, то есть любителем мудрости, а философ занимает промежуточное положение между мудрецом и невеждой, თუმცა, მთარგმნელე-

ბი, როგორც ვხედავთ, კვლავ ერიდებიან სიტყვა „ფილოსოფიის“ გამოყენებას და კვლავ „სიბრძნის მოყვარულად“, „სიბრძნის მეგობრად“, ან „სიბრძნის მიმდევარად“ თარგმნიან სიტყვა „ფილოსოფოსს“. თუმცა, სხვა პარაგრაფებში, სადაც ერთად არ იყენებენ „ფილოსოფიას“ და „სიყვარულს“, *philosophia* ჩვეულებრივად ითარგმნება, როგორც „ფილოსოფია“ (210d);

ცხადია, უნდა დავფიქრდეთ იმის შესახებ, თუ რა ინვესს ამ მთარგმნელობით უხერხულობას: ვფიქრობ, მსჯელობის ამოსავალი იმ ორ სიტყვაშია, რომლებიც ბერძნულიდან თარგმანებში უპირობოდ გადმოდის როგორც „სიყვარული“: *philia* და *eros*. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პლატონის ამ დიალოგში ფილოსოფია განმარტებულია, როგორც სიბრძნის სიყვარული მაგრამ ეს სიყვარული არის არა *philia*, არამედ *eros*.

სხვა ადგილას, ამავე დიალოგში, სოკრატე ამბობს (177d): „მე არაფერი ვიცი სიყვარულის ხელოვნების გარდა“ (ὄς οὐδὲν οἶμι ἢ ἄλλο ἐπίστασθαι ἢ τὰ ἔρωτικά.. I set up to understand nothing but love-matters.. ისედაც ხომ სულ იმას გავიძახი, ეროტიკის გარდა ამქვეყნად არა გამეგება-მეთქი. раз я утверждаю, что не смыслю ни в чем, кроме любви). სრულიად გაუგებარი და სოკრატესთვის მოულოდნელი განაცხადია: სოკრატე არა სიბრძნის მოყვარედ, არამედ სიყვარულის ხელოვნების მცოდნედ აცხადებს თავს. რიივის შესანიშნავ სტატიაში (Reev, 2014), რომელიც დაბეჭდილია სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედიაში, განმარტებულია ეს მოულოდნელი ადგილი. რიივის აზრით, ეს ადგილი უნდა გავიგოთ, როგორც არსებითი სახელისა *erōs* (სიყვარული) და ზმნის *erōtan* (კითხვების დასმა) ფსევდოეტიმოლოგიური დაკავშირება, რაც, ასევე, კრატილოსშიც გვხვდება (*Cratylus*. 398c5-e5). კავშირი ცხადია: კითხვების დასმა – სიყვარულის ხელოვნება – სიბრძნის სიყვარული. „ნადიმის“ პერსონაჟი სოკრატე ამბობს (და არა წერს) ერთ სიტყვას, ხოლო მსმენელს

მიენოდება ორი მნიშვნელობა: „სიყვარულის ხელოვნება“ და „კითხვების დასმის ხელოვნება“.

მაგრამ ამით ეს ძიება არ მთავრდება: კვლავ უპასუხოა კითხვა, თუ რატომ არ იყენებს პლატონი სიტყვა *philia*-ს ფილოსოფიის (ჩვენ როგორც ვიცით, სიბრძნის სიყვარულის) განსამარტავად და რაში სჭირდება საექვო ეტიმოლოგიის *eros/erotan* გათამაშება, თუკი ჩვენ ყველამ ვიცით, რომ „ფილოსოფია“ „სიბრძნის სიყვარულს“ ნიშნავს? ანდა, რაში სჭირდება პლატონს ისეთი პრობლემური დებულების მოფიქრება, რომ „სიყვარული არის სიბრძნის მეგობარი“?

ამ კითხვებზე პასუხი, არც ისე შორს პლატონის ტექსტებიდან, არისტოტელეს „ნიკომახეს ეთიკაშია“. ყველამ ვიცით, რომ ნიკომახეს ეთიკაში არისტოტელე დაწვრილებით აღწერს *philia*-ს და საბოლოოდ, *philia*-ს რამდენიმე სახეს გვთავაზობს. ესენია (Hughes. p. 168): *philia* ახალგაზრდა შეყვარებულებს შორის (1156b2), სამარადჟამო მეგობრებს შორის (1156b12), პოლიტიკურ ან ბიზნესმოკავშირეებს შორის (1158a28), ბავშვებსა და მშობლებს შორის (1158b20), მოგზაურებსა და ჯარისკაცებს შორის (1159b28), რელიგიური საზოგადოების წევრებს შორის (1160a19), ტომის წევრებს შორის (1161b14), ხელოსანსა და ნახელავის მყიდველს შორის (1163b35).

„ნიკომახეს ეთიკის“ მკვლევარები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ *philia* არისტოტელესთან ორმხრივია, გულისხმობს ორი, მეტ-ნაკლებად თანაბარი მხარის ორმხრივ ურთიერთობას: „საბოლოოდ, სიყვარული და მეგობრობა არისტოტელესთან უნდა გავიგოთ, არა როგორც გამომდინარე ვალდებულება და ნათესაობაზე დამყარებული, არამედ, როგორც ალტრუისტული სწრაფვა, რომელიც, როდესაც პოულობს პასუხს, მიდის იმ მდგომარეობამდე, რომელსაც არისტოტელე, და ბერძნები ზოგადად, *philia*-ს უწოდებდნენ“ (Konstan, 2008).

ვფიქრობ, ცხადია, რომ *philia* ანტიკურ საბერძნეთში არ ნიშნავდა სიყვარულს იმ აზრით, რა აზრითაც პლატონი იყენებს სიტყვა *eros*-ს. *philia* ნიშნავს უფრო მეგობრობას, შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში, სიყვარულსაც (Aristot. Nic. Eth. 1156b2; 1158b20) და, რაც მთავარია, განსხვავებით პლატონის *eros*-ისგან, *philia* ნიშნავს ორ სუბიექტს შორის თანაბარ ურთიერთობას. სიყვარულის შემთხვევაში, *philia* არის სიყვარული, რომელიც ორ სუბიექტს შორის ორივეს აქვს ერთმანეთის მიმართ. *Eros*-ი, *philia*-სგან განსხვავებით, როგორც ვნახეთ, არის შეყვარებულის მისწრაფება, ლტოლვა, დაუძლეველი სურვილი შეუცნობლის შეცნობისაკენ. და რაც მთავარია, ის ცალმხრივი მისწრაფებაა – სიკეთისა და მშვენიერის შეცნობისაკენ, იმის მხრიდან, ვინც ბოროტებასა და სიკეთეს შუაა. *Eros* – არის გრძნობა, რომელიც ერთს ახასიათებს.

როგორც ჩანს, „ნადიმში“ პლატონი ცდილობს, სიტყვა „ფილოსოფიას“ შინაარსი შეუცვალოს და „სიბრძნესთან მეგობრობა“ გადააქციოს „სიბრძნის სიყვარულად“. ვერ იტყვი, რომ მას ეს არ გამოუვიდა: ცნება „ფილოსოფიის“ დღევანდელი ინტერპრეტაცია მთლიანად პლატონის „ნადიმისეულია“. მაგრამ იყო თუ არა ყოველთვის ასე? სავარაუდოა, რომ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პლატონს არ დასჭირდებოდა დიდი ძალისხმევა ამ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლისათვის.

სანამ ამ ცნების ისტორიულ ანალიზს დავიწყებდეთ, უნდა ვნახოთ, ხომ არ არის პლატონის სხვა დიალოგებში რაიმე, რაც ამ კვლევის მიმართულების სწორ არჩევანს დაადასტურებს. რაიმე ტექსტი მაინც უნდა იყოს, რომელიც მიუთითებს პლატონის სურვილზე, ფილოსოფია ისე იყოს გაგებულნი, როგორც მას უნდა: სიბრძნისკენ სწრაფვად და ცალმხრივ ვნებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი ანალიზი ყოვლად დაუსაბუთებელ წარმოდგენად ჩაითვლება.

ასეთი ტექსტი მართლაც არსებობს: პლატონის დიალოგი „ლისისი“, რომელიც კლასიფიკატორების მიერ ადრეულ პერიოდში დაწერილად მიიჩნევა, თითქმის მთლიანად ცნება *philia*-ს განხილვას ეძღვნება. დიალოგის ფაბულა ასეთია: სოკრატე ხვდება ჰიპოთალესს და კტესიპუსს. საუბარში ირკვევა, რომ ჰიპოთალესს უყვარს 10-12 წლის ბიჭი, სახელად ლისისი, მაგრამ ვერ ახერხებს მისთვის სიყვარულის ახსნას. სოკრატე სთავაზობს, აჩვენოს, თუ როგორ უნდა ელაპარაკოს ბიჭს, რომ თავი შეაყვაროს. მთელი დიალოგი არის *philia*-ს შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს ცნება, რა ურთიერთობას აღნიშნავს, ვინ მონაწილეობს *philia*-ში. სოკრატე და მისი მოსაუბრეები მიდიან რამდენიმე დასკვნამდე, რომლებსაც ამავე მსჯელობაში უარყოფენ (Lysis. 211e-223b): ა) *philia* შესაძლებელია მსგავს ადამიანებს შორის (შეუძლებელია იმიტომ, რომ მსგავსებს არაფერი სჭირდებათ ერთმანეთისგან), ბ) *philia* შესაძლებელია არამსგავს ადამიანებს შორის (შეუძლებელია იმიტომ, რომ არამსგავსმა არ იცის, რა უნდა უნდოდეს არამსგავსისგან), გ) *philia* შესაძლებელია ორს შორის, რომელთაგანაც ერთი არც ბოროტია და არც კეთილი, ხოლო მეორე – კეთილი (შეუძლებელია, იმიტომ, რომ კეთილს არაფერი სჭირდება იმისგან, ვინც კეთილს და ბოროტს შორისაა) და დ) *philia* შესაძლებელია მხოლოდ სულით ნათესავებს შორის (შეუძლებელია, იმიტომ, რომ თუ ისინი სულით ნათესავები არიან და არიან ერთნაირები, მაშინ მათ ერთმანეთისაგან არაფერი უნდათ, ხოლო თუ არ არიან ერთნაირები, მაშასადამე, ერთი მათგანი ბოროტებასთან ახლოს უნდა იყოს და *philia*, როგორც მხოლოდ სიკეთისკენ მიმართული, შეუძლებელია). დიალოგის ბოლოს სოკრატე ამბობს, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთის მეგობრებად თვლიან თავს, მაინც არ იციან, რას ნიშნავს *philos* (მეგობარი) (Lysis 223b).



როგორც ვხედავთ, „ლისისი“ დანერვილია იმისათვის, რომ დადგინდეს სიტყვა *philia*-ს უაზრობა, „მეტაფიზიკური შეუძლებლობა“: პლატონი, ცხადია, ვერ უარყოფს ან აკრძალავს სიტყვას, მაგრამ ცდილობს, დაანახვოს მკითხველს ამ სიტყვის წინააღმდეგობრიობა და მისი შეუსაბამობა რეალობასთან: „ლისისში“ დიალოგი მიმდინარეობს ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როგორც, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს სიტყვა *philia* და ყველა შემთხვევაში ნაჩვენებია, რომ ამ სიტყვის შესაძლო შინაარსი წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან და, შეიძლება ითქვას, აუქმებს საკუთარ თავს.

ბუნებრივია, უნდა ვიკითხოთ, რაში სჭირდებოდა პლატონს ეს გრძელი მოგზაურობა სიტყვა „ფილოსოფიის“ მნიშვნელობის შესაცვლელად? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოდნის (სიბრძნის) ორ გაგებასთან, რომელიც ანტიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა:

სიტყვა „ფილოსოფიის“ გამოგონებას პითაგორას მიაწერენ (Diogenes Laërtius 1. 12, 8.8). პითაგორას შესახებ არსებული ცნობების მხოლოდ ნახევარიც რომ მართალი იყოს, ის მაინც რჩება მისი პერიოდის ბერძნული კულტურის კანონის შემქმნელად. პითაგორას, გარდა სიტყვა „ფილოსოფიის“ გამოგონებისა, მიაწერენ, რომ ის იყო პირველი, ვინც თქვა, რომ დედამიწა მრგვალია და ბრუნავს მზის გარშემო, შექმნა სულთა გადასახლების თეორია, მათემატიკური თეორიები (მათ შორის პითაგორას თეორემა), შეადგინა პირველი განათლების თეორია და განათლება მჭიდროდ დაუკავშირა სახელმწიფოს მოწყობას, შექმნა სფეროთა მუსიკის თეორია, რომელსაც საფუძვლად დაუდო ციური სხეულების მოძრაობის მათემატიკური გაანგარიშებები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მედიცინის განვითარებაში, პირველმა დაიწყო ლაპარაკი სამყაროს მოწყობის კანონებზე, პითაგორასვე მიაწერენ სიცოცხლის ევოლუციის მსგავს პირ-

ველ იდეას, პირველს თუ არა, ერთ-ერთ პირველ ფილოსოფიურ სკოლას და ა.შ. მისი გავლენა ბერძნულ და, შემდგომ, დასავლურ კულტურაზე ძალიან დიდია – დანყებული მათემატიკით და დამთავრებული არქიტექტურის კანონით (Carpenter, 1966).

შესაძლებელია თუ არა ვიმსჯელოთ, რა შინაარსს დებდა პითაგორა სიტყვა „ფილოსოფიაში“? დიოგენე ლაერტელთან ვკითხულობთ, რომ პითაგორას ეკუთვნის გამოთქმა: *κοινὰ τὰ φίλικα εἶναι καὶ φιλίαν ἰσότητα* „მეგობრებისათვის ყველაფერი საერთოა და მეგობრობა თანასწორობაა“ (Diogenes Laërtius 8, 1. 10). ლაერტელის ამავე ტექსტიდან ჩანს, რომ პითაგორა მეგობრობის ცნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (Diogenes Laërtius 8, 1. 15, 33).

თითქოს ცხადია, რომ, როდესაც პითაგორამ თავის საქმიანობას „ფილოსოფია“ დაარქვა, მას სიბრძნესთან (ცოდნასთან) მეგობრობა, მეგობრობაში ერთ დონეზე ყოფნა, საერთოობა, ურთიერთგაცვლა უნდა ეგულისხმა. რას შეიძლება ნიშნავდეს მეგობრობა ცოდნასთან მიმართებაში?

თუკი პითაგორას შესახებ ამბებს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მისი საქმიანობა შეიძლება აღინეროს, უპირველეს ყოვლისა, როგორც ცოდნის შექმნა, კონსტრუირება. მის მიერ განვითარებული მათემატიკა სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს აღწერის ერთ-ერთი საშუალება, ერთ-ერთი ენა. სავარაუდოა, რომ ამ ფაქტის გაცნობიერებამ და ასე აზროვნებამ მიიყვანა პითაგორა იდეამდე, რომ ცოდნა (სიბრძნე) არის არა სადღაც – ბუნებაში, ბუნების მიღმა – არამედ, კონსტრუირდება უკვე არსებულ ცოდნებზე დაყრდნობით და უკვე არსებულ ცოდნებთან (სიბრძნესთან) მიმართებაში.

ამიტომ პითაგორასთვის მისი მოქმედების აღმწერი სიტყვა სწორედ „ფილოსოფია“, ანუ სიბრძნესთან მეგობრობა უნდა ყოფილიყო: როდესაც სუბიექტი არსებულ ცოდნასთან მეგო-

ბრობს, ამრავლებს მას და თვითონაც იზრდება/ზრდენდება არსებული ცოდნის გამრავლებით. ამიტომ ის, ვინც მეგობრობს ცოდნასთან, ანუ სიბრძნესთან, ფილოსოფოსია: თანაბარი სიბრძნესთან, რომელსაც სიბრძნესთან ყველაფერი საერთო აქვს და მეგობრობაში სიბრძნის თანასწორი. ის, რომ პითაგორელები ამბობდნენ, რომ ზეციური მუსიკა არსებობს, ეს ალბათ, პლატონის ეპისტემოლოგიური პარადიგმის გამარჯვებას უნდა მივანეროთ. ამის შესახებ, მოგვიანებით.

სავარაუდოა, რომ პითაგორას მიერ დადგენილ ფილოსოფიას, რომელიც ერთსა და იმავე დროს მაღალი თეორიისა და პრაქტიკული გამოყენების (მაგ., არქიტექტურაში) ნიმუში იყო, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბერძნულ კულტურაში. პითაგორას წვლილის ცოდნით თუ ცოდნის გარეშე ჩვენს დღევანდელ კულტურაში ახალი ცოდნის შექმნა პითაგორასეული ფილოსოფიით ხდება, ანუ არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით, არსებული ცოდნის და ახალი ცოდნის მაკონსტრუირებლის გამდიდრების (სიბრძნის მატების) ორმხრივი პროცესით. ამ კუთხით თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ პითაგორა, ამავე დროს, ცოდნის პირველი თეორიის შემქმნელია: მისი ფილოსოფიის მიხედვით, ცოდნა კონსტრუირდება და რეკონსტრუირდება ადამიანების მიერ, რომლებიც მიმართულები არიან ცოდნის გამრავლება-განვითარებისაკენ.

სოკრატე პითაგორას გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ დაიბადა. მისი მიდგომა არსებული ცოდნის შესახებ რეფლექსიით სოციალური ქეშმარიტების მიღწევა იყო. როგორც ჩანს, სოკრატე ჯერ კიდევ პითაგორას მიერ დადგენილ სააზროვნო ველში ცხოვრობდა და პითაგორას ტრადიციის შესაბამისად მოქალაქეობის შესახებ აზროვნებდა. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში, პითაგორა უპირობოდ იყო მიჩნეული ბერძნული ინტელექტუალური კანონის ავტორად. დიოგენე ლაერტელი

წერს, პლატონმა დიდი თანხა გადაიხადა პითაგორას სამი წიგნის შესაძენად.

სავარაუდოა, რომ პლატონმა გადაწყვიტა, პითაგორას ადგილი დაეკავებინა: მათი ბიოგრაფიებიც რომ შევადაროთ, ვნახავთ, რომ პლატონის ბიოგრაფია პითაგორას როლური მოდელის განმეორების მცდელობაა, სხვა მხარეში იდეალური სახელმწიფოს მოწყობის და წარუმატებლობის ჩათვლით. ვფიქრობ, სწორედ აქ შეიძლება გაივლოს სადემარკაციო ხაზი სოკრატესა და პლატონის სწავლებებს შორის, მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა.

ის სტილიც, რასაც პლატონი მიმართავს „ნადიმის“ სტრუქტურის ასაწყობად, პითაგორაზე მიუთითებს: პითაგორაზე ამბობდნენ, რომ მან ბევრი რამ ისწავლა ეგვიპტელი და ბაბილონელი ქურუმებისაგან და ასევე, იმასაც, რომ მის სახელს, პითიას, შეუცდომელი წინასწარმეტყველის სახელი უდევს საფუძვლად. სოკრატეც „ნადიმში“, პლატონის ეპისტემოლოგიური თეორიის ღერძს სიბრძნის სიყვარულის შესახებ ქურუმი ქალის, დიოტიმას ნათქვამად გადმოსცემს.

როგორც ჩანს, პლატონის პროექტის მთავარი ღერძი იყო არა მარტო სხვა ეპისტემოლოგიური მოდელის აგება, არამედ პითაგორას ეპისტემოლოგიური მოდელის მთლიანად ჩანაცვლება. განსხვავებით ზემოთ აღწერილი პითაგორული ეპისტემოლოგიური მოდელისაგან, ყველამ ვიცით, რას ემყარება პლატონის ეპისტემოლოგია: სიბრძნე (იდეალური ცოდნა) არსებობს სადღაც, ფიზიკური სამყაროს მიღმა და ყოველი ახალი ცოდნა არის ამ იდეალურ ცოდნასთან დაახლოება და მისი ნაწილის გადმოტანა ჩვენს სამყაროში. იდეალური ცოდნის დაუფლება შეუძლებელია, მაგრამ ამ ცოდნას მუდმივად უნდა ვუახლოვდებოდეთ. ამიტომ, პლატონის შემთხვევაში, ფილოსოფია არის სიბრძნის (იდეალური ცოდნის) სიყვარული, ვნება,

როდესაც ეს სიყვარული და ვნება მხოლოდ იმას ახასიათებს, ვისაც ახალი ცოდნის მოპოვება სურს.

განსხვავება პითაგორულ და პლატონურ ეპისტემოლოგიებს შორის, ვფიქრობ, თვალსაჩინოა: პლატონური ეპისტემოლოგია გვეუბნება, რომ ცოდნა არსებობს სადღაც (ბუნებაში, კოსმოსში, ბუნების მიღმა), რომ მას კონკრეტული ფორმა აქვს და ფილოსოფოსის ამოცანაა, ეს ცოდნა რაც შეიძლება ზუსტად დაინახოს და გადმოსცეს. პითაგორული ეპისტემოლოგია კი ამბობს, რომ სამყარო არაფერ შუაშია, ცოდნა (სიბრძნე) არის სამყაროს აღწერისა და ამ აღწერის გამოყენების გამოგონება: ისევე როგორც მათემატიკა არ არსებობს ბუნებაში, მაგრამ მათემატიკურად აღიწერება სამყარო და მათემატიკის გამოყენება სასარგებლოა ყველა საქმიანობაში.

დიალოგებში „ლისისი“ და „ნადიმი“ პლატონი ნელ-ნელა, მეთოდურად უცვლის სიტყვა ფილოსოფიას მნიშვნელობას და პითაგორულ ეპისტემოლოგიას საკუთარით ანაცვლებს: ჯერ ამტკიცებს, რომ ცნება „მეგობრობა“ თავის თავში წინააღმდეგობრივია და ამიტომ მისი გამოყენება, გარდა ყოველდღიური ენისა, არ შეიძლება („ლისისი“). შემდეგ შემოაქვს სიბრძნის სიყვარულის, სიბრძნისაკენ სწრაფვის, ლტოლვის ცნება და ასე ადგენს ცოდნის მოპოვების ახალ პარადიგმას („ნადიმი“).

ამ ფონზე პლატონის „სახელმწიფოს“ მე-ნ თავში მოთხრობილი გამოქვაბულის მითი უნდა წავიკითხოთ არა მხოლოდ, როგორც ჭეშმარიტების ძიების სოციალური ალეგორია, არამედ, როგორც არსებულ ეპისტემოლოგიურ მოდელთან დაპირისპირებული ახალი მოდელი, რომელიც ცოდნის ახალ განსაზღვრებას ახდენს და, ფაქტობრივად, ობიექტური ცოდნის არსებობის თეორიას უყრის საფუძველს. შესაბამისად, პლატონის გამოქვაბულის მითი, ალბათ, უნდა გავიგოთ, არა მხოლოდ როგორც ჰაიდეგერისეული, ადამიანის ყოფნისკენ სწრაფვის გამოთავი-

სუფლების ალეგორია (Mincă. 2015), ან როგორც ჭეშმარიტების ძებნაში სიზუსტეზე ორიენტაციის დადგენა (Philippoussis, 1976): ჰაიდეგერი თავისი ტექსტის „პლატონის სწავლება ჭეშმარიტების შესახებ“ დასკვნით ნაწილში წერდა, რომ „ამბავი გამოქვაბულის ალეგორიით გვიყვება იმას, რაც, სინამდვილეში, ახლაც და ყოველთვის ხდება კაცობრიობის იმ ნაწილში, რომელიც დასავლეთში ჩამოყალიბდა: ადამიანი ფიქრობს, რომ ჭეშმარიტების არსი ყველა არსებულის რეპრეზენტაციის „იდებთან“ მიმართებით სიზუსტეშია და ყველაფერს არსებულს აფასებს „ღირებულებებთან“ მიმართებით. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა იდეები ან რა ღირებულებებია ესენი, არამედ ის, რომ რეალურის გადმოცემა უპირობოდ ხდება „იდების“ მიხედვით და „მსოფლიო“ უპირობოდ იზომება „ღირებულებების“ მიხედვით“ (Heidegger. 1962). როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, „გამოქვაბულის მითი“, უპირატესად, ახალი ეპისტემოლოგიური თეორიის დადგენას ემსახურება, ალეგორიულად გვიხსნის, გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტება, სიბრძნე, ცოდნა, ადამიანს გარეთაა და ადამიანმა ის უნდა მოძებნოს, სწვდეს, მოიპოვოს და ა.შ.

პითაგორას და პლატონის ეპისტემოლოგიებს შორის განსხვავება არ არის ტრივიალური: მით უმეტეს, არ არის ტრივიალური, თუკი დავუშვებთ, რომ გვიან მოდერნამდე ცოდნა პლატონის პარადიგმით, ანუ ჭეშმარიტების გარეთ (ბუნებაში, კოსმოსში) ძებნით ვითარდებოდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა განვითარება ექნებოდა, როგორც ჰაიდეგერი ამბობს, „კაცობრიობის დასავლეთის ნაწილს“, ძირითადი მამოძრავებელი იდეა რომ ყოფილიყო არა პლატონისეული, ცოდნის და ჭეშმარიტების ძიება, არამედ, პითაგორასეული, ცოდნის და ჭეშმარიტების შექმნა.

როგორც ჩანს, პლატონური რევოლუცია წარმატებით

დასრულდა: ცოდნის პითაგორასეული პარადიგმა მთლიანად ჩაანაცვლა პლატონურმა პარადიგმამ. ის, რომ არისტოტელე ეპისტემოლოგიის პლატონისგან განსხვავებულ ვერსიას ავითარებს, სულაც არ ნიშნავს, რომ ის პლატონური პარადიგმის გარეთაა: არისტოტელეც, ისევე როგორც პლატონი, ამბობს, რომ ცოდნა (ჭეშმარიტება) ობიექტურად არსებობს, როგორც *οὐσία πρῶτη* და *οὐσία δευτέρα* (მატერია და ფორმა). არისტოტელეს მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, იმ ტექსტების მიხედვით, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ინტელექტს შეუძლია, მხოლოდ სწვდეს მატერიას და ფორმას. ეს კი, პრინციპულად, პლატონის მიერ დადგენილი ეპისტემოლოგიის ჩარჩოში დარჩენაა. თუმცა, „ნიკომახეს ეთიკაში“, philia-ს შესახებ დანვრილებითი მსჯელობა შეიძლება იმას მიუთითებდეს, რომ არისტოტელე ფიქრობდა პითაგორას მოდელის შესახებაც.

სავარაუდოა, რომ პითაგორას პარადიგმის პლატონის პარადიგმით ჩანაცვლებაში ლომის წილი ქრიასტიანობისაა, რაკი მისთვის, როგორც პოლიტიკურად, ასევე ინტელექტუალურად, ძალიან მოხერხებული იყო პარადიგმა, რომელიც ბოლომდე მიუწვდომელი ჭეშმარიტების ობიექტურ არსებობას ამტკიცებდა, რითაც ადვილი ხდებოდა ერთი ჭეშმარიტების და ერთი ღმერთის გაიგივება.

ის, რომ ცოდნა კონსტრუირებულია და კონსტრუირდება, ფილოსოფიისათვის XIX და XX საუკუნეებში გახდა ცხადი (Kuhn, 1962). სავარაუდოა, რომ ამის გაცნობიერებას და თემატიზებას ხელი შეუწყო ტექნოლოგიურმა რევოლუციამ (როდესაც ცოდნის ობიექტი ბუნებაში კი არ არის მოცემული, არამედ ადამიანის მიერაა შექმნილი), თუმცა ესეც სხვა მსჯელობის თემაა. ამ ტექსტის ამოცანა იყო, მიგვეთითებინა იმ შესაძლებელი პარადიგმული ცვლილების შესახებ, რომლებიც პლატონმა განახორციელა პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმის წინააღმდეგ.

## მარცნიანუს კაპელა პითაგორას წინააღმდეგ

ამ თავში აღწერილია პლატონის მიერ პითაგორასეულ პარადიგმასთან ბრძოლის გაგრძელება ადრეულ შუა საუკუნეებამდე და პლატონის პროექტის გამარჯვება. განხილულია V საუკუნის ავტორის, მარცნიანუს კაპელას ტექსტი „ფილოლოგიის და მერკურის ქორწინების შესახებ“: ეს ტექსტი გადმოგვცემს შუა საუკუნეების ევროპის განათლების კანონს. ამ ტექსტში აღწერილი პრინციპებით იყო მოწყობილი განათლების სისტემა უნივერსიტეტების შექმნამდე და არა მარტო: გამოყენებით და ფუნდამენტურ მეცნიერებათა დაყოფას სწორედ ამ წიგნით ჩაეყარა საფუძველი. როგორც ჩანს, პლატონისა და პითაგორას პარადიგმების ბრძოლა V საუკუნემდე მაინც გრძელდებოდა. შემეცნების პითაგორასეულ პარადიგმას (ცოდნის მოპოვების სურვილი – გამოცდილება – სამყაროს სურათი – იმპლემენტაცია) პლატონის პარადიგმა უპირისპირდებოდა (ცოდნის მოპოვების სურვილი – გამოცდილება – სამყაროს სურათი), სადაც იმპლემენტაცია სამყაროს სურათის გვერდითი შედეგი იყო. არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, რომ არა ქრისტიანობის პოლიტიკური გამარჯვება, რომელმაც დაინახა საკუთარი მოძღვრების შესაბამისობა პლატონის ფილოსოფიასა და პლატონის ეპისტემოლოგიურ პარადიგმასთან: ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის შეუცნობლისკენ მარადიული სწრაფვა ბევრად უფრო ნაცნობი და ახლობელი იყო, სადაც ბოლომდე შეუცნობელი სამყაროს ხატი ადვილად ნაცვლდებოდა ბოლომდე შეუცნობელი ღმერთით, ვიდრე შემეცნების ის პარადიგმა, რომლის მიხედვითაც სამყაროს სურათები მხოლოდ ინსტრუმენტები და წარმატებული იმპლემენტაციის მისაღწევი გონებრივი კონსტრუქტები



იყო. საბოლოოდ, პლატონის პარადიგმის გამარჯვებამ ტექნოლოგიური განვითარების შეფერხებაც გამოიწვია: ანტიკურ პერიოდში შეუდარებლად მეტი ტექნოლოგიური გამოგონებაა, ვიდრე შუა საუკუნეებში, ახალ დრომდე. არისტოტელეს მოძღვრების პოპულარიზაციამ, ბეკონისა და ჰუმბოლდტის მიერ მეცნიერების მეთოდოლოგიის დახვეწამ და ექსპერიმენტულად ქცევამაც ვერ აგვარიდა პლატონისეულ პარადიგმას, იმდენად, რამდენადაც ექსპერიმენტი/დაკვირვება უზენაესი მიზნის – სამყაროს სურათის მართებულობის დამტკიცება/უარყოფისათვის გამოიყენებოდა. ვითარება იცვლება XVIII საუკუნის შემდეგ, როდესაც ევროპაში მოხდა ტექნოლოგიური რევოლუცია. ტექნოლოგია, როგორც ძალაუფლების და სიმდიდრის წყარო, კვლავ გახდა მოქმედების მიზანი. თუმცა დღესაც, აშკარა ცვლილებების მიუხედავად, პლატონისეული და მარციანისეული პარადიგმები კვლავ განმსაზღვრელად და ცოდნის კანონის დამდგენად გვევლინება. ტექნოლოგიური განვითარების შეფერხებამ ადამიანის, როგორც სახეობის, ევოლუციაც კი შეაფერხა.

## შესავალი

როგორც უკვე ვთქვი, ძნელია ვივარაუდოთ, რა მოხდებოდა, პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმა პლატონს რომ არ ჩაენაცვლებინა და შემდგომ ქრისტიანობას არ გაემყარებინა: ტექნოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების რა საფეხურზე ვიქნებოდით, თუკი გვეცოდინებოდა, რომ ჭეშმარიტება იქმნება და არა იძებნება.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდებოდა ჭეშმარიტების შემონმება/დადგენის პარადიგმაში: პლატონის რევოლუციის შემდეგ ჭეშმარიტების საზომი მსჯელობა (ტექსტი) გახდა. თუკი ჭეშმარიტება მიუღწეველია, მაშინ, რამდე-

ნად ახლოს ვართ ჭეშმარიტებასთან, ადგენს მსჯელობა. ხოლო, მსჯელობას, რომელიც ადგენს სხვა მსჯელობის/დებულების სიახლოვე/სიშორეს ჭეშმარიტებასთან, ინტერპრეტაცია ჰქვია.

პითაგორას ეპისტემოლოგია, როგორც ჩანს, ამის საპირისპიროდ, ეფუძნებოდა ჭეშმარიტების შემონმებადობის, გაკეთების იდეას: ანუ პითაგორას ვერსიაში ჭეშმარიტების (ცოდნის) ჭეშმარიტება მსჯელობას კი არა, ამ ცოდნის გამოყენებადობას, გამოდგომას და იმპლემენტაციას უნდა დაედგინა. პითაგორას მათემატიკაც სწორედ იმპლემენტაციის, და არა ინტერპრეტაციის, კარგი მაგალითია.

იმპლემენტაცია, დანერგვა, არის გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული მოდელის რეალობად ქცევა, ინტერპრეტაცია – მსჯელობის საფუძველზე არსებული მსჯელობის სიზუსტე/მართებულობის დამტკიცება. ინტერპრეტაცია გულისხმობს, რის ინტერპრეტაციაც ხდება, იმის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის სადღაც არსებობას და ცდილობს მიუახლოვდეს მას. იმპლემენტაცია გულისხმობს რეალობის კეთებას და გაკეთებულის შემონმებას ისევ და ისევ რეალობით, ყოველგვარ მიღმურ ჭეშმარიტებებზე ორიენტირების გარეშე.

ცხადია, იკითხავთ: რა განსხვავებაა? განა ჩვენც ასე არ ვცხოვრობთ? განა ჩვენც ასე არ ვაკეთებთ სულ, კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში? განა ჩვენი მეცნიერები ჯერ – ჭეშმარიტების [კი ბატონო, ნაწილს] სწვდებიან და შემდეგ ახდენენ მათ დანერგვა/იმპლემენტაციას რეალობაში? არამც და არამც. განსხვავება ძირეულია. ქვემოთ შევეცდები, სქემატურად წარმოვადგინო, რა განსხვავებაა ამ ორ პარადიგმას შორის:

პლატონის პარადიგმა ამბობს, რომ ჭეშმარიტებას უნდა სწვდე, და ეს არის უმაღლესი ღირებულება. ნვდომის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენება რეალობაში შესაძლებელია,

მაგრამ ეს არ არის ცოდნის მაძიებლის უმაღლესი მიზანი. ანუ ინტერპრეტაციაა უმაღლესი მიზანი, იმპლემენტაცია კი – ამ მიზნის მიღწევის გვერდითი, არცთუ ისე აუცილებელი შედეგია. კარგად რომ დაფიქრდე, მიხვდები, რომ თანამედროვე მეცნიერების მთელი რიგი დარგები სწორედ ასეა ორგანიზებული და რომ საუკუნეების განმავლობაში ცოდნის მოპოვება და შემდეგ მისი გამოყენება ამ სქემით მიმდინარეობდა.

პითაგორას პარადიგმა კი გვეუბნება, რომ, ცხადია, ინტერპრეტაცია გარდაუვალია, იმდენად, რამდენადაც ჩვენ გვჭირდება გავიგოთ, რას გვაძლევს ჩვენი გამოცდილება, მაგრამ ცოდნის მოპოვების საბოლოო მიზანი და საზომი მისი განხორციელებაა. განხორციელება და გამოყენება გვეუბნება, რამდენად სწორი იყო ის სამუშაო, რომელიც ჩავატარეთ და რამდენად ღირებულა ის ცოდნა, რომელიც მოვიპოვეთ.

მამასადამე, პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმა ასე გამოიყურება: ცოდნის მოპოვების სურვილი – გამოცდილება – ინტერპრეტაცია – იმპლემენტაცია. ხოლო, პლატონის ეპისტემოლოგია კი ასე: ცოდნის მოპოვების სურვილი – გამოცდილება – ინტერპრეტაცია. პლატონის ეპისტემოლოგიაში ცოდნის მოპოვება ინტერპრეტაციით მთავრდება: მიღებული ცოდნის (ქეშმარიტებასთან მიახლოების) გამოყენება/დანერგვა და ამ დანერგვის საზღვრები ცოდნის მფლობელის საქმეა. ცოდნის ფორმულირებით/მიღებით მთავრდება პლატონის ფილოსოფოსის მიერ ქეშმარიტების წვდომის კონკრეტული პროცესი. პითაგორას ცოდნის მოდელში კი გამოყენებადობა, უფრო ზუსტად, წარმატებული გამოყენებადობაა მიზანი და საზომი. შესაბამისად, პითაგორას ფილოსოფოსი მიღებული, კონსტრუირებული ცოდნის გამოყენებით, იმპლემენტაციით ასრულებს კონკრეტული ცოდნის მიღების პროცესს.

ვფიქრობ, ცხადია ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც ამ

ორ პარადიგმას შორისაა: ერთი, რომელიც არ ანიჭებს მნიშვნელობას ქვეშარიტების რეალობით შემონმებას და მთელი ღირებულება მსჯელობით შემონმებაში გადააქვს, და მეორე, რომლისთვისაც ცოდნის ღირებულება მისი განხორციელებით განისაზღვრება.

ვფიქრობ, ესაა ის განსხვავება, რომელიც საფუძვლად დაედო ანტიკური საბერძნეთისა და რომის ტექნოლოგიურ წარმატებას და ქრისტიანული კულტურის/ცივილიზაციის ტექნოლოგიურ და მეცნიერულ სიდუხჭირეს შუა საუკუნეებიდან ახალ დრომდე. ყველაზე უფრო მარტივი ძებნითაც წაანყდებით, რომ წყლის ბორბალი, ოდომეტრი, მალვიძარა, ანტიკურ საბერძნეთშია გამოგონებული და დღესაც იყენებენ. თუ ამას დავუმატებთ არქიტექტურას, მათემატიკას, ძველი რომის დროინდელ გამოგონებებს მშენებლობაში (ბეტონი, გზები, ტაძრები), საომარ მანქანებს, წიაღისეულის მოპოვების ხერხებს და ასე შემდეგ (James... 1995), ცხადი გახდება, რომ ევროპულ შუა საუკუნეებში, საბეჭდი მანქანის გამოგონებამდე, არც არაფერი მომხდარა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როდესაც ვიყენებ ცნებას „პითაგორას პარადიგმა“, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პითაგორამდე არაფერი იყო და პითაგორამ გამოიგონა ცოდნის მოპოვების და იმპლემენტაციის (ფილოსოფიის) ეს წესი. უფრო ზუსტი და ადეკვატური იქნება, თუკი ვიტყვით, რომ მან აღწერა ის წესი, რომელიც არსებობდა მის დროინდელ საბერძნეთში და თეორიული ფორმა მისცა მას.

ძნელია იმსჯელო იმის შესახებ, თუ შემეცნების რომელი წესი შეესაბამება „უფრო“ ადამიანის ბუნებას. თუმცა, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ცხადია ის ცვლილება, რომელიც ქრისტიანობის, ჯერ რომის იმპერიის მთავარ, ხოლო შემდეგ ერთადერთ რელიგიად ქცევამ გამოიწვია.

## შეცვლილი მომავალი

რომ შევადაროთ ანტიკური და რომაული ხანის ცოდნა ევროპის შუა საუკუნეებში წარმოშობილ ცოდნას, ვნახავთ, რომ ევროპის შუა საუკუნეები, ე.წ. რენესანსის პერიოდამდე, უიმედოდ „აგებს“ ანტიკურ პერიოდთან: ის მცირე რაოდენობის ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებიც მეოთხე და მეხუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნემდე ჩნდება ევროპაში, ან შემოტანილია აღმოსავლეთიდან (სადაც, მაგალითად, ჩინეთში, ტოტალური იზოლაციის პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე, განვითარება ტექნოლოგიაზე, რეალობის შექმნაზე ორიენტაციით ხდებოდა), ან – ანტიკურ პერიოდში გამოგონილ ტექნოლოგიებს ემყარება.

ცხადია, ევროპის ტექნოლოგიურ „ჩავარდნას“ მხოლოდ პარადიგმულ ცვლილებას ვერ დავაბრალებთ: ეს ტექნოლოგიური ჩავარდნა და შემდგომი აღმავლობა, რომელმაც XV საუკუნეში გუტენბერგის დაზგამდე მიიყვანა ევროპა (Frugoni... 2003), ასევე ემთხვევა მცირე გამყინვარების (როდესაც ევროპაში ძალიან აცივდა და საკვების მოპოვება პრობლემური გახდა) და მცირე დათბობის პერიოდებს (Storm.. 2007). თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თეოლოგიას და ფილოსოფიას ამ „გამყინვარების პერიოდში“ არ ჰქონია განვითარების პრობლემები: ავგუსტინე, ბოეციუსი, ერუგენა, ფსევდოდიონისე არეოპაგელი და სხვები – ეს ის მოაზროვნეები არიან, რომლებიც პლატონური პარადიგმის მიხედვით ავითარებდნენ აზროვნებას, როგორც ინტერპრეტაციას და ჭეშმარიტებასთან მიახლოებას (Armstrong.. 1967).

კიდევ ერთხელ განვმარტავ, რას ნიშნავს ეს: მაგალითად, როდესაც ავგუსტინე, ან რომელიმე სხვა, ადრეული შუა საუკუნეების მოაზროვნე მსჯელობს ისტორიის, ჭეშმარიტების, საღვთო ქალაქის შესახებ, ის ცდილობს გაიგოს, როგორ არის სამყარო მონყობილი და რას ნიშნავს ღვთიური ჩანაფიქრი.

მისი მსჯელობა უნდა იყოს თანხვედრაში იმ ტექსტებთან, რომლებიც აღიარებულია ავტორიტეტებად. შესაბამისად, ამ მოაზროვნების მოქმედება აღინერება, როგორც სამყაროს ინტერპრეტაცია, სადაც იმპლემენტაცია ან შემთხვევითია, ან საერთოდ არ არსებობს.

მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპული რენესანსი პითაგორას პარადიგმასთან დაბრუნებას კი არ უკავშირდება, არამედ პლატონური პარადიგმის გავრცელებას: კარლოს დიდმა VIII საუკუნის ბოლოს (787 წ.) ყველა სააბატო დაავალდებულა, გაეხსნათ სკოლები (Orme...2006). ამ სკოლებში სწორედ პლატონის პარადიგმის მიხედვით ხდებოდა ახალი ცოდნის შექმნა. რენესანსიც, რომელიც მკვლევრების მიერ მიჩნეულია ადრეული შუა საუკუნეებისაგან პრინციპულად განსხვავებულად, სხვა არაფერი იყო, თუ არა ანტიკური საბერძნეთისა და რომის ტექსტების შემოყვანა კულტურაში, ანუ ინტერპრეტაციის პარადიგმის გაფართოება და გამდიდრება ავტორიტეტების გამრავლების გზით.

სწორედ პლატონური პარადიგმის გამო ტექნოლოგიური განვითარება ევროპაში დაუკავშირდა ვაჭრებს და ხელოსნებს და დაკარგა კავშირი ცოდნის შექმნასთან, ვაჭრებს – როგორც ტექნოლოგიების შემომტანებს/ჩამომტანებს მოგზაურობებიდან, ხოლო ხელოსნებს, როგორც იარაღების მკეთებლებს ყოველდღიური საქმიანობისათვის (Sebaslia.. 2016). საყურადღებოა, რომ ლეონარდო და ვინჩის ძალიან ცოტა ტექნოლოგიური გამოგონება დაინერგა, მაშინ, როდესაც მისი სამუშაო, რომელიც ინტერპრეტაციული იყო (მხატვრობა), აღიარებული და დაფასებული იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი ვინმე ჰგავს პითაგორას საქმიანობით, ინტერესებით და ბიოგრაფიით, ეს ლეონარდო და ვინჩია.

ცხადია, შუა საუკუნეებში იყენებდნენ ანტიკურ საბერძნეთ-

სა და რომში დაგროვილი იმპლემენტირებულ ცოდნას, მაგრამ ძალიან მცირე დოზებით ხდებოდა მისი განვითარება და ახალი ცოდნის იმპლემენტაცია.

ამიტომ, როდესაც ევროპის ისტორიის შესახებ ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე გვაქვს შეცვლილ მომავალთან: ევროპის მომავლის შეცვლა დაიწყო მას შემდეგ, რაც კონსტანტინე დიდმა ქრისტიანი პატრიციების დახმარებით მოიპოვა იმპერატორის ტახტი და რის გამოც ქრისტიანულ რელიგიას პრივილეგიები მიენიჭა – რომის გადაცემის ჩათვლით (თევზაძე... 2013). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, იწყება ქრისტიანი იერარქების მიერ პოლიტიკურ აღმატებულობაზე ზრუნვა, რისთვისაც მათ სჭირდებოდათ იდეოლოგიური დასაყრდენი, რომელიც ევროპის წარსულს და მომავალს გააერთიანებდა. ეს საყრდენი არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაში რელიგიის მთავარ პრინციპთან – რომ ღმერთი უმაღლესი ღირებულებაა და რომ მისი შემეცნება ბოლომდე შეუძლებელია. არა მგონია, რომ პირველი ქრისტიანები ტექნოლოგიის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ, მით უმეტეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მათი ძირითადი ბირთვი პატრიციების წრიდან იყო. უბრალოდ, პლატონის ფილოსოფიისა და რელიგიის დაკავშირებამ ძალაუფლების მოპოვების მიზნით საკუთარი „ლოგიკური“ მსხვერპლი მოითხოვა: შესაბამისად, ის ყველაფერი, რაც დაკავშირებული, ან ოდნავ დაკავშირებული იყო სანაღმდეგო მსოფლმხედველობასთან, უარყოფილი იქნა, მათ შორის – ისეთი ცოდნის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც შეეძლო მოეხდინა მნიშვნელოვანი და რეალობის შემცვლელი იმპლემენტაციები.

კიდევ ერთხელ განმარტებისათვის: ტექნოლოგიების განვითარების, როგორც ცოდნის ძირითადი ღერძის უარყოფა, მომდინარეობს არა ქრისტიანობის შინაარსიდან, არამედ,

ქრისტიანობის ადეპტების მცდელობისაგან, ეჩვენებინათ კავშირი წარსულთან და ამით მოეპოვებინათ გავლენა მთელ კულტურულ არეალზე. ის, რომ შემდგომ ტექნოლოგიების და, უფრო ზუსტად, ცოდნის, როგორც იმპლემენტაციის პარადიგმის უარყოფა მოხდა, ეს ზემოხსენებული კავშირის ძალაუფლების მექანიზმებით გავრცელების შედეგია: თუკი რამე ეწინააღმდეგება ცენტრალურ იდეოლოგიას, ის უნდა დაისაჯოს. სხვანაირად ძალაუფლება ვერ დამყარდება.

შუა საუკუნეებში ცოდნის შექმნა/შესწავლა მთლიანად პლატონური პარადიგმის მიხედვით ვითარდებოდა: მარციანუს კაპელა (V საუკუნე, ახ. წ. აღ.), რომელმაც ცოდნის შვიდი დარგი აღწერა (გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა, გეოგრაფია, ასტრონომია, არითმეტიკა, მუსიკა), ნეოპლატონელი ფილოსოფოსი იყო. ეს შვიდი ხელოვნება მოგვიანებით ბოეციუსმა დაყო ტრიუმად (გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა) და კვადრიუმად (გეოგრაფია, ასტრონომია, არითმეტიკა, მუსიკა). მარციანუსის წიგნი ძალიან პოპულარული იყო ევროპაში და საფუძვლად ედო შუა საუკუნეების განათლების სისტემას უნივერსიტეტების წარმოშობამდე, თუმცა, უნივერსიტეტების წარმოშობის შემდეგაც, ცოდნის შესახებ წარმოდგენა – მარციანუსის წიგნის *De nuptiis Philologiae et Mercurii* (ფილოლოგიის და მერკურის ქორწინების შესახებ) მიხედვით ვითარდებოდა. საგულისხმოა, რომ, როდესაც დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემია დააარსა, XII საუკუნეში, იქაც სწავლება მარციანუსის და ბოეციუსის პრინციპების მიხედვით მიმდინარეობდა (ყაუხჩიშვილი... 1948).

მარციანუსის წიგნი საინტერესოა სწორედ პლატონური პარადიგმის გავრცელება/კანონად ქცევის თვალსაზრისით: როგორც ეს სათაურიდან ჩანს, წიგნი ალევგორიული სტილითაა დაწერილი. წიგნის ფაბულაა: მერკურს/ჰერმესს, რომელიც



ინტელექტის, გზავნილის მომტანის და მოგების ძიების ალეგორიაა, ფილოლოგია, ანუ სწავლა (სიტყვის სიყვარული), ცოლად მოჰყავს.

საინტერესო ისაა, რომ წიგნის სიუჟეტი ზედმინევნით ზუსტად მიჰყვება პლატონის ეპისტემოლოგიური პარადიგმის დაცვის სტრატეგიას: მერკურის ვერ მოჰყავს ცოლად სიბრძნე (Sophia), წინასწარმეტყველება/ჭვრეტა (Mantice) და სული (Psyche). მერკური იწყებს აპოლონის ძებნას, გზად ციური სხეულების მუსიკას მოუსმენს, პოულობს აპოლონს, რომელიც მართავს ციური სხეულების მუსიკას და, აპოლონის რჩევით, ცოლად მოჰყავს ფილოლოგია (სწავლა). იუპიტერი და სხვა ღმერთები თანხმდებიან, რომ ჰერმესის, როგორც ღვთიური ძალისა და ფილოლოგიის, როგორც მინიერი ძალის, კავშირი სასურველია და ისინი ანიჭებენ ფილოლოგიას უკვდავებას. ფილოლოგია სწვდება ერთის იდეას, რომელიც ღმერთებსა და ცაზე მაღლაა და წმინდა ცოდნას წარმოადგენს. ქორნილის დროს პატარძლის მეგობრები არიან შვიდი უკვდავი და ორი მოკვდავი ხელოვნება: უკვდავები – გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა, გეოგრაფია, ასტრონომია, არითმეტიკა, მუსიკა და მოკვდავები – არქიტექტურა და მედიცინა. ამ ორი უკანასკნელის გარდა ყველა ხელოვნება ჰყვება საკუთარი თავის შესახებ. არქიტექტურა და მედიცინა, როგორც უკიდურესად მინიერი დარგები, ღმერთებისვე გადანყვეტილებით, ჩუმად არიან.

ბევრი დაფიქრება არ უნდა, რომ მარცხიანუსის ტექსტში ცოდნა, სწავლა (ფილოლოგია) ხდება განმარტებითი, განმარტებასთან დაკავშირებული – მას მერე, რაც ცოდნა (ფილოლოგია) გარდაუვალად და ღმერთების კანონით, უკავშირდება განმარტებას (ჰერმესს). ამავე გადანყვეტილებით, იმპლემენტაციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო – მედიცინა და არქიტექტურა – ცხადდება მინიერად და ყველაზე უფრო დაბალ

ხელოვნებებად. ეს გასაგებია და აგრეთვე, გასაგებია ნეოპლატონური ერთის იდეის შემოყვანა თხრობაში. მარციანუსის რელიგიური კუთვნილება უცნობია, თუმცა, როგორც ჩანს, ერთის იდეის განვითარება, რომელიც ყველა ღმერთზე მაღლაა, იყოს ის, რაც, უკვე უმეტესწილად ქრისტიანულ სამყაროში, მისი ტრაქტატის გავრცელებას უზრუნველყოფდა.

მაგრამ, გარდა ზემოთქმულისა, ამ ტექსტში არის მნიშვნელოვანი ხაზი, რომელიც პლატონის „ნადიმთან“ გვაბრუნებს და გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მარციანუსი შეიძლება იყოს საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე თამაშის „პლატონი versus პითაგორა“ მონაწილე: ჰერმესი/მერკურის საცოლის ძიების გზა აპოლონზე გადის. აპოლონი, როგორც ცნობილია, იყო მუსიკის, ცოდნის (ზოგიერთი ვერსიით – მეცნიერების) მკურნალობის, სინათლისა და ჭეშმარიტების ღმერთი. ჰერმესი აპოლონის, ანუ ჭეშმარიტების, სინათლის ძიებით მოიპოვებს ცოდნას (ფილოლოგიას), ხოლო ფილოლოგია (სწავლა) აპოლონის მიერ უკავშირდება ჰერმესს (განმარტებას).

თუკი გავიხსენებთ, რომ პლატონის „ნადიმის“ ერთ-ერთი ძირითადი იდეა არის მტკიცება, რომ ფილოსოფია არის სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ/მშვენიერებისაკენ/სინათლისაკენ, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარციანუსის ტექსტში კვლავ ხდება პლატონის იდეების დაცვა პითაგორას პარადიგმის წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ მარციანუსი ტექსტის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ ჰერმესს/მერკურის ცოლობაზე უარს ეუბნებიან სიბრძნე (Sophia), წინასწარმეტყველება/ჭვრეტა (Mantice) და სული (Psyche): ანუ ისევე როგორც რამდენიმე საუკუნის წინანდელ ტექსტში, აქაც – სწავლა და ცოდნა სიბრძნესა და წინასწარმეტყველებაზე კი არ არის მიბმული, არამედ, ინტერპრეტაციასა და გაგებაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პითაგორასა და, შესაბამისად, იმპლემენტაციის

პარადიგმასთან დაკავშირებული ორი ხელოვნება, მედიცინა და არქიტექტურა, სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ცოდნის გამოყენებასთანაა კავშირში და არა ჭეშმარიტების ინტერპრეტაციასთან, მდაბალ ხელოვნებებად ცხადდებიან და ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვის ასპარეზზე ხმის უფლების გარეშე რჩებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარციანუსის *De nuptiis Philologiae et Mercurii* არ არის ადრეული შუა საუკუნეების ჩვეულებრივი, რიგითი ტექსტი: XII საუკუნემდე, უნივერსიტეტების ჩამოყალიბების დაწყებამდე და არისტოტელეს ფილოსოფიის დაბრუნებამდე, ის ევროპის უმეტეს ტერიტორიაზე – საქართველოს ჩათვლით – ცოდნის და სწავლის კანონს წარმოადგენდა. ცხადია, რომ სწორედ აქ, ამ ტექსტში და შემდეგ უკვე პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით, ფორმდება ის მომავალი, რომელშიც ევროპას და ევროპულ ცივილიზაციას მოდევნო საუკუნეებში, XIX საუკუნემდე უწევს ცხოვრება. მარციანუსის ტექსტშივეა, რომ ეს არის მომავალი, რომელშიც სწავლა და ცოდნა გარდაუვალ, „ცოლქმრულ“ კავშირშია ჰერმენევტიკასთან, განმარტებასთან და შორეულ და შემთხვევით კავშირშია ტექნოლოგიებთან და ცოდნის რეალობაში დანერგვასთან. სქემა ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილ პლატონის დიალოგებში: ის, თუ რამდენად სარწმუნოა ახალი ცოდნა, განისაზღვრება არა დანერგვით, არამედ სხვა ცოდნით. ანუ მსჯელობის სარწმუნოება განისაზღვრება სხვა მსჯელობით.

შესაბამისად, სწორედ ეს არის იმ სამყაროს დასაწყისი, სადაც ე.წ. თეორიული და გამოყენებითი ცოდნა იყოფა: სადაც თეორიული ცოდნა მიჩნეულია ჭეშმარიტებასთან ახლო მდგომად, ხოლო გამოყენებითი – მინიერ და ხელოსანთა საქმედ.

ამავე დროს იდეების ისტორიიდან ვიცით, რომ გვიან შუა

საუკუნეებში არისტოტელეს ტექსტების დაბრუნებამ კიდევ უფრო გააძლიერა პლატონური პარადიგმა იმიტომ, რომ ცოდნის მოპოვებაში ძალიან ცოტა ადგილი დაუტოვა ქვრეტა-მისტიკას და ცოდნის მოპოვება მთლიანად მსჯელობაზე დააფუძნა (მაღალი სქოლასტიკის პერიოდი). ამავე პერიოდს ემთხვევა, მსჯელობის ძალის გასაძლიერებლად, მატერიალური საბუთის მოთხოვნა, რაც, ძირითადად როჯერ ბეკონის სახელს უკავშირდება (Easton.. 1952). მიუხედავად იმისა, რომ როჯერ ბეკონმა საუნივერსიტეტო სწავლება გაამდიდრა კვადრიუმში ოპტიკის დამატებით, ვერ ვიტყვით, რომ ის ცნობილი ცვლილება, რომელიც არისტოტელეს დაბრუნებას უკავშირდება, რამენაირად ასუსტებს პლატონურ პარადიგმას.

მედლის მეორე მხარეა, რომ ცოდნის სარწმუნოების დასადგენად ფრენსის ბეკონის (Gaukroger.. 2001) მიერ XVII საუკუნეში დაკვირვებაზე დამყარებული მსჯელობის შემოტანა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (Backhaus... 2015) მიერ XVIII საუკუნეში აღწერითი მეთოდის ისტორიულ მეთოდთან დაკავშირება არ ცვლის პლატონისეულ პარადიგმას.

ფრენსის ბეკონი, ისევე როგორც ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, მსჯელობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს დაკვირვებას. ფრენსის ბეკონის მხრიდან მხოლოდ ოფიციალურად აღიარებული ხარკი არ იყო ღვთის უკეთ შემეცნებისათვის ახალი მეთოდის გამოყენება, რომელიც მან Novum Organon-ში აღწერა. მისი მეთოდის ღერძი მსჯელობის, ინდუქციის მეთოდის გაუმჯობესებაა, რომელიც უფრო ახლოს მივა ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს კანონებთან და, მაშასადამე, უფრო ახლოს მივა ქვეყნარსებთან.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ახალი მეცნიერება, რომელიც XIX საუკუნეში მთლიანად მეცნიერების მეთოდად იყო აღიარებული, ხოლო მომდევნო საუკუნეში საბუნებისმეტყველო

მეცნიერების მეთოდად მოინათლა, მხოლოდ ამდიდრებდა და ამყარებდა პლატონურ პარადიგმას.

ჰუმბოლდტის მეთოდი მდგომარეობს მრავალფეროვნების დანვრილებით და დაკვირვებით შესწავლის შედეგად ამ მრავალფეროვნებაში საერთო კანონის და წესის პოვნაში. ჰუმბოლდტის მეთოდმა, როგორც მას უწოდებენ, ჰუმბოლდტიანურმა მეცნიერებამ, მთლიანად განსაზღვრა მეცნიერების ის ფორმა, რომელშიც კაცობრიობა ბოლო დრომდე ცხოვრობდა. ჰუმბოლდტის ინტენციამ, გამოეკვლია და დაედგინა სამყაროს კანონები, ისინი, რომლებიც განსაზღვრავს, როგორც პლანეტების მოძრაობას, ასევე მცენარეების კონკრეტულ სივრცეში გავრცელებას, შექმნა ის მეცნიერება, რომელიც დღესაც ისწავლება სკოლებში და უნივერსიტეტებში. ჰუმბოლდტიანური მეცნიერების მოთხოვნამ – არსებული მრავალფეროვნება დანვრილებით და ზუსტად შეესწავლათ, გააჩინა ლაბორატორიები და ლაბორატორიული ტექნოლოგიები. მაგრამ სად იყო ეს ტექნოლოგიები იქამდე, ვიდრე ჰუმბოლდტიანური, ანუ პლატონური პარადიგმა მსჯელობის განსამტკიცებლად მათ ლაბორატორიებში არსებობას მოითხოვდა?

პლატონური პარადიგმის საბოლოო დადგენამ პითაგორას პარადიგმა, რომლისთვისაც ცოდნის შემოწმება იმპლემენტაციით ხდებოდა, მთლიანად გააგდო მაღალი ფენების სოციალური სივრციდან და დაბალი და საშუალო ფენების არეალში მიუწინა ადგილი. V საუკუნის შემდეგ, XVIII – XIX საუკუნემდე, ტექნოლოგია, ანუ ცოდნის იმპლემენტაციის პარადიგმა ცოდნის აღიარებული და ლეგიტიმური სფეროებიდან განცალკევებით ვითარდებოდა. ამიტომაცაა, რომ პირველი ტექნოლოგიური ძვრები, როგორიცაა წიგნების საბეჭდი მანქანის ან საქსოვი დაზვის გამოგონება, უნივერსიტეტების გარეთ, ხელოსნების და ვაჭრების წრეში მოხდა. ცხადია, ხშირ შემთხვევაში, ხელოს-

ნებს და ვაჭრებს არც დრო ჰყოფნიდათ და არც ცოდნა, რომ ტექნოლოგიები განვიითარებინათ. მათ მიერ ტექნოლოგიების განვითარება უშუალო და სწრაფი მოგების მიღებაზე იყო ორიენტირებული და, შესაბამისად, ვერც ექნებოდა სწრაფი განვითარება: ცნობილია, რომ ძალიან ცოტა ტექნოლოგიურ სიახლეს მოაქვს სწრაფი და უეჭველი მოგება.

ამიტომ იქამდე, ვიდრე ფრენსის ბეკონისეულმა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისეულმა რეფორმამ არ მოითხოვა თეორიისა და მსჯელობისათვის მეტი დამაჯერებლობისთვის ზუსტი და დანვრილებითი დაკვირვება, მანამდე ტექნოლოგიები ცოდნის მოპოვების პროცესის ნაწილი არ გამხდარა. ტექნოლოგიების ცოდნის მოპოვების ნაწილად ქცევის შემდეგ ცოდნის მოპოვება, ძებნა, დაუკავშირდა ტექნოლოგიას, ზუსტი დაკვირვების და მონაცემების მიღების ინსტრუმენტების დახვეწას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ტექნოლოგიური განვითარება იყო მსჯელობის გამყარების ინსტრუმენტი, არა პითაგორული მიზანი, არამედ პლატონური საშუალება: ლაბორატორიები, ყველაზე ფართო აზრით, რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიების ჩათვლით, გაჩნდა, როგორც სამყაროს კანონების ზუსტად აღწერის საშუალებები, ისევე და ისევე – ჭეშმარიტებასთან მიახლოების და სინათლესთან ახლოს ყოფნის ინსტრუმენტები.

თუმცა ნელ-ნელა პითაგორული პრინციპიც გამოჩნდა: როგორც ვთქვი, პითაგორული პრინციპია, როდესაც კვლევის და ცოდნის ობიექტი არის არა ბუნება, არამედ, ადამიანის შექმნილი საგანი. XVIII საუკუნეში დაწყებულმა ტექნოლოგიურმა გარღვევებმა, რომლებმაც მარტო დიდი მოგების კი არა, დიდი ძალაუფლების მოტანაც დაიწყო, ცოდნის ობიექტად და მიზნად მართლაც გადააქცია ადამიანის შექმნილი საგანი. მაგრამ ის დიქოტომია, რომელიც მარციანუსის მიერ საბოლოოდ დადგი-

ნდა, კვლავ ძალაში დარჩა: მეცნიერებები (ცოდნის მოპოვების სისტემები) კვლავ დაიყო მალალ და დაბალ სფეროებად, სადაც ტექნოლოგიურმა კვლევებმა და მიღწევებმა კვლავ უხმო მეგობრის ადგილი დაიკავა.

როგორც ჩანს, V საუკუნეში საბოლოოდ შეცვლილმა მომავალმა „თავდაპირველ“ ხაზზე დაბრუნება XVIII საუკუნეში დაინყო. პლატონის დაპირისპირებამ პითაგორასთან მოგვცა ის 10-12-საუკუნიაანი პერიოდი, როდესაც ევროპული ცივილიზაცია ცდილობდა, ჭეშმარიტებას მიახლოებოდა და ამისათვის, არც ინტელექტუალურ რესურსებს იშურებდა და არც მატერიალურს.

პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ცოდნა და ცოდნის მაძიებელი ერთ სიბრტყეზე არიან და ერთმანეთს ამდიდრებენ/ზრდიან – საშუალო და დაბალი ფენების ხელში დარჩა და, შესაბამისად, სანამ კლიმატური პირობები უფრო ღმობიერი არ გახდა, ვერც განვითარდა.

წარმოიდგინეთ, რა ტექნოლოგიურ დონეზე ვიქნებოდით, როჯერ ბეკონს ან თომა აქვინელს ტექნოლოგიების შესახებ რომ ეფიქრათ და ტექნოლოგიები განევითარებინათ?

მაგრამ ეს კიდევ არ არის ამ მსჯელობის დასასრული. ის, რომ ევროპელი მმართველების და ინტელექტუალების ყურადღების მიღმა დარჩა ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური განვითარება, უბრალოდ, ადამიანის სოციალური და კულტურული განვითარების კი არა, არამედ, ადამიანის ევოლუციის სერიოზული შეფერხება იყო. ამ შეფერხებამ კი, თავის მხრივ, ინტელექტუალურად მისანვდომი სივრცეების შეზღუდვა გამოიწვია.

ამის შესახებ შემდეგ თავში ვიმსჯელებ. მანამდე კი მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ის იდეა, რომლის მიხედვითაც გვგონია, რომ ე.წ. ჰუმანიტარული ტექსტები ადამიანის შესახებ (მაგ. ჰეგელის „გონის ფენომენოლოგია“) ბევრად უფრო მუდმივია,

ვიდრე საბუნებისმეტყველო ტექსტები (მაგ. დარვინის „სახეობათა წარმოშობა“), სწორედ ამ შეზღუდული პერსპექტივის შედეგია. შედეგად, არ უნდა გვეგონოს, რომ პლატონის პარადიგმის ტოტალიზაციით მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარება დაზარალდა. არანაკლებ შეიზღუდა ჰუმანიტარული და სოციოლოგიური სააზროვნო სივრცეც.



## ევოლუციის კომუნიკაციური თეორია და ფილოსოფიური ტექსტები

ამ თავში მარცინუს-პლატონის ეპისტემოლოგიური პარადიგმის შეცვლის და პითაგორას პარადიგმასთან დაბრუნების აუცილებლობის შესახებაა მსჯელობა. მსჯელობა იწყება ევოლუციის ახალი, კომუნიკაციური თეორიის განხილვით (კიკვიძე, თევზაძე „ევოლუცია“. თბილისი, 2015), რომლის მიხედვითაც სიცოცხლე უპირობოდ და გარდაუვალად კომუნიკაციურია: ევოლუციაც იმიტომ ხორციელდება, რომ ცოცხალი არსებების მიზანი კომუნიკაციის უკეთესი ფორმების გამომუშავებაა, იმისათვის, რომ იყვნენ უფრო წარმატებულები, ვიდრე მათი თანამოძმეები. წარმატებული კომუნიკაციური ქცევის მქონე ინდივიდი უფრო წარმატებულად მრავლდება, ვიდრე სხვები, რასაც მოსდევს ამ ქცევის გენეტიკური განმტკიცება („გენებში ჩანერა“). ასე ხდება ევოლუცია და ასე ხდება სიცოცხლის ახალი ფორმის მიღება. ეს თეორია ეხება ადამიანსაც, ოღონდ, განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ადამიანი, მას შემდეგ, რაც მეტყველება შეძლო, ევოლუციას საკუთარი სხეულის ფორმების ცვლილებით კი არა, არამედ კომუნიკაციის საშუალებების დახვეწა/განვითარება/გართულებით ახორციელებს. რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ადამიანის იმდენი ევოლუციური ფორმა არსებობს, რამდენი კომუნიკაციის ფორმაცაა. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კაცობრიობის ფუნდამენტური შეცდომაა, როდესაც ჩვენ 100, 200 ან 1000 წლის წინათ დაწერილი წიგნები ადამიანის ბუნების შესახებ, ფილოსოფიური ტექსტები, არ მიგვაჩნია მოძველებულად: ამის საბუთად განხილულია სამი ცნება – თავისუფლება, მარტოობა და ფიზიკური რეალობის პირველადობა. ამ სამი ცნების ანალიზით ნაჩვენებია, თუ როგორ რადიკალურად ცვლის ტექნოლო-

გიების განვითარება ამ სამი ცნების ბუნებას და, შესაბამისად, „ძველ“ ფილოსოფიურ ტექსტებს უმეტესად ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ თავში ასევე ნაჩვენებია, რომ „ნელ-ნელა“ ჩვენი სამყარო უბრუნდება პითაგორას პარადიგმას, „ნელ-ნელა“ ტექნოლოგიები ხდება შემეცნების მიზანი და თანამედროვე ეპისტემოლოგიის ღერძი. თუმცა ჩვენს თავებში, ჩვენს სოციალურ სისტემაში კვლავ მარციანუს-პლატონის პარადიგმით ხდება სამყაროს აღქმა. პითაგორას პარადიგმასთან დაბრუნება მთლიანად შეცვლის სამყაროს: წარმოიდგინეთ, რას მიაღწევს კაცობრიობა, როდესაც ტექნოლოგიური ცვლილება გახდება შემეცნების მიზანი, მაშინ, როდესაც არსებული მიღწევები და ძვრები განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც ტექნოლოგიები სამყაროს შემეცნების გვერდით და არამთავარ შედეგად არის მიჩნეული. პითაგორას პარადიგმასთან გაცნობიერებული დაბრუნება განათლების სისტემის ცვლილებით უნდა დაიწყოს.

პლატონ-მარცელიუსის სისტემის პითაგორას წინააღმდეგ მოქმედებებმა კიდევ ერთი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი შედეგი მოგვიტანა: იმდენად, რამდენადაც ცოდნის „მინიერი“ გამოყენება ჩაითვალა მეორეხარისხოვნად, ასევე მეორეხარისხოვნად ჩაითვალა ტექნოლოგიებიც, როგორც ადამიანის, როგორც ცოდნის ობიექტის, გაგების წყარო. უმაღლესი მნიშვნელობა ფილოსოფიასა თუ ფსიქოლოგიაში მიენიჭა იმას, თუ როგორ ფიქრობს ადამიანი, როგორ აზროვნებს, რას განიცდის, რას გრძნობს, მაგრამ საერთოდ ყურადღების მიღმა დარჩა ის, თუ როგორ, რა საშუალებებით არსებობს და, რაც მთავარია, როგორ გადასცემს და იღებს ინფორმაციას. თუმცა თითქოსდა ზედაპირზეა ის, რომ ადამიანი, როგორც გადასცემს და იღებს ინფორმაციას (ანუ ფართო აზრით, ესაა სოციალური ქცევა), ისე არსებობს.

ის კი, თუ როგორ არსებობს, როგორ და რა საშუალებით გადასცემს და იღებს ადამიანი ინფორმაციას, ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული. ტექნოლოგიები კი, თავის მხრივ, ადამიანის ევოლუციასთან არა მარტო მჭიდრო კავშირშია, არამედ, ნიშნავს კიდევ ადამიანის ევოლუციას.

2015 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ევოლუცია“ (კიკვიძე...2015), ზაზა კიკვიძე და მე შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ევოლუციის შინაარსი ინფორმაციის გადაცემის და მიღების სისტემების (კომუნიკაციის სისტემების) გართულება-სრულყოფაშია. ამ ახალ ხედვას ევოლუციის კომუნიკაციური თეორია დავარქვით.

სიცოცხლის ევოლუციის ჩვენეული განსაზღვრებით: 1. სიცოცხლე არის მასისა და ენერჯის მართვა ინფორმაციის საშუალებით; 2. სიცოცხლის ევოლუცია ინფორმაციის გადაცემის და მიღების საშუალებების ევოლუციაა. 3. სიცოცხლე არის ინფორმაციის გადაცემა და მიღება (კომუნიკაცია), შესაბამისად, 4. სიცოცხლე სოციალური ქცევაა.

ევოლუციის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება ევროპულ სააზროვნო ტრადიციაში პასუხს სცემს მნიშვნელოვან კითხვას ევოლუციის პროცესში სიცოცხლის ფორმების გართულების, ანუ ე.წ. პროგრესის შესახებ: რა საჭიროა სიცოცხლის ფორმების გართულება, თუკი მარტივი ორგანიზმები უკეთესად ეგუებიან გარემოს და თავს ხშირად ბევრად უფრო დაცულად გრძობენ, ვიდრე რთული ორგანიზმები?

ბაქტერიები მილიონობით წლის განმავლობაში არსებობენ, ტემპერატურულ ცვლილებებსაც უფრო კარგად უძლებენ, ვიდრე, მაგალითად, ადამიანი ან რომელიმე სხვა ხერხემლიანი არსება. საქმე ისაა, რომ სიცოცხლე ყოველთვის არსებობს, როგორც სოციალური სისტემა, რომლის წევრებიც/ელემენტებიც ცდილობენ, იყვნენ წარმატებულები. წარმატებულო-

ბა კი გამოიხატება ინფორმაციის უკეთესად გადაცემასა და მიღებაში. „წარმატებულობა“ ამ შემთხვევაში აბსტრაქცია ან ექსტრაპოლაცია კი არ არის, არამედ ცოცხლად დარჩენა და გამრავლება, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე. ესაა სწორედ ევოლუციის არსი: ის, ვინც ახერხებს უკეთესად მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია, უფრო წარმატებულია, უკეთესად მრავლდება, ვიდრე მისი სხვა თანამოძმეები. ქცევა, რომელიც განაპირობებს მის წარმატებულობას, გადაეცემა შთამომავლობას. ბოლოს და ბოლოს ხდება ამ უკეთესი ცვლილების გენეტიკური დაფიქსირება/განმტკიცება და ვიღებთ სიცოცხლის ახალ ფორმას.

ყოველივე ზემოთქმულიდან საინტერესო დასკვნა გამომდინარეობს: თუკი ევოლუცია ინფორმაციის მიღების და გადაცემის [კომუნიკაციის საშუალებების] ევოლუციაა, მაშინ ადამიანიც განიცდის ევოლუციას, ოღონდ არა გარეგნული ცვლილებით და ფენოტიპურად (გარეგნულად) სხვა არსებად (სახეობად) ჩამოყალიბებით, არამედ, ინფორმაციის გადაცემა-მიღების საშუალებების ცვლილებით და გართულებით. თუმცა სამეცნიერო ფანტასტიკაში ბევრი ტექსტი არსებობს, სადაც ადამიანებს ტექნოლოგიური პროგრესის გამო გარეგნობა ეცვლებათ და სხვა არსებებად ყალიბდებიან. ასეთი რადიკალური მომავალი საეჭვოა, თუნდაც იმიტომ, რომ განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ადამიანი ტექნოლოგიით ახორციელებს ქცევის გაუმჯობესებას და არა საკუთარი ორგანოების ცვლილებით.

დასკვნა, რომელიც ამ მსჯელობიდან მიიღება, არის ის, რომ, თუკი ევოლუციის კომუნიკაციური თეორია მართებულია, ადამიანის იმდენი ევოლუციური ტიპი არსებობს, რამდენი ინფორმაციის გადაცემის და მიღების ტოტალური სისტემაცაა. ანუ, ისტორიულად, ადამიანებს შორის ძირითადი განსხვავება ინფორმაციის მატარებლებსა და გადაცემ-მიმღებებშია. შესა-

ბამისად, ეს განსხვავება მდგომარეობს ინფორმაციის შენახვის წესში და გადაცემის სისწრაფეში. თავის მხრივ, სოციალური ქცევა, ანუ ინფორმაციის გადაცემისა და მიღების სისტემა, განსაზღვრავს, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი, რა გამოწვევები აქვს, როგორ ფიქრობს, როგორ არსებობს.

დამატებით რომ განვმარტოთ: სიყვარული, საკვების მიღება, საკვების მოპოვება, სოციალურ სისტემაში საკუთარი ადგილისათვის ბრძოლა და კიდევ ბევრი სხვა – ჩვენი სოციალური არსებობის [სიცოცხლის] ფორმებია. მაგრამ, ამავე დროს, ის, სხვა მაღალგანვითარებული ძუძუმწოვრების არსებობის ფორმებიცაა. ის, რაც ჩვენი არსებობის ამ ფორმებს უპირობოდ განასხვავებს შიმპანზეს ან მგლის იგივეობრივი ფორმებისგან, არის მეტყველება. მეტყველება კი სხვა არაფერია, თუ არა კომუნიკაციის, ანუ ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგია.

მეტყველება არის ინფორმაციის გადაცემის და მიღების სისტემა, რომელსაც შეუძლია, ინფორმაცია ფიზიკური ნიშნების გარეშე გადასცეს და მიიღოს. ეს, ცხადია, აჩქარებს ინფორმაციის გაცვლას და ამდიდრებს შინაარსს. თუკი სხვა ცხოველების შემთხვევაში ინფორმაციის გაცვლას, ვოკალიზაციის გარდა, სხვა საშუალებებიც აუცილებლად სჭირდება (სხეულის მოძრაობა), მეტყველება ამას მედიატორების გარეშე აკეთებს.

სავარაუდოა, რომ მეტყველების წარმოშობამ შექმნა ის დიდი განსხვავება, რაც არსებობს ადამიანსა და სხვა ცხოველს შორის: ადამიანის საზოგადოება გახდა უფრო რთული, რაკი შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ინფორმაციის შეუდარებლად სწრაფი გაცვლა, ვიდრე სხვა ცხოველებს შორის. ნებისმიერი ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობამ კი გაამრავალფეროვნა ის ინფორმაცია, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს უცვლიდნენ. ამ პროცესმა, ყველაზე მეტად ალბათ უფროსი თაობის მიერ უმცროსების სწავლებაზე იმოქმედა. მორიგი თაო-

ბა ფაქტობრივად, უდანაკარგოდ [სხვა ცხოველებთან შედარებით] იღებდა წინაპრების გამოცდილებას და ამდიდრებდა საკუთარი გამოცდილებით მომავალი თაობისათვის გადასაცემად.

მეტყველების წარმოშობამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი გააჩინა: შესაძლებელი გახდა ნივთში ინფორმაციის ჩანერა: დღეს ყველამ ვიცით, რომ ნივთებს ცხოველებიც იყენებენ (მაგ., მაიმუნები, ყვავები – ხშირად იყენებენ ჯოხებს საკუთარი მიზნებისათვის (Shumaker... 2011), მაგრამ მხოლოდ ადამიანს შეუძლია, მიანიჭოს მნიშვნელობა კონკრეტულ ჯოხს და ამის შესახებ ცოდნა სხვებს, მისივე პოპულაციის წარმომადგენლებს გადასცეს. შესაბამისად, იარაღების განვითარება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც იარაღებს მუდმივი მნიშვნელობა მიენიჭა, ანუ შესაძლებელი გახდა მათში ჩანერილიყო ინფორმაცია მეტყველების საშუალებით. მაგალითად: ადამიანმა მიანიჭა მნიშვნელობა კონკრეტულ ნაწვეტებულ ქვას და აღწერა (ანუ ნივთში ჩანერა) იარაღის ფუნქცია. ფუნქციის აღწერამ შესაძლებელი გახადა ამ ფუნქციის აღწერის გადაცემა სხვებისათვის. ფუნქციიდან გამომდინარე, სხვებმა დაიწყეს იარაღის კოპირება და მისთვის ახალი ფუნქციების მინიჭება, როგორც ფიზიკურად, ასევე ვერბალურად.

შესაბამისად, დამწერლობის, ანუ ინფორმაციის გაცვლის ახალი ფორმის წარმოშობამდე ადამიანი არის არსება, რომელიც ინფორმაციას მეტყველების საშუალებით ცვლის. ამიტომ, ინფორმაციის გადაცემა, სხვა ცხოველებთან შედარებით, არა მარტო უფრო სწრაფია, არამედ, უფრო მრავალფეროვანი და მდიდარიც: მეტი ინფორმაცია გადაიცემა და მიიღება სხვა ცხოველებთან შედარებით ნაკლები ენერგეტიკული დანახარჯებით. და, რაც მთავარია, ხდება ნივთებში მათი მნიშვნელობების ჩანერა და მათი ქცევა ინსტრუმენტებად.

ვფიქრობ, სწორედ მეტყველების გამო ხდება ადამიანის მიერ

იარაღების გამოყენება სისტემური და ადამიანისათვის აუცილებელი: იარაღი (შრომის, ბრძოლის) ხდება არა მედიატორი ინფორმაციის გადაცემასა და მიღებაში (მაგ., ჯოხი, რომელსაც იყენებს ყვავი საჭმლის ამოსათხრელად, ან მაიმუნი საჭმლის ჯამის მოსაზიდად), არამედ, თავად ხდება ინფორმაციის მატარებელი (შემცველი), როდესაც ადამიანი მის კეთებას იწყებს. შესაბამისად, „პირველ“ ადამიანს აქვს ინფორმაციის გაცვლის სწრაფი საშუალება (ენა) და ინფორმაციის შენახვის საშუალებები – ინსტრუმენტები (ყველაზე ფართო აზრით), რომლებსაც ის აკეთებს ნივთებში ინფორმაციის ჩანერით.

რა ხდება, როდესაც ინფორმაციის გაცვლა ჩქარდება, ინფორმაციის შენახვის მატერიალური ობიექტების რიცხვი მრავლდება და ყოველი ასეთი შემნახავი სულ უფრო და უფრო ტევადი ხდება? რა ხდება, როდესაც ინფორმაციის გაცვლა ტექნოლოგიად იქცევა? თუკი მეტყველება ადამიანშია და მეტყველებით განხორციელებული ქცევა ჰგავს სხვა ცხოველების კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიური საშუალებები, ტექნოლოგიები – ადამიანის გარეთაა. ადამიანების სამყაროში ტექნოლოგიის ევოლუციით/განვითარებით უმჯობესდება ინფორმაციის გაცვლა. შესაბამისად, იმას, რასაც სხვა ცხოველები ათასეულობით და მილიონობით წელს ახმარენ, ანუ ინფორმაციის გაცვლის საშუალებების გაუმჯობესებას და განმტკიცებას, ადამიანის შემთხვევაში ბევრად უფრო სწრაფად, ათეულობით წლების განმავლობაში ხორციელდება.

შესაბამისად, როდესაც იცვლება ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის, ანუ კომუნიკაციის წესები, ანუ სოციალური ქცევა, იცვლება ადამიანიც. ადამიანი, რომელიც პირველ ქალაქში ცხოვრობს, დაახლოებით 8 000 წლის წინ (Higham... 1974) და ის ადამიანი, რომელიც დღეს ცხოვრობს თანამედროვე ქალაქში, პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მიუხედავად

იმისა, რომ თითქოსდა ერთნაირად უყვართ, სწამთ, ბრაზდებიან, ეუფლებათ იმედგაცრუება და ა.შ. პრინციპული განსხვავება მდგომარეობს სოციალური ქცევის განხორციელების საშუალებებში, ანუ იმაში, როგორ გამოხატავს, როგორ ავლენს თავს ადამიანი.

მაგალითისათვის განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენები, როგორებიცაა თავისუფლება, მარტოობა, ფიზიკური რეალობის პირველადობა. ის, რომ ტექნოლოგიების განვითარებას სოციალური სისტემების ცვლილება მოაქვს, ცხადია და ამის შესახებ არაფერს ვიტყვი. სოციალური სისტემები რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და რომ ამ განსხვავებაში ლომის წილი ტექნოლოგიისაა, არავინ დავობს. მაგრამ, განსხვავდებიან თუ არა ამ სისტემებში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთისაგან?

## **თავისუფლება**

ადამიანის წარმოდგენა თავისუფლების შესახებ იცვლებოდა ისტორიის განმავლობაში და იმაზე უფრო რადიკალურად, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით გვეგონოს. ეს წარმოდგენები კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში თავისუფლად ყოფნის არსებული პირობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობდა.

### **1. მემკვიდრეობითი და ინტელექტუალური (მოპოვებადი) თავისუფლება:**

იყო დრო, როდესაც თავისუფლება ეკონომიკურად ძნელად მისაღწევი იყო: თავისუფლად ყოფნას სჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი დრო (1), ცოდნა, რომ თავისუფლება ღირებულებაა (2) და თავისუფლების განხორციელების საშუალება (3). ეს ყველაფერი მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ – შესაბამისად, პირველი დასახლებების წარმოშო-



ბიდან რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში – თავისუფლება ექსკლუზიური და მემკვიდრეობითი უფლება იყო. ვფიქრობ, თავისუფლების საზღვრების იდეა სწორედ ამ დროს გაჩნდა, ანუ თავისუფლების პირველი იდეა გეოგრაფიულ-ლანდშაფტურია: ყოველი მდიდარი და დიდგვაროვანი ადამიანის თავისუფლება მთავრდებოდა იქ, სადაც იწყებოდა სხვა, ასეთივე მდიდარი ადამიანის სამფლობელო. შესაბამისად, ანტიკური და შუა საუკუნეების სამყაროში თავისუფლება ერთეულების პრივილეგია იყო. ამავე დროს, გაჩნდა ინტელექტუალური თავისუფლების იდეაც: ანუ მატერიალური და აქტივობის თავისუფლების გვერდით არამდიდარი და არადიდგვაროვანი ადამიანების თავისუფლად ყოფნის და ამით ამა ქვეყნის ძლიერებთან გატოლების ეფემერული, მაგრამ მაინც, შესაძლებლობა. იმანუელ კანტის „რა არის განმანათლებლობა“ (კანტი, 2012) ამის კარგი საბუთია: ეს არის ტექსტი, რომელშიც თავისუფლების მემკვიდრეობით მიმღებ იმპერატორს ინტელექტუალური თავისუფლების მქონე და ამ თავისუფლების გარანტირებული ფლობის მოსურნე ინტელექტუალი მიმართავს.

შესაბამისად, შუა საუკუნეების თავისუფლების იდეა თავისუფლების მოპოვებაშია: ის ან გადაიცემა მემკვიდრეობით, ან მოიპოვება განსაკუთრებული უნარებით. არც არავინ ფიქრობდა, რომ თავისუფლება შეიძლება ბუნებრივი უფლება ყოფილიყო და მასზე პრეტენზია ყველას ჰქონოდა.

ახალ დროში, მას შემდეგ, რაც თავისუფლება საყოველთაო მოთხოვნა და პირობა გახდა, თავისუფლების გეოგრაფიულ-ლანდშაფტური იდეაც შენარჩუნდა, როგორც სხვადასხვა თავისუფლებების მარეგულირებელი: სხვანაირად შეუძლებელია ყოფილიყო: საჯარო სივრცეს, რომელმაც ჩამოყალიბება XVIII და XIX საუკუნეებში დაიწყო, სჭირდებოდა ასეთი რეგულირება (Habermas.... 1991); ბოლოს და ბოლოს – საჯარო სივრცე სას-

რული იყო, შესაბამისად, სასრულ სივრცეში თავისუფლებებს სჭირდება თანაარსებობა და ამიტომ – რეგულირებაც. შესაბამისად, უპრიანია, რომ თავისუფლებას, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებასაც, ჰქონდეს საზღვრები, თუნდაც იმიტომ, რომ რომელიმე ერთმა თავისუფლებამ, რომელიმე ერთმა გამოხატვამ, არ მოახდინოს საჯარო სივრცის უზურპირება და ის თავისუფლების ერთი კონკრეტული გამოხატვის მანიფესტაციად არ იქცეს.

შესაბამისად, ახალი დროის თავისუფლების იდეა და უფრო კონკრეტულად, გამოხატვის თავისუფლების იდეა, მდგომარეობს თავისუფლებების ერთ სივრცეში, სხვადასხვა, თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ საზღვრების დაცვით განხორციელებაში. ამიტომ, ახალი დროის თავისუფლების იდეა, მართალია, დემოკრატიულია და ყველა ადამიანს ცნობს თავისუფლების ღირსად, მაგრამ, ამავე დროს, ის კორექტულია: ჰენრი თორო არ დაინყებდა თავისუფლების საკუთარი წესის დემონსტრირებას მეგაპოლისის ცენტრში (Lawrence, 2006): მან ამისათვის ტყეში, ტბის პირას განმარტოებით ცხოვრება აირჩია. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იცოდა, მეგაპოლისის ცენტრში თვითპრეზენტაციით არა მარტო სხვების თავისუფლებას შეუშლიდა ხელს, არამედ, შეიძლებოდა სამართალდამცავების მხრიდან მყისიერი რეპრესიის მსხვერპლიც გამხდარიყო. თუმცა, მისმა ამ კორექტულობამ/საზღვრების დაცვამ მხოლოდ ორ წელს გასტანა – გადასახადების გადაუხდელობის გამო დაპატიმრებამდე.

## **2. გეოგრაფიულ-ლანდშაფტური (თანშობილი) თავისუფლება:**

ახალ დროში საჯარო და საარსებო სივრცე აღიქმებოდა ერთ სიბრტყედ, სადაც ადამიანები იძულებული იყვნენ, ემოქმედათ ამ სიბრტყის გეოგრაფიული შეზღუდვების გათვალისწინებით: თუკი ის სიბრტყე და სივრცე, სადაც ჩვენ ვარსებობთ,

საერთოა და ერთია, მაშინ, ბუნებრივია, მარტო კორექტულობა კი არა, არამედ სუპერკორექტულობაც გვმართებს, ჩვენი თავისუფლებით და თავისუფლების გამოხატვით სხვები რომ არ დავჩაგროთ და შევზღუდოთ. ახალი დროის თავისუფლების მაქსიმა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „მე არ დავცინებ შენს სარწმუნოებას, შენ არ დასცინო ჩემსას, ხოლო ათეისტებმა არც ერთს არ დაგვცინონ – რამდენიც უნდათ, ოღონდ, კორექტულად, გინების და კარიკატურების გარეშე, იმსჯელონ ღმერთის არარსებობის შესახებ“.

### 3. უსასრულო თავისუფლება:

მაგრამ როგორ არის საქმე დღეს? დღევანდელი საჯარო სივრცე მარტო მრავალფეროვანი კი არა, ამავე დროს უსასრულოცაა: ამის განმაპირობებელი სოციალური მედია და კომუნიკაციის ელექტრონული სივრცეებია: დღევანდელი ელექტრონული სამყარო, სოციალური მედიის სისტემებით წარმოდგენილი, გვთავაზობს საჯარო სივრცეებს, რომლებიც არ არის შეზღუდული არც ფიზიკური და არც გეოგრაფიული წარმოსახვებით: ყველამ ვიცით, ჩვენი დღევანდელი სამყარო უფრო ელექტრონულია, ვიდრე გეოგრაფიული. შესაბამისად, არც ჩვენი თავისუფლებების საზღვრები ემიჯნება და კვეთს ერთმანეთს, თუკი მე ამის გაკეთებას და პრეზენტირებას ძალით არ მოვინდომებ. უფრო მეტი სიცხადე რომ შევიტანო: XIX საუკუნეში რომელიმე ევროპული ქალაქის გაზეთში ქრისტეს კარიკატურა სამართლიანად გამოიწვევდა ეკლესიის აღშფოთებას (Knight... 1995), როგორც საერთო საჯარო სივრცეში ეკლესიის ტერიტორიის დაკავების მცდელობა. დღეს, XXI საუკუნეში, ეკლესიის აღშფოთება საგაზეთო კარიკატურით მხოლოდ უზურპაციაა – მცდელობა, გაზეთის საჯარო სივრცე დაისაკუთრო და შენი გავლენის ადგილად არჩიო.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ისტორიულად

თავისუფლების, სულ მცირე, ორი სტრუქტურა (გეოგრაფიული და უსასრულო) და სამი გაგება (საკუთრებითი, მოპოვებითი და თანშობილი) გვაქვს: შესაბამისად, ის აზროვნება, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიული თავისუფლების შესახებაა და არ იღებს მხედველობაში თავისუფლების უსასრულო სტრუქტურას, უბრალოდ, არ არის თანამედროვეობის რელევანტური.

ცხადია, თანამედროვე სამყაროში არსებობს ადგილები, სადაც თავისუფლების უსასრულო სტრუქტურას ჯერ არ შეუღწევია. მეტიც, არსებობს ადგილები, სადაც თავისუფლება მხოლოდ საკუთრებით-მემკვიდრეობითია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის ფილოსოფიური ტექსტი, რომელიც, მაგალითად, XV საუკუნეში ადამიანის თავისუფლებაზე მსჯელობს, რელევანტურია: იმ ტექსტს არც ფონად და არც ინტენციად არა აქვს ის შესაძლებელი თავისუფლებები, რომლებიც დღეს არსებობს.

კიდევ რომ განვმარტო: დღეს, თანამედროვე სამყაროში, ცხადია, შესაძლებელია, არსებობდეს ტექსტი, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულ-მემკვიდრეობით თავისუფლებაზე მსჯელობს. მაგრამ, თუკი ეს მსჯელობა რელევანტურია, ამ ტექსტში აუცილებლად უნდა იყოს რეფერენცია, თუნდაც ნახსენები, უსასრულო-თანშობილი თავისუფლების შესახებ. ამიტომაც ის ძველი ტექსტები, სადაც თავისუფლების შესახებაა მსჯელობა, თანამედროვეობისათვის არარელევანტური, ან, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ რელევანტური.

საპასუხო არგუმენტად მეტყვიან, ხომ შეიძლება, ტექსტში პოლიტიკური თავისუფლების შესახებ იყოს მსჯელობაო. ეს პრობლემა ხომ მაინც არ იცვლება ბოლო რამდენიმე საუკუნეა? ამ რეპლიკის პასუხად გეტყვოდათ, რომ ის მსჯელობა პოლიტიკური თავისუფლების შესახებ, რომელიც არ ითვალისწინებს სოციალური მედიის არსებობას, იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც სოციალური მედია ქმნის განმანათლებლობის,

იდეოლოგიების და იდეების გავრცელების მხრივ, დღევანდელი ვითარებისათვის არარელევანტურია. შესაბამისად, ასეთ ტექსტებს მხოლოდ და მხოლოდ და უმეტესად ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მსჯელობებში ეს აცდენა პლატონის ეპისტემოლოგიურ-მა პარადიგმამ და შემდგომ მარციანისეულმა განვითარებამ მოიტანა: *თუკი ტექნოლოგია უმნიშვნელოა, მინიერია და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის გვერდითი, „უხმო“ შედეგია, მაშინ ის არ ახდენს გავლენას ადამიანზე, რომელიც მარადიულია, როგორც ჭეშმარიტებისკენ მსწრაფი არსება*. შესაბამისად, თუკი არ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიებს, არ გავითვალისწინებთ ევოლუციასაც, რომელიც ტექნოლოგიების განვითარების შედეგია და ტექნოლოგიების განვითარებაა.

შესაბამისად, მარციანუს-პლატონის ეპისტემოლოგიამ არა მარტო ტექნოლოგიური სტაგნაცია მოიტანა 12 საუკუნის განმავლობაში, არამედ ადამიანის შესახებ აზროვნება დააშორა ადამიანის ევოლუციურ შინაარსს და ფილოსოფიური ტექსტები მარადიულად აქცია.

ვნახოთ, რა ხდება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თემების – მარტოობისა და სოციალური ქცევის – შემთხვევაში.

## **მარტოობა და სოციალური ქცევა**

მარტოობის, როგორც ფენომენის, მნიშვნელობაც იცვლებოდა ადამიანის ევოლუციის განმავლობაში და, ისევე როგორც თავისუფლების ცნება, მისი მნიშვნელობების გამრავლება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ და, მაშასადამე, სოციალურ ცვლილებებზე (Rouner... 1998).

განსამარტავად წარმოვიდგინოთ ორი ვითარება: XIX საუკუნის ადამიანი ოთახში, წიგნებთან და რვეულებთან ერთად. მარტოა თუ არა ის? უეჭველია. ახლა წარმოვიდგინოთ თანა-

მედროვე ადამიანი ოთახში, კომპიუტერთან. მარტოა თუ არა ის? საეჭვოა.

შესაბამისად, ადვილია მივიდეთ დასკვნამდე, რომ განსხვავებით წინა ეპოქებისაგან, თანამედროვე სამყაროში მარტოობის პირობები არ იგულისხმება, ის შესაქმნელია. იმისათვის, რომ თანამედროვე ადამიანი მარტო დარჩეს, მან უნდა გათიშოს კომპიუტერი, გათიშოს მობილური ტელეფონი და ა.შ. და ამით შეიზღუდოს სოციალური ქცევის განხორციელების (ინფორმაციის გაზიარების და მიღების, კომუნიკაციის) შესაძლებლობა.

თუკი ტრადიციული გაგებით შევხედავთ მარტოობის ფენომენს, უნდა ვთქვათ, რომ მარტოობა აღარ ნიშნავს ფიზიკურ გამოცალკევებას საზოგადოებისაგან. მეტიც, ფიზიკური გამოცალკევება, როდესაც თანამედროვე ადამიანს აქვს მედიის წვდომისა და, მაშასადამე, სოციალური ქცევის განხორციელების შესაძლებლობა, კომფორტად გარდაიქმნება.

შესაბამისად, თანამედროვე სამყაროში გვაქვს ვითარება, როდესაც აქტუალური სოციალური ქცევა მუდმივად თანახლავს ადამიანს. პოტენციურად, ცხადია, ადამიანის, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსების ქცევა, სოციალურია: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც ემორჩილება ამ დაკმაყოფილების წესებს, რომლებიც სოციუმშია შემუშავებული. თუმცა სოციალური მედია იძლევა საშუალებას, ყოველი ქცევა იმავე წუთს გახდეს აქტუალურად სოციალური – გამოიკიდოს სოციალური ქსელში.

## **ფიზიკური რეალობა, როგორც პირველადი, როგორც მოქმედების წყარო და საფუძველი**

თანამედროვე სამყარო ამ შესაბამისობასაც ცვლის. დღევანდელ სამყაროში ელექტრონული სამყარო, მედია ხდება

ფიზიკურ რეალობაში მოქმედების საფუძველი. სად და სადამდე ვრცელდება ეს ახალი საფუძველი, რას ნიშნავს მასში ყოფნა, რა სოციალური, ეთიკური და, ბოლოს და ბოლოს, რა პოლიტიკური შედეგები აქვს რეალობის ასეთ ამოტრიალებას?

საბოლოოდ, მთელი არსი ისაა, რომ ტექნოლოგიური განვითარება და ტექნოლოგიებით სამყაროს ავსება დამატებით განზომილებას უქმნის ადამიანის არსებობას. ტექნოლოგია არ არის „ნიგნის“ ან „ზროვნების“ სამყარო. ის უფრო მეტია. ის ქმნის რეალობის ახალ ფენას. თუკი ვლაპარაკობთ რეალობაზე, როგორც წყაროზე, დღეს, საზოგადოებების უმეტესობაში ფიზიკურ სამყაროში მოქმედების წყარო ელექტრონულია.

შესაბამისად, ადამიანის მიერ შექმნილი რეალობის ფენა ხდება პირველადი და იმისათვის, რომ იმოქმედო ფიზიკურ, „ბუნებრივ“ სამყაროში, ადამიანის შექმნილი რეალობის ფენიდან უნდა მიიღო იმპულსი. ეს არ არის ის ვითარება, როდესაც ადამიანი იმ სოციალური ქცევიდან იღებს იმპულსს, რომელიც მას ფიზიკურ სამყაროში ხვდება; ეს იმპულსი მთლიანად ხორციელდება და არსებობს დამატებით განზომილებაში, რომელსაც სოციალური ქსელი ჰქვია.

ეს პროცესი, რეალობის ახალი განზომილების შექმნა, რომელიც დაიწყო ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტების ქსელით და ჩვენს დროში რეალობის ქსელურ ანალოგამდე მიაღწია, საუკუნეების განმავლობაში შეუმჩნეველი იყო ფილოსოფიური აზროვნებისათვის: შემეცნების ობიექტი კვლავ იყო გარე სამყარო, ფიზიკური ბუნება, რომელსაც მოგვიანებით დაემატა ადამიანის შინაგანი ბუნების კვლევა, რომელიც ისეთივე „შეუცნობლის შეცნობის“ პროცესად გამოცხადდა, როგორც გარე სამყარო. ამ პროცესის პარალელურად ადამიანი, როგორც სოციალური არსება, ევოლუციას განიცდიდა და ახალ-ახალი ტექნოლოგიებით ავსებდა სამყაროს, რეალობის ახალ ფენას ქმნიდა.

შესაძლებელია, XIX საუკუნეში მეცნიერებების ფილოსოფი-  
იდან ემანსიპაცია იყო ამ ვითარებაზე რეაქცია: როგორც წინა  
თავში აღვწერე, მსჯელობის საარწმუნოობის გასაზრდელად  
საჭირო გახდა საექსპერიმენტო ხელსაწყოების შეტანა მეცნი-  
ერებაში და ამ ხელსაწყოების ცოდნა. შედეგად, მეცნიერების  
ნაწილი ხელსაწყოების/ტექნოლოგიების მცოდნე/შემქმნელად  
იქცა. თუმცა პლატონური პარადიგმა კვლავ ძალაში დარჩა  
და გაჩნდა დაყოფა, რომელიც ისევ მარციანუსის V საუკუნის  
ტექსტთან გვაბრუნებს: ფუნდამენტური მეცნიერება, რომელიც  
შეუცნობელს შეიმეცნებს, და გამოყენებითი, „უხმო“ მეცნიე-  
რება, რომელიც ტექნოლოგიებს ქმნის. ვფიქრობ, ზედმეტია იმ  
მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების ჩამოთვლა, რომლებიც კვლე-  
ვის ინსტიტუციონალიზებულ გარემოში არ შექმნილა: მარტო  
საქსოვი დაზგა კი არ შეიქმნა XVIII საუკუნეში ვაჭარ-ხელოსანთა  
ფენაში, XX საუკუნის პირველი პერსონალური კომპიუტერიც  
კი გარაჟში გააკეთეს.

შედეგად, თითქოს მივედი იმ დასკვნამდე, რომ ფილოსო-  
ფიური ტექსტი, რომელიც ადამიანის შესახებ მსჯელობს და  
დანერილია 100, 200 ან 400 წლის წინ, დღევანდელი ადამიანის  
მიმართ არარელევანტურია: ის ვერაფერს გვეტყვის თავი-  
სუფლების ახალი ვითარების შესახებ, თუ როგორ უნდა გამოი-  
ყენოს თანამედროვე ადამიანი ეს თავისუფლება, შესაძლებე-  
ლია თუ არა ასეთი თავისუფლების შეზღუდვა, ვერ გვეტყვის,  
თუ რას ნიშნავს მარტოობის კომფორტით ჩანაცვლება, როდე-  
საც მარტოობას, რომელიც წინა საუკუნეების ტექსტებში  
ხარკად და მსხვერპლად აღიქმებოდა, დღეს კომფორტის და  
თავის შეუნუხებლობის, ანუ სოციალური ფუფუნების შინაა-  
რსი აქვს.

ძველი ფილოსოფიური ტექსტი ვერ გვეტყვის, თუ რას ნიშ-  
ნავს ყოველი ქცევის სოციალურ ქცევად გარდაქმნის შესაძ-



ლებლობა და რამდენად ეთიკურია ეს პროცესი, ვერ გვეტყვის, სად გადის ზღვარი შესაძლებელ და აქტუალურ სოციალურობას შორის. ეს არის კითხვები, რომლებიც ადამიანის ევოლუციამ წარმოშვა და რომლებზეც ფილოსოფიის ისტორიულ ტექსტებში პასუხი არარის.

ჩვენ გვგონია, რომ ძველი ფილოსოფიური ტექსტი რელევანტურია, იმიტომ, რომ პლატონური პარადიგმის მიხედვით, შეუცნობელს უახლოვდება, შეუცნობლის შეცნობილ მხარეზე გვესაუბრება. თუმცა, ეს შეცნობილი მხარე დიდი ხანია აღარ, ან მხოლოდ უმნიშვნელოდ არსებობს.

ფილოსოფიას, პითაგორას პარადიგმაში დაბრუნების გარდა, სხვა გზა აღარ აქვს: ფილოსოფია უნდა გახდეს ის, რაც პითაგორას პარადიგმის მიხედვით იყო: ცოდნის გამამდიდრებელი და ახალი ცოდნის წარმოშობის ადგილი. ცხადია, ის ვერ დაიბრუნებს იმ ფუნქციას, რომელიც მას პითაგორას დროს ჰქონდა: მეცნიერებებმა ემანსიპაცია განიცადეს და საკუთარი სამყაროები შექმნეს. ამ მეცნიერებებმა, მიუხედავად იმისა, რომ პლატონური პარადიგმით მუშაობდნენ და შეუცნობლის შეცნობაზე იყვნენ მიმართულები, როგორც გვერდითი შედეგი, შექმნეს უამრავი ტექნოლოგია, რომლებმაც სამყარო უფრო მრავალფეროვანი გახადა.

წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, მეცნიერებას მიზნად ტექნოლოგია რომ ექცია, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებად – სამყაროს სულ უფრო და უფრო რელევანტური აღწერების შექმნა.

თანამედროვე სამყაროში ფილოსოფიას შეუძლია, პითაგორას პარადიგმაში დაბრუნების წინამძღოლის როლი შეასრულოს, მიმართოს მეცნიერებები არა შეუცნობლის შეცნობის მიზნისაკენ, არამედ, ტექნოლოგიების, სამყაროს გამრავალფეროვნების მიზნისაკენ, სადაც სამყაროს შესაძლებელი აღწერე-

ბის შექმნა (პლატონურ პარადიგმაში „შეუცნობლის შეცნობა“ რომ ჰქვია) აღარ არის მიზანი, არამედ, გზაა იმ ტექნოლოგიისაკენ, რომელიც ამრავალფეროვნებს რეალობას და ამდიდრებს, როგორც ცოდნას, ასევე, ამ ცოდნის შემქმნელს.

ჩვენი გარემომცველი სამყარო ნელ-ნელა, „თავისით“ უზრუნველდება პითაგორას ეპისტემოლოგიას: გარდა იმისა, რომ ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო ხდება მეცნიერების მიზანი, სულ უფრო და უფრო მეტი კვლევითი ინსტიტუტი იქმნება, რომელიც პითაგორას ეპისტემოლოგიით უფრო მუშაობს, ვიდრე პლატონის: ამ ახალი ინსტიტუტების მიზანი კონკრეტული ტექნოლოგიური გარღვევის მოხდენაა (მაგ., სილიკონის ველი და სან დიეგოს ბიოტექნოლოგიური სანაპირო (Lee... 2000; Lim ...2002). საშუალო სკოლებიც სულ უფრო და უფრო გადადიან ე.წ. პროექტულ სწავლებაზე, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები კონკრეტულ პროექტებს ახორციელებენ და ამ გზით იღებენ დაგეგმილ განათლებას. თუმცა ხშირად პროექტული სწავლება, ისევე და ისევე, „შეუცნობლის შეცნობის“ პროცესის შედეგებში გარკვევისკენაა მიმართული და არა რაიმე ტექნოლოგიური მიზნისაკენ.

პითაგორას ეპისტემოლოგიასთან დაბრუნება აუცილებელია: გარდა იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს სპონტანურად უკვე ხდება, პითაგორას ეპისტემოლოგია გრანდიოზულ შედეგებს მოიტანს სამყაროს ამრავალფეროვნების პროცესში: ნარმოიდგინეთ, რას მიაღწია კაცობრიობამ სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში იმ პირობებში, როდესაც ეპისტემოლოგიური პარადიგმა ამ მიღწევების საწინააღმდეგოდ მუშაობდა, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ინდიფერენტული იყო, და რას მიაღწევს, როდესაც ეპისტემოლოგიური პარადიგმა ამ მიზნებისკენ მამოძრავებელი გახდება. ცხადია, მომავალი პარადიგმული გარღვევის ისეთი

უარყოფითი მხარეებიც არ არის დასავიწყებელი, როგორცაა მასობრივი განადგურების იარაღების შექმნა.

თუმცა, ამ მხრივ, ვფიქრობ, როდესაც შემეცნების მიზანი სამყაროს გამრავალფეროვნება გახდება, მეტი მორალური და ინსტიტუციური ბარიერი იარსებებს ასეთი იარაღების შექმნის წინააღმდეგ, ვიდრე ახლა არსებობს: როდესაც ტექნოლოგია ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიზანია, მორალური და პოლიტიკური აზროვნება უფრო მეტად აქცევს მას ყურადღებას, ვიდრე მაშინ, როდესაც ტექნოლოგია, ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით, გვერდითი შედეგია და მხოლოდ „მეტი ყურადღება“ სჭირდება, რომ სასიკვდილო იარაღად არ გარდაიქმნას.

ისევე, როგორც პლატონის პარადიგმის დადგენის შემთხვევაში, აქაც გზა განათლების სისტემაზე გადის. როგორი უნდა იყოს განათლების მიზანი და პროცესი, ახალი მოდელი, თუკი მას პითაგორას ეპისტემოლოგიურ პარადიგმაზე დავამყარებთ? ამის შესახებ – შემდეგ თავში.

# განათლება პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით

ამ თავში აღწერილია, თუ როგორი უნდა იყოს განათლების სისტემა პითაგორას პარადიგმის მიხედვით, როდესაც განათლების მიზანი ჯერ სამყაროს სურათის და შემდეგ სამყაროს სურათის აგების სწავლება კი არ არის, არამედ, როდესაც განათლების მიზანი ტექნოლოგიების შექმნა, ანუ სამყაროს ცვლილება/გამრავალფეროვნებაა. სასკოლო განათლების სისტემა უნდა იყოს ტექნოლოგიების (ყველაზე ფართო აზრით) შექმნის სწავლებაზე ორიენტირებული. ტექნოლოგიები ყველაფერია: დაწყებული საყოფაცხოვრებო ნივთებიდან, დამთავრებული იმ სკოლით, რომელშიც მოსწავლეები სწავლობენ. ასეთი განათლება იქნება უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი: ბავშვები ისწავლიან არა მარტო და მხოლოდ სამყაროს აღწერებს, არამედ, იმას, თუ რა შედეგს იძლევა ესა-თუ-ის აღწერა, როგორ ამრავალფეროვნებს სამყაროს. ამიტომ, სასკოლო განათლება უნდა იყოს ორიენტირებული არა გაგებაზე (სამყაროს სურათების სწავლება, რომელიც ხსნის გარემოს), არამედ, შექმნაზე. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ტექნოლოგიების შექმნისკენ ორიენტირებულობასთან ერთად, ის უნდა ასწავლიდეს ტექნოლოგიების შექმნის ეკონომიკას, რასაც თანამედროვე სამყაროში ბიზნესის ადმინისტრირება ეწოდება. რაც შეეხება მეცნიერებას და კვლევას, ისიც უნდა გახდეს ცხად, ტექნოლოგიურ მიზანზე ორიენტირებული, რაც, არა მარტო გააიაფებს კვლევის პროცესს, პლატონური, შუუცნობლისკენ მსწრაფი პარადიგმისგან განსხვავებით, არამედ, უფრო ეფექტიანადაც აქცევს. ასევე, ამ თავში განხილულია ის თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები, რომ-

ლებსაც ტექნოლოგიური განვითარება უქმნის განათლებას და კვლევის სისტემებს. მოკლედ, ეს თავი იმის შესახებაა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სამყაროს ჩვენეული აღქმა, თუკი პლატონ-მარციანისეული ეპისტემოლოგიური პარადიგმიდან პითაგორას ეპისტემოლოგიურ პარადიგმას დავუბრუნდებით. ის, თუ როგორ შეიძლება აღვწეროთ ადამიანი, რომელმაც, შესაძლებელია, ახალ ეპისტემოლოგიურ პარადიგმაში იცხოვროს და რატომ არის ახალი (ძველი, „წინა“) ეპისტემოლოგიური პარადიგმა ბევრად უფრო მორგებული ადამიანის ბუნებაზე, წიგნის შემდეგ ნაწილში იხილავთ.

## შესავალი

პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმა, როგორც ეს წინა თავებში გაირკვა, შესაძლებელია ეყრდნობოდეს ფილოსოფიის, როგორც სიბრძნესთან მეგობრობის გაგებას და განიხილავს ახალი ცოდნის შექმნას, როგორც სიბრძნის (არსებული ცოდნის) და სიბრძნის მეგობრის (ახალი ცოდნის შემქმნელის) ურთიერთობის პროცესს, რომლის განმავლობაშიც იბადება ახალი ცოდნა და ამ პროცესის ორივე მონაწილე ხდება უკეთესი: არსებული ცოდნა მდიდრდება ახალი ცოდნით, ხოლო ცოდნის შემქმნელი ოსტატდება ახალი ცოდნის შექმნაში.

განსხვავებით პლატონური პარადიგმისაგან (სიბრძნის სიყვარული), რომელიც შეუცნობლის შემეცნებისაკენ სწრაფვაა, ისე, რომ შემეცნებელმა იცის, რომ საბოლოოდ სიბრძნის შემეცნება შეუძლებელია და მას შეუძლია, მხოლოდ მიუახლოვდეს სიბრძნეს, პითაგორას პარადიგმაში სიბრძნე ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროს აღწერაა, რომლის საწინააღმდეგოა ამ აღწერიდან გამომდინარე, შექმნილით, გაკეთებულით იზომება.

პითაგორას ეპისტემოლოგიურ მოდელში სამყაროს ყოველი სურათი არის არა ჭეშმარიტებასთან (სამყაროს ჭეშმარიტ

სურათთან) მიახლოება, არამედ, ერთ-ერთი აღწერა და ამ აღწერის გამოყენების წესი: სამყაროს აღწერა საშუალებას იძლევა, სამყარო გახდეს უფრო მრავალფეროვანი: იმ ნივთებით, სამყაროს ახალი ობიექტებით, რომლის კეთების საშუალებასაც სამყაროს კონკრეტული აღწერა იძლევა.

თუკი პლატონის ეპისტემოლოგიური მოდელი გამოიყურება, როგორც „სწრაფვა ცოდნისკენ – აბსოლუტურ სიბრძნესთან მიახლოება“, პითაგორას ეპისტემოლოგიური მოდელი ასეთია: „ცოდნის შექმნის პროცესი – სამყაროს აღწერა – ტექნოლოგია“. თუკი პლატონის და მარციანუს კაპელას სქემაში ტექნოლოგიების ადგილი არ არის და ის განიხილება, როგორც ცოდნის მოპოვების გზაზე წარმოშობილი გვერდითი პროდუქტი, პითაგორას მოდელში, სამყაროს მოდელიდან (კონკრეტული აღწერიდან) გამომდინარე, ტექნოლოგია საბოლოო შედეგი და მიზანია.

დღევანდელი განათლების ფორმალური სისტემა მთლიანად პლატონის და მარციანუს კაპელას ეპისტემოლოგიურ პარადიგმას ეყრდნობა: დაწყებული საბავშვო ბაღის საფეხურიდან, მოსწავლეებს ასწავლიან ცოდნის სისტემებს, ანუ სამყაროს არსებულ აღწერებს. საუკეთესო შემთხვევაში, ჯონ დუის (Dewey... 1998) გამოცდილებაზე დაყრდნობილი სწავლების მიხედვით, ასწავლიან იმ გზებს, თუ როგორ უნდა მოახდინო სამყაროს აღწერა (მეთოდებს), ანუ რა და როგორი მეთოდები არსებობს სამყაროს შემეცნებისათვის. ტექნოლოგია, საუკეთესო განათლების სისტემებშიც კი, ისწავლება, როგორც სამყაროს შემეცნების პროცესში წარმოშობილი ფენომენები (Niemi... 2014), რომლებიც, ასევე, გამოიყენება კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

განათლების ყველა ეტაპზე, რომელსაც ვხვდებით და რომელზეც ვხვდებით, ჩვენ გვასწავლიან სამყაროს სურათებს და ამ სურათების მიღების, აგების წესებს (Dhawan... 2005). ასე-

ვე, იმასაც, რომ სამყარო უსასრულოა და რომ ვერასოდეს ვერ ჩავწვდებით მის ყველა საიდუმლოებას, მხოლოდ მივუახლოვდებით. რა არის ეს, თუ არა პლატონ-მარციანუსის ეპისტემოლოგიური მოდელი? გარდა ამისა, ჩვენ გვასწავლიან, რომ სამყაროს სურათის სისწორე, ანუ ჭეშმარიტებასთან მიახლოების ხარისხი განისაზღვრება მსჯელობით, რომლის ნაწილიც დაკვირვება-ექსპერიმენტიცაა. ექსპერიმენტი ჩართულია სამყაროს სურათის შესახებ მსჯელობაში. ამავე დროს, ზუსტად ვიცით, რომ ექსპერიმენტი არ მოიცავს სამყაროს კონკრეტული სურათის ყველა კომპონენტს და სამყაროს სურათი მუდამ რჩება რაღაც ჰიპოთეზის დონეზე, რომელსაც სხვა ექსპერიმენტები ან დაადასტურებენ, ან უარყოფენ და ახალი სურათის შექმნას დაუდებენ საფუძველს.

ეს არის განათლების ის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ: განათლების სისტემა მთლიანადაა დაქვემდებარებული სამყაროს უფრო და უფრო ზუსტი სურათის შექმნის მიზანს. ტექნოლოგიების განვითარება კი გვერდითი ეფექტია და ისევ და ისევ, იმ ერთ მიზანს ემსახურება: ტექნოლოგიები გვჭირდება იმისათვის, რომ სამყაროს უფრო ზუსტი სურათი შევქმნათ, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება, ვიცხოვროთ უკეთ, რომ სამყაროს კიდევ უფრო ზუსტი სურათი შევქმნათ.

ცხადია, რომ ეს პარადიგმა წრეზე სიარულს გვთავაზობს. თან, რაც მნიშვნელოვანია, ადამიანის ევოლუციის მთავარი ელემენტი – ტექნოლოგიების ქმნა – ამ სქემაში გვერდით შედეგადაა იდენტიფიცირებული.

როგორც წინა თავებში აღვნიშნე, კაცობრიობა ნელ-ნელა უარს ამბობს ამ პარადიგმაზე, ტექნოლოგიების წარმოება და ტექნოლოგიების წარმოებისკენ გზად სამყაროს აღწერების შემუშავება სულ უფრო და უფრო ხდება კაცობრიობის ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარებული ნაწილის

მამოძრავებელი. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ კაცობრიობის მცირე ნაწილში ხდება. გარდა ამისა, ამ მცირე ნაწილშიც – ეს „ჭეშმარიტება“, რომ ცოდნის მიზანი არა მიუწვდომლის წვდომა, არამედ ტექნოლოგიების შექმნაა, ამ განვითარებული ნაწილის მოქალაქეების მხოლოდ ნაწილისათვის ხდება ცხადი, როდესაც ისინი ტექნოლოგიების წარმოების სივრცეში აღმოჩნდებიან.

შედეგად, საინტერესო სურათს ვიღებთ: ერთი მხრივ, ვხედავთ, როგორ სწრაფად ვითარდება კაცობრიობის ის ნაწილი, რომელიც ნელ-ნელა პითაგორული ეპისტემოლოგიური პარადიგმით იწყებს მუშაობას. მეორე მხრივ, ასევე ვხედავთ, რომ მთელ მსოფლიოში განათლება კვლავ პლატონ-მარციანუსის პარადიგმის მიხედვით მიმდინარეობს. გარდა ამისა, ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ პითაგორული ეპისტემოლოგიით ხდება არაფორმალური განათლების განვითარებაც: ყველა იმ პროგრამას თუ კურსს, რომლის მიზანიც ტექნოლოგიის შექმნაა (მაგ., საბავშვო რობოტიკისი და სხვა), ეს პარადიგმა უდევს საფუძვლად (Hansson... 2015).

აქ ერთი დათქმაა გასაკეთებელი: ე.წ. ხელობის სწავლება არ არის პითაგორული პარადიგმის განხორციელება. პირიქითაც: ხელობის სწავლება სწორედ პლატონურ ეპისტემოლოგიას გულისხმობს, როდესაც ადამიანს არა აქვს ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე სიარულის უნარი, მას ასწავლიან ხელობას, ანუ იმის კეთებას, რისთვისაც არ არის საჭირო ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა.

შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რამდენად წარმატებული და შედეგიანი იქნებოდა განათლების სისტემა, როდესაც ის, პითაგორას პარადიგმის მიხედვით, მოსწავლეებს მიზნად ტექნოლოგიის შექმნას დაუსახავდა, ხოლო ამ მიზანთან მისასვლელად – სამყაროს აღწერების შექმნას. ასეთ სამყაროში მიზანი გასაგები და ცხადი იქნებოდა: არსებული სამყაროს



გამრავალფეროვნება და ადამიანის [სოციალური] ქცევის გაუმჯობესება. ასევე, გასაგები იქნებოდა ამ მიზნის მიღწევის საშუალება: სამყაროს აღწერების შექმნა, რომელიც იმიტომ იქმნება, რომ ახალ ტექნოლოგიურ აღმოჩენებს და გარღვევებს ჩაუყაროს საფუძველი.

განათლების პარადიგმის შეცვლით, როდესაც ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება აღარ იქნება გაყოფილი და იერარქიულ დამოკიდებულებაში, როდესაც კაცობრიობის მიზანი გახდება არა გაურკვეველი „ბოლომდე შეუცნობელი ჭეშმარიტების შეცნობა“, არამედ, არსებული სამყაროს გამდიდრება და ადამიანის სოციალური ქცევის გაუმჯობესება, კაცობრიობა უზარმაზარ ნაბიჯს გადადგამს თანაბარი შესაძლებლობების სამყაროსაკენ: როდესაც მსოფლიოს ყველა კუთხეში თუ ადგილას ეცოდინებათ, რა არის განათლების და, მაშასადამე, ცოდნის მიზანი (ტექნოლოგიების შექმნა და ტექნოლოგიების შექმნის სწავლა, სამყაროს აღწერების და აღწერების შექმნის მეშვეობით), ეს იქნება ის თანაბარი შესაძლებლობების პლატფორმა, რაზეც კაცობრიობის მომავალი დაემყარება. მით უმეტეს, რომ დღევანდელ სამყაროში, უკვე მიღწეული ტექნოლოგიური დონე არსებული ცოდნის გაზიარებისათვის კარგ საფუძველს ქმნის.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ განზრახვათა კრებულად რომ არ ჩათვალოს, მომდევნო თავებში უნდა განვიხილოთ, როგორ უნდა მოენყოს სწავლების ყოველი საფეხური და როგორ უნდა მომზადდენ მასწავლებლები ახალი ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით.

## **სასკოლო განათლება**

სასკოლო განათლების იმ ნაწილში, რომელიც აუცილებელი შემეცნებითი უნარების გამომუშავებისთვისაა განპირო-

ბებულის, სწავლება ტექნოლოგიის შექმნის სწავლებით უნდა მიმდინარეობდეს. როგორც ეს ზემოთ აღწერილ პითაგორას ეპისტემოლოგიურ პარადიგმაშია, სწავლის მიზანი უნდა იყოს ის, თუ როგორ მივყავართ სამყაროს, გარემოს კანონების ცოდნას კონკრეტული ტექნოლოგიის შექმნამდე.

ტექნოლოგია ამ შემთხვევაში, ფართოდ უნდა გავიგოთ: დაწყებული Led ნათურით, დამთავრებული ორგანიზაციის მართვის წესებით. როდესაც ტექნოლოგიის შექმნის უნარი სასკოლო განათლების მიზანი ხდება, მთელი სასწავლო პროგრამა იცვლის სახეს და ხდება ისეთი, რასაც დღეს ინტრადისციპლინურს და ინტერდისციპლინურს უწოდებენ. თუმცა ეს დასახელებებიც სწავლების ახალი მიზნის გატოტალურებასთან ერთად, ალბათ შეიცვლება.

ტექნოლოგიის შექმნის უნარის სწავლების მიზნად ქცევა არ ნიშნავს სწავლების ტექნოკრატიზაციას, პირიქით: სკოლის მოსწავლეები სწავლების ამ პრინციპის მიხედვით დაიწყებენ იმის სწავლას, რითაც ისინი გარშემორტყმულები არიან: მათი საკუთარი, უშუალო საცხოვრებელი გარემო, სინამდვილეში ხომ ტექნოლოგიაა (იმ სკოლის ჩათვლით, რომელშიც იმყოფებიან) და არა ბუნება, ან – სოციუმი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემეცნების უნარი ვეღარ იქნება მთავარი განმსაზღვრელი სასკოლო სწავლებაში. ის უნდა ჩაანაცვლოს შექმნის უნარმა. შემეცნების უნარი იქნება ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც შექმნის უნარი გამომუშავდება.

ის სამყარო, რომელსაც შეჩვეულები ვართ, ამ მიდგომით ამოტრიალდება და „ფეხებზე დადგება“: ის, რაც აქამდე ჰუმანიტარული უნარების გამომუშავებას სჭირდებოდა, გახდება საყოველთაო. ყველამ ვიცით, რომ ენის სწავლა ამ ენის საშუალებით ახალი ფენომენების შექმნაა, ისევე, როგორც ხელოვნების სწა-

ვლა – ხელოვნების ნაწარმოების შექმნის სწავლა. შეიძლება ეს ყველა სკოლაში არ ხორციელდება, მაგრამ არავინ ამბობს, რომ ენის სწავლის მიზანი მხოლოდ კითხვაა და წერა – არა. არადა, შემეცნებითი უნარების გამომუშავებისას, ფუნდამენტური მეცნიერებების შინაარსის საშუალებით, თანამედროვე სკოლები მხოლოდ „კითხვას“ ასწავლიან, ხოლო „წერის“ სწავლა, თანამედროვე სამყაროში, უკიდურესად შემთხვევითი და მეორადია.

შესაბამისად, ახალმა სკოლამ უნდა ასწავლოს ტექნოლოგიები, როგორც „ფუნდამენტური“ მეცნიერებიდან გამომდინარე ფენომენები. ტექნოლოგიის შექმნის, როგორც სწავლების და სკოლის მიზნის დასახვით, მოსწავლეს შეეძლება აკონსტრუიროს მთელი ის ცოდნა, რომელიც კონკრეტულ ტექნოლოგიაში აკუმულირებული.

მაგალითად, შეიძლება ასწავლო „დანა“ და მის სწავლებაში გააერთიანო ისტორია, პალეონტოლოგია, მასალათა თვისებები, ფიზიკა, გეოგრაფია, ბოტანიკა და ა.შ. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამ მეთოდში ის იქნება, რომ ყოველი შემდგომი ტექნოლოგიის შესწავლას, მოსწავლე წინა ტექნოლოგიებით მომზადებული შეხვდება. რაც მთავარია, მოსწავლე მიხვდება და გაიგებს, როგორ მუშაობს სამყაროს აღწერები კონკრეტული ტექნოლოგიების მისაღებად და კონკრეტულ ტექნოლოგიებში.

ერთ-ერთი პოპულარული დავალება მოსწავლეებისათვის, ალბათ, იქნება, იპოვონ სამყაროს ის აღწერები (კანონები), რომლებიც კონკრეტულ ტექნოლოგიას შესაძლებლად აქცევს. ასეთი ვარჯიში მისცემს მათ საშუალებას, ნახონ სამყაროს კონკრეტული აღწერა მოქმედებაში და შეიქმნან წარმოდგენა, როგორ არის შესაძლებელი, შექმნა მომუშავე ტექნოლოგია და როგორ არის შესაძლებელი, შექმნა ტექნოლოგიის წინაპირობა – სამყაროს აღწერა.

კვლავ, რაც შეეხება ჰუმანიტარული მიმართულებების საშუ-

ალებით სწავლებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, პითაგორულ ეპისტემოლოგიურ მოდელთან ენის სწავლა-სწავლება ყველაზე ახლოსაა. დანარჩენი, იქნება ეს მათემატიკა, ისტორია თუ ცოდნის სხვა რომელიმე კორპუსი, უნდა ისწავლებოდეს ტექნოლოგიაზე და ტექნოლოგიის შექმნაზე ორიენტაციით.

თუმცა რჩება კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ახალი პარადიგმის სკოლაში უნდა მიექცეს ყურადღება. ეს არის დიდი, პოლიტიკური იდენტობის გამომუშავების საკითხი, რომელიც თანამედროვე სასკოლო განათლების ქვაკუთხედიანია. ვფიქრობ, ყველა განათლების სისტემამ თუ ერთეულმა ეს საკითხი თვითონ უნდა გადანყვიტოს, თუ რაზე დააყრდნობს დიდი იდენტობის გამომუშავებას. თუმცა, ალბათ, არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს, რომ ისტორიის სწავლება ისტორიული სოციოლოგიის სწავლებად გარდაიქმნას, რაც, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ისწავლონ საზოგადოების ქცევის და საზოგადოებაში ძალაუფლების მუშაობის კანონები, რაც გააერთიანებს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების მიდგომებს და აღწერებს: მოსწავლეებს შეუქმნის ნარმოდგენას, თუ როგორ მუშაობს კომუნიკაციის, ინტერაქციის თუ მართვის ტექნოლოგიები ადამიანთა სამყაროში. საკუთარი სახელმწიფოს მაგალითზე შესწავლილი ტექნოლოგია მოსწავლეებს გამოუმუშავებს დიდ იდენტობას, თუმცა, შესაძლებელია, უფრო კრიტიკული დამოკიდებულება განუვითაროს, ვიდრე ეს დღევანდელ სისტემაში ხდება. ყველაზე უფრო საინტერესო და, ვფიქრობ, პროდუქტიული, არა მარტო მოსწავლეების, არამედ, საზოგადოებების მომავალი განვითარებისათვის, იქნება განათლების სისტემის, როგორც მოსწავლეების გარემომცველი ტექნოლოგიის შესწავლა.

ცხადია, მასწავლებლების მომზადების სისტემაც არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ. თანამედროვე ტექნოლოგიები

ისე ვითარდება, რომ მალე აქტუალური ინსტრუქციის ადგილს ელექტრონული სასწავლო გარემო ჩაანაცვლებს. შესაბამისად, მოსწავლეები უფრო მეტ დროს გაატარებენ ვირტუალურ სამყაროში, ვიდრე საკლასო ოთახებში. თუმცა საგულისხმოა, რომ ტექნოლოგიის შექმნის სასკოლო განათლების მიზნად დადგენა სკოლებს ახალ სიცოცხლეს მისცემს: ცხადია, ახალი ტექნოლოგიები მოიცავს პროგრამირებას, მაგრამ, ამავე დროს, ახალი ტექნოლოგიები ფიზიკურ განსხეულებასაც გულისხმობს. ახალ სკოლებში შეიქმნება გარემო, რომელიც მაქსიმალურად მორგებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე – 3D პრინტერებით და სხვა მსგავსი მონაცობილობებით.

და მაინც, მიუხედავად ამისა, სწავლების უმეტეს დროს სკოლის მოსწავლეები სახლებში გაატარებენ. ამიტომ, სკოლების ფუნქცია გახდება მშობლების ტრენინგი: როგორ უნდა უხელმძღვანელონ მშობლებმა სახლში საკუთარი შვილების სწავლებას და როგორ უნდა მოამზადონ სკოლაში წასასვლელად – აუცილებელი სოციალიზაციისა და ტექნოლოგიების შექმნისათვის. ისიც ყურადსაღებია, რომ 3D და მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება ისე მიმდინარეობს, რომ ტექნოლოგიების ფიზიკური ნაწილის დამზადება მოსწავლეებს სახლშიც შეეძლებათ.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განათლების მიზანი, როგორც ტექნოლოგია, არ გულისხმობს მხოლოდ მონაცობილობების გაკეთების სწავლას, არამედ, ყველანაირი ტექნოლოგიების შექმნის შესაძლებლობას – ბავშვების აღზრდიდან ენის შესწავლის ახალ მეთოდად.

რაც შეეხება მასწავლებლების მომზადებას, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მათ უნდა იცოდნენ მშობლების ტრენინგი და ასევე, კარგად უნდა ერკვეოდნენ სამყაროს აღწერებში, იმისათვის, რომ მოსწავლეებს სწორი მოდერატორობა გაუწიონ, როგორც კონკრეტული ტექნოლოგიის შესაბამისი

სამყაროს აღწერის მიგნების, ასევე, ახალი ტექნოლოგიების გაკეთების პროცესში.

სავარაუდოა, რომ მომავლის გაკვეთილები, პითაგორას პარადიგმის მიხედვით, აღარ ემსგავსება თანამედროვე, ყველაზე ნოვატორული სკოლის გაკვეთილებს და ყოველი კონკრეტული ამოცანის სწავლება/სწავლის პროცესში რამდენიმე მასწავლებლის ჩართვას მოითხოვს. კონკრეტულად, როგორი იქნება მასწავლებლის მომზადება, უმაღლესი განათლების შესაძლებელი მოდელის განხილვისას შევეხებით.

## **უმაღლესი განათლება**

უმაღლესი განათლების მოდელი შედარებით გასაგებია, სასკოლო განათლების მოდელიდან გამომდინარე. მაგრამ საქმე მხოლოდ ტექნოლოგიების შექმნის მიზნად დასახვაში არ არის. უმაღლესი განათლების სისტემაში უნდა იყოს რაღაც, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას, წარმატებულები იყვნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თითქოს გასაგებია, რომ სკოლებში უშუალო გარემომცველი ტექნოლოგიების შესწავლის შემდეგ, საუნივერსიტეტო საფეხურზე, სტუდენტებმა ტექნოლოგიების შექმნის უფრო სპეციალიზებული სფეროები უნდა აირჩიონ, იქნება ეს მედიცინა, ეკოლოგია თუ ფილოლოგია. თუმცა, რა უნდა იყოს უმაღლესი განათლების საფეხურზე ისეთი, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს, საკუთარ გარემოში იყოს წარმატებული და არ ჩათვალს, რომ საუნივერსიტეტო სწავლება სასკოლო სწავლების უბრალო გაგრძელებაა და მეტი არაფერი?

სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, ჩვენთვის მინც უნდა ვუპასუხოთ კითხვას, თუ საერთოდ რა საჭიროა განათლების სისტემა – ხომ არ არის ის უკვე მოძველებული და არასაჭირო? ამაზე უფრო დანვრილებით პასუხს ამ წიგნის შემდეგ ნაწილში

გავცემ, ამჯერად კი მხოლოდ ვიტყვი, რომ ბიოლოგიურად, ზრდასრულობის დადგომა არის ის ზღვარი, რომელსაც საკუთარი ორგანიზმი გვინებს სწავლისა და ზრდასრულობის მომზადებისათვის. ეს პერიოდი მეტ-ნაკლებად სასკოლო განათლების დროს ემთხვევა. შემდგომი, უმაღლესი განათლების საფეხური საჭიროა იმ აუცილებელი ცოდნის და უნარების კონსტრუირებისათვის, რომელიც ადამიანს წარმატებულად აქცევს. რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს მეორე ეტაპი, მით უფრო მეტი შანსი აქვს ადამიანს, მოერგოს ცვალებად გარემოს და ის აუცილებელი უნარები/ცოდნა განივითაროს, რომელიც მას წარმატების შესაძლებლობას შესძენს.

ადამიანების სამყაროში კომუნიკაციის ძირითადი ფორმა ეკონომიკურია და ემყარება ინფორმაციის გაცვლის ეკონომიკას. შესაბამისად, მას მერე, რაც ადამიანი სკოლაში ისწავლის და განვითარდება ახალი ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით, რომელიც მისი უშუალო გარემოცვის ცოდნას და გარემოს (ტექნოლოგიების) შექმნის უნარების ჩანასახებს შეიცავს, მან, ტექნოლოგიების შექმნის შესწავლის გაგრძელებასთან ერთად, უნდა ისწავლოს და განივითაროს კომუნიკაციის ეკონომიური ფორმის ტექნოლოგია, იმისათვის, რომ შეძლოს, იყოს წარმატებული სოციალურ სისტემაში.

კომუნიკაციის ეკონომიკური ცოდნის და უნარების ტექნოლოგიის შესწავლა ყველაზე უკეთ ხდება იმ სასწავლო კორპუსში, რომელსაც დღეს ბიზნესის ადმინისტრირებას უწოდებენ (Akwete... 2011). სათანადოდ აგებული ბიზნესადმინისტრირების შესწავლა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ცოდნა და უნარები ინფორმაციის გაცვლის ეკონომიკის შესახებ და მომზადებულები იყვნენ წარმატებისათვის იმ გარემოში, რომელშიც ცხოვრობენ.

თუმცა, ასევე აუცილებელია, რომ ამავე პერიოდში სტუდე-

ნტებმა გააგრძელონ ტექნოლოგიის შექმნაზე ორიენტირებული სწავლა, ანუ სამყაროს აღწერების და ამ აღწერების გამოყენების შესწავლა.

ამ აღწერების და მათი გამოყენების შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს ბიზნესის ადმინისტრირების შესწავლის პარალელურად, რადგან, ბიზნესის წარმოების წესების და სიმულაციური გამოცდილების მიღებასთან ერთად, სტუდენტებს უნდა შეეძლოთ წარმოდგენის შექმნა, თუ კონკრეტულად რომელი ტექნოლოგიების მიმართულებით უნდა იმუშაონ მათ მომავალში ან სწავლის პერიოდშივე.

ასეთი სისტემა – პირობითად დავარქვათ საბაკალავრო საფეხურის ბიზნესადმინისტრაციის major და მეცნიერებების minor-ები, – საშუალებას მისცემს სტუდენტებს, აკონსტრუირონ თავისი მომავალი წარმატების კონტურები, უნივერსიტეტებიდან გაუსვლელად: მათ ექნებათ საკმარისი ცოდნა ბიზნესის მოფიქრებისა და დაწყებისათვის და, ასევე, საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ მიხვდნენ, ტექნოლოგიების შექმნის რომელი მიმართულებაა მათთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმატების მომტანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტექნოლოგიების ქმნა, როგორც მიზანი, უნდა გავიგოთ ყველაზე ფართო აზრით – როგორც ყველაფერი, რაც გამიზნულია კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის – დაწყებული პოლიტიკური სისტემებიდან და მკურნალობის მეთოდებიდან, დამთავრებული კლავიატურის ახალი ფორმებით. ამიტომ, ვფიქრობ, მომავალში საბაკალავრო განათლების ყველაზე უფრო პოპულარული ფორმა იქნება BBS – ბიზნესისა და მეცნიერებათა ბაკალავრი (Bachelor of Business and Sciences).

რაც შეეხება სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს: ეს საფეხურები, ისევე როგორც ეს დღესაა, კონკრეტული ტექ-



ნოლოგიების შექმნაზე უნდა იყვნენ ორიენტირებულები: სწავლის და სწავლების ამოცანა, ამ ეტაპზე, უნდა იყოს არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და/ან ახალი ტექნოლოგიების შექმნა სამყაროს ახალი აღწერების შექმნით და/ან, არსებული აღწერების გამოყენების გამრავალფეროვნებით.

ეს ყოველივე, ანუ ტექნოლოგიაზე ორიენტირებულობა, სავარაუდოა, რომ ერთი მხრივ, შეამცირებს განათლების და კვლევის ხარჯებს, რადგანაც, ცხადი ტექნოლოგიური მიზნის გარეშე, არც განათლება ინარმოებს და არც კვლევა, ხოლო, მეორე მხრივ, ტექნოლოგიურ პროგრესს ააჩქარებს.

დღეს, კვლევასა და განვითარებაში, ბევრია მიმართულება, რომელიც ცხადი და ჩამოუყალიბებელი მიზნის გარეშე მიმდინარეობს. ყველასათვის გასაგები მიზანი პლატონურ პარადიგმაშია: თუკი მიზანი სამყაროს შემეცნებაა, ყველაზე რუტინულმა და გაუგებარმა კვლევამაც კი შეიძლება შეიტანოს წვლილი სამყაროს შემეცნებაში. ამიტომ, დღითი დღე ვაკვირდებით, როგორ იზრდება მიკროკვლევების წილი მსოფლიო მეცნიერებაში და როგორ მცირდება სამყაროს აღწერაზე ორიენტირებული კვლევები. ცხადია რატომ: მეთოდოლოგიურად გამართული კვლევა, რომელიც საბუთდება დაკვირვებით და ექსპერიმენტით, ნამდვილად დაეხმარება შეუცნობელი სამყაროს უკეთ შეცნობაში, ხოლო სამყაროს აღწერა, რომელიც სცილდება დაკვირვების და ექსპერიმენტის შედეგებს და ექსტრაპოლირებს დაუკვირვებელის და შეუცნობლის შესახებ, იმთავითვე მცდარია, რადგანაც, პლატონის პარადიგმის მიხედვით ვიცით, რომ სამყაროს შეცნობა შეუძლებელია.

ახალმა, პითაგორას პარადიგმის მიხედვით წარმოებულმა სწავლა-შესწავლის და კვლევის პროცესმა ეს ვითარება ძირეულად უნდა შეცვალოს: როდესაც კვლევის მიზანი ტექნოლოგიურია, ყოველ კვლევას ექნება თავისი ცხადად ჩამოყალი-

ბეზული ამოცანა და ის ვერ დაიმალება „სამყაროს შეცნობის, მიუწვდომელთან მიახლოების“ ჩადრის უკან.

ახალი პარადიგმა განათლებასა და კვლევაში სამყაროს აღწერის ვერსიებს ადეკვატურ ადგილს მიუჩენს: სამყაროს აღწერები იქნება განხილული არა როგორც მიზანი, არამედ, როგორც ტექნოლოგიის შექმნამდე მიმავალი გზა.

მთელი ეს სისტემა, უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ბიზნესადმინისტრირების და მეცნიერებების შესწავლით, ხოლო მეორე და მესამე საფეხურებზე ტექნოლოგიების შექმნის მიზნად დასახვით, გამოცვლის იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ: პოპულარულად რომ გამოვხატოთ ამ ახალი სისტემის არსი, უნდა ვთქვათ, რომ ასეთ უნივერსიტეტში სწავლას თავს არ დაანებებდნენ არც სტივ ჯობსი და არც ელიზაბეტ ჰოლმსი, რადგან თავისი ტექნოლოგიური იდეების განხორციელებაში საუკეთესო დამხმარე ადგილი სწორედ ის უნივერსიტეტი იქნებოდა, რომელშიც ისინი სწავლობდნენ.

ცხადია, ასეთი განათლების სისტემა ბევრ გვერდით ცვლილებებს გამოიწვევს. შეიძლება მომიჯნავე და არცთუ ისე მომიჯნავედ ცნობილმა მეცნიერებებმა დაკარგონ თავისი ხისტი პროფილები და სულ სხვა, ბევრად უფრო მიმზიდველ და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სფეროებად მოგვევლინონ. სავარაუდოა, რომ განათლების პროცესიც შეიცვლება და შეჩვეული ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/დოქტორანტურის ნაცვლად რაიმე სხვა სისტემა მივიღოთ.

ყოველ შემთხვევაში, ის, რომ მე აღწერ უმაღლესი განათლების ახალ სისტემას არსებული სისტემის პარამეტრების გამოყენებით, არ ნიშნავს, რომ ვთვლი, რომ არსებული პარამეტრები მუდმივია. თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, რომ სალექციო პროცესი მთლიანად შეიცვალოს (Poore.. 2011; Patrut.. 2013): სოციალური მედიის

გამოყენებით, თუ მის გარეშე, სალექციო ფორმატმა, შესაძლებელია, მთლიანად გადაინაცვლოს ვირტუალურ რეალობაში. თუკი ასე მოხდა, განათლება გახდება ბევრად უფრო იაფი, ვიდრე დღესაა და, შესაბამისად, ბევრად უფრო ხელმისაწვდომი. საბოლოოდ, ალბათ, ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, რასაც, უეჭველია, ზემოთ აღწერილი განათლების სისტემაც შეუნყოფს ხელს, ფიზიკურ სივრცეში მარტო ტექნოლოგიების ლაბორატორიები დარჩება: დანარჩენი – ლექციები, სემინარები, ჯგუფური დისკუსიები – ელექტრონულ სამყაროში იარსებებს და ისინი, ალბათ, მხოლოდ ძალიან ძვირად ღირებულ და ექსკლუზიურ კერძო სასწავლებლებში იქნებიან ფიზიკურ სივრცეში, სადაც მაღალი დონის მეცნიერები, შესაბამისი ანაზღაურების ფასად, მდიდარ სტუდენტებს პირისპირ მოუყვებიან ტექნოლოგიური განვითარების და სამყაროს აღწერების შესახებ.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ელექტრონული განათლება განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანების რიცხვსაც შეამცირებს და დასაქმებულების კვალიფიკაციასაც აამაღლებს, როდესაც აღარ იქნება აუცილებლობა, რომ ადამიანების კონკრეტული რაოდენობა ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს ფიზიკურ აუდიტორიებში ელაპარაკოს. ელექტრონული სწავლება საშუალებას მისცემს მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარს, ლექტორს, ბევრად მეტ სტუდენტს დაელაპარაკოს, ხოლო სტუდენტებს – საშუალებას, იურთიერთონ მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარ-ლექტორებთან და არა მათ სუროგატებთან, როგორც ეს დღეს ხდება, სტუდენტების დიდი რაოდენობის და კვალიფიციური ლექტორების/მკვლევარების რაოდენობის ფარდობითი სიმცირის გამო.

ეს ყოველივე იმის შესახებაა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სამყაროს ჩვენეული აღქმა, თუკი პლატონ-მარციანისე-

ული ეპისტემოლოგიური პარადიგმიდან პითაგორას ეპისტემოლოგიურ პარადიგმას დავუბრუნდებით. ის, თუ როგორ შეიძლება აღვწეროთ ადამიანი, რომელმაც, შესაძლებელია, ახალ ეპისტემოლოგიურ პარადიგმაში იცხოვროს და რატომ არის ახალი (ძველი, „წინა“) ეპისტემოლოგიური პარადიგმა ბევრად უფრო მორგებული ადამიანის ბუნებაზე – წიგნის შემდეგ ნაწილში.



ნაწილი II

ცნობიერების მიხედვით



## არის თუ არა ბედნიერება ადამიანის მიზანი?

ამ თავით იწყება მსჯელობა ცნობიერების შესახებ იმ თანამედროვე ხედვებსა და კონცეფციებზე დაყრდნობით, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერება (ბიოლოგია, ფიზიოლოგია) გვთავაზობს. ვინცებთ ცნება „ბედნიერების“ განხილვით და ვსვამთ კითხვას, რამდენად არის ბედნიერება ადამიანის, როგორც ინდივიდის მიზანი და რამდენად სწორად არის გაგებული ის, რასაც ჩვენ ბედნიერებისაკენ სწრაფვას ვუწოდებთ.

ბედნიერების მიღწევის შესახებ აზროვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეები ბედნიერებას ღირსებას უკავშირებდნენ: მხოლოდ სიქველის/ღირსების მქონე ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ბედნიერებას. პლატონი, არისტოტელე, კინიკოსები, სტოიკოსები და ბევრი სხვა საუბრობდა ბედნიერების, როგორც მორალური მიზნის შესახებ. ბედნიერება მხოლოდ ღირსეული ცხოვრებით და მკაცრი დისციპლინით მიიღწევა – ბერძნული ფილოსოფიის არსებული ინტერპრეტაცია ამას გვეუბნება.

ბედნიერებისაკენ სწრაფვა, როგორც მორალური მაქსიმა, ავგუსტინეს გავლენით ქრისტიანულ აზროვნებაშიც შემოვიდა. ოლონდ, ქრისტიანული ბედნიერება, განსხვავებით ანტიკური მოაზროვნებისაგან, მხოლოდ ღმერთთან ერთიანობით მიიღწევა და ამ ცხოვრებაში ნაკლებადაა შესაძლებელი.

საფრანგეთის რევოლუციამ, განმანათლებლებმა და აშშ-ს დამფუძნებელმა მამებმა სცადეს, ბედნიერების ანტიკური გაგება აღედგინათ და ამით დაშორებოდნენ ავგუსტინესეულ-ქრისტიანულ გაგებას: მათი თეორიების მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ ბედნიერება ამ ცხოვრებაშიც შესაძლებელია



და ბედნიერებისკენ სწრაფვა არა მარტო მორალურ მიზნად, არამედ სოციალური სისტემის ვალდებულებადაც დაადგინეს.

საბოლოო ჯამში, ბედნიერების ყველა ფილოსოფია ლაპარაკობს იმ მდგომარეობის მიღწევის შესახებ, როდესაც პიროვნულად თუ სოციალურად, ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, კარგად იგრძნონ თავი. ბედნიერება არის გონებისა და სხეულის მდგომარეობა.

ამ მორალურ-სოციალურ ფილოსოფიებში გამოირჩევა ერთი ავტორი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სიამოვნების შესახებ უფრო მეტს წერდა და ლაპარაკობდა, ვიდრე ბედნიერების შესახებ, მაინც, მოაზროვნეების უმეტესობას ვერ წარმოუდგენია ბედნიერების შესახებ მსჯელობა მისი მითითების და მასზე დაყრდნობის გარეშე.

ეს ავტორი ეპიკურეა, რომელიც, აუთენტური ტექსტების აღარარსებობის მიუხედავად, ითვლება ბედნიერების თეორიის ერთ-ერთ საყრდენად და ბედნიერების შესახებ მთავარ მოაზროვნედ.

## **ეპიკურე და ასკლეპიადეს ბითინიელი – ინტერპრეტაციის ამოტრიალება**

როგორც სათაურიდან ჩანს, ამ თავში მოცემულია ეპიკურეს და მისი მოწაფის, ასკლეპიადეს ბითინიელის – რომელსაც მიკრო-ბიოლოგიის მამას უწოდებენ – ახალი ინტერპრეტაცია. რატომ ეპიკურე? იმიტომ, რომ ეპიკურე დღეს ითვლება ბედნიერების თეორიის ფუძემდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, დაეფუძნა ბედნიერების უტილიტარული თეორია, ხოლო ამ უკანასკნელმა, თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს შექმნაში დიდი როლი შეასრულა. ჩატარებული კვლევით ირკვევა, რომ ეპიკურე ბედნიერების შესახებ კი არ მსჯელობდა, როგორც ეს მას მიაწერეს, არამედ, სიამოვნების შესახებ. ეპიკურეს არასწორმა გაგებამ (რასაც აქვს თავისი ისტორიული მიზეზები, რომლებიც ამ თავშია აღწერილი), მოიტანა ის, რომ, რაც შემდგომ ეპოქებში ეპიკურეს ეთიკურ თეორიად მიაჩნდათ, მისი ბიოლოგიური ანთროპოლოგია იყო, ხოლო ის, რაც პოლიტიკურ თეორიად – ეთიკის სწავლება. ანუ, ეპიკურე ამბობდა, რომ ადამიანის მიზანი სიამოვნების (და არა ბედნიერების) მიღებაა და ასწავლიდა, როგორ უნდა მიაღწიო სიამოვნების მიღებას ისე, რომ საკუთარი თავი არ დაიზიანო. რამდენად ეთანხმება თანამედროვე მეცნიერება ასეთ ხედვას, განხილულია შემდეგ თავში.

ეპიკურეს შესახებ თითქოს ყველაფერი ცნობილია: საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი არც ერთი ტექსტი (300-დან) არ გადარჩენილა, ის მუდმივად იყო კამათის და დამოწმებების ეპიცენტრში: ნეტარი ავგუსტინე ეპიკურეს სიამოვნებისკენ სწრაფვის ფილოსოფიას მხოლოდ ცხოველებსათვის შესაბამისს უწოდებდა (ნმ. ავგუსტინე, მე-16 თავი), (არ

არის გამორიცხული, რომ, ეპიკურეს ტექსტების უპრეცედენტო გაქრობის მიზეზი სწორედ ქრისტიანობის დამოკიდებულება იყო), ეპიკურესათვის მიწერილი გამოთქმა, „ნუ უსურვებ სხვას იმას, რასაც არ უსურვებდი საკუთარ თავს“, ფრანგული რევოლუციის იდეოლოგებმა საფუძვლად დაუდეს ადამიანის უფლებების იდეას სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების შესახებ (Kavendish, pp.89- 101). ეპიკურეზე დაყრდნობით, ჯონ ლოკი წერდა, რომ ადამიანის სხეული მისი საკუთრებაა, შესაბამისად, საკუთრების უფლებიდან გამომდინარეობს ადამიანის უსაფრთხოებაც; თომას ჯეფერსონი წერილებში აღნიშნავდა, რომ ის ეპიკურელია და ეყრდნობოდა ეპიკურეს ეგალიტარიანიზმს: ყველა ადამიანი თანასწორი იბადება და ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება (Thomss Jefferson). კარლ მარქსის სადოქტორო თეზისი ეპიკურეს და დემოკრიტეს ბუნების შესახებ თეორიების განსხვავების დადგენა იყო (Marx).

შემორჩენილი ციტატებიდან ცნობილია, რომ ეპიკურეს ადამიანის თავისუფლება ატომების არაერთგვაროვანი მოძრაობის იდეიდან (ატომების მოძრაობის ფუნდამენტური ინდეტერმინიზმი) გამოჰყავდა. ეს იდეა, რომელიც მკაცრად მიჯნავდა თავისუფლებას ღმერთისაგან, ძალიან მომხიბვლელი აღმოჩნდა ახალი დროის მოაზროვნეებისა და პოლიტიკოსებისათვის. ეპიკურეიზმი აძლევდა მათ საშუალებას, ღმერთის იდეა არ გამოეყენებინათ პოლიტიკურ და სამოქალაქო დისკურსში, იმდენად, რამდენადაც ღმერთის იდეის გამოყენება ხელისუფლების მიერ იყო უზურპირებული. მეორე იდეა, რომელიც ასევე ეპიკურეს მიენერებოდა და დღესაც ძალიან პოპულარულია, არის ადამიანის სწრაფვა ბედნიერებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამები და ევროპელი ინტელექტუალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტს

იტყოდა ადამიანის ბედნიერებისაკენ სწრაფვის შესახებ და ვინ უფრო ხშირად მოახდენდა ეპიკურეს ციტირებას.

თუმცა, ბედნიერების, ანუ ეუდემონიის (εὐδαιμονία) შესახებ არისტოტელეც წერდა. მისი შრომები (მართალია, ლექციების ჩანაწერები, მაგრამ მაინც) ბევრად მეტია შემორჩენილი, ვიდრე ეპიკურეს ტექსტები. მაშინ რატომ დასჭირდათ ახალი დროის ინტელექტუალებს ეპიკურესეულ და არა არისტოტელესეულ ეუდემონიაზე დაყრდნობა?

შესაძლებელია, ამის მიზეზი მარტო არისტოტელეს სქოლასტიკური ავტორიტეტი კი არა, არამედ, უზენაესი არსების არისტოტელესეული ინტერპრეტაცია იყოს. ეუდემონიის, ანუ ბედნიერების, ეთიკაში, არისტოტელეს ბედნიერება სიქველიდან/ღირსებიდან (arête) გამომდინარეობდა და, შესაბამისად, უკავშირდებოდა უზენაეს გონებას; არისტოტელე სიქველეს სიკეთესთან შესაბამისობაში განიხილავდა და ა.შ. ამდენად, არისტოტელეს ბედნიერების კონცეფციის ღმერთის იდეისაგან გამიჯვნა საკმაოდ პრობლემური უნდა ყოფილიყო.

სამაგიეროდ, ეპიკურეს ბედნიერების თეორია, რომელიც ასევე ეპიკურეანულ თეორიასთან – ღმერთის სამყაროში ჩაურევლობასთან – ერთად განიხილებოდა, კარგი საფუძველი უნდა ყოფილიყო დემოკრატიული სამყაროსათვის, სადაც ადამიანები თანაბარნი იქნებოდნენ და ბედნიერების თანაბარი უფლება ექნებოდათ. ამ თეორიის მიხედვით ადამიანი ისწრაფვის სიამოვნებისაკენ და სიამოვნება, ისევე როგორც ბედნიერება, არის ტკივილისა და ტანჯვის არარსებობა.

მაგრამ, რამდენად იყო ეპიკურეს ბედნიერების თეორია ბედნიერების შესახებ? ეპიკურეს სარწმუნო წყაროებს რომ გადავხედოთ (Usener), სიტყვა „ბედნიერება“ (ეუდემონია) მხოლოდ 8-ჯერაა ნახსენები, მაშინ როდესაც სიტყვა სიამოვნება (ედონე ἡδονή) 80-ჯერ მაინც. თან, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა,

ამ ტექსტებში სიამოვნება და ბედნიერება ერთნაირადაა განსაზღვრული – როგორც ტანჯვის და ტკივილის არარსებობა.

ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია, ეპიკურელ ექიმ ასკლეპიადეს ბითინიელშია (**Ἀσκληπιάδης**; 124 or 129 – 40 ძვ.წ., ინგ: **Asclepiades of Bithynia**), რომელმაც, როგორც ამბობენ, პირველმა გააცნო რომაელებს ბერძნული საექიმო საქმე. ასკლეპიადესს თანამედროვე მკვლევრები მოლეკულური ბიოლოგიის მამასაც უწოდებენ (Yapıjkakis, 507-514). ასკლეპიადესი ამბობდა, რომ ყველა ავადმყოფობის წყარო ატომებშია, რომლებიც სხვადასხვანაირად იქცევიან ადამიანის ორგანიზმში. ავადმყოფობების მთავარი მიზეზი კორპუსკულების (ატომების) არასწორი მოძრაობაა, რომლის მიზეზებიც სხეულის პორების ზედმეტი დაჭიმვიდან ზედმეტ მოშვებამდეა. ასკლეპიადესი თვლიდა, რომ ავადმყოფობების მთავარი მიზეზი საჭმლის მომწელებელი სისტემაა, რომელშიც საჭმლის მოძრაობის დარეგულირებით შესაძლებელია ავადმყოფობისგან განკურნება. ასკლეპიადესი პოპულარული იყო იმიტომ, რომ ის უარს ამბობდა წამლებზე და მკურნალობის ერთადერთ საშუალებად ვარჯიშს, დიეტას და აბაზანების მიღებას მიიჩნევდა. ასევე, ასკლეპიადესი ცნობილია იმიტაც, რომ მკურნალობისას მუსიკალურ თერაპიას იყენებდა.

ამ უკანასკნელ მეთოდში ყველაზე უფრო საინტერესო ისაა, რომ ასკლეპიადესი ფსიქიკურად დაავადებულებს კურნავდა მუსიკალური თერაპიით და, რაც ყველაზე უფრო განასხვავებდა მას იმდროინდელი ექიმებისაგან, ის მენტალური აშლილობის მქონე პაციენტებს კეთილად ეპყრობოდა.

ასკლეპიადესის დიეტის პოპულარობას ისიც განაპირობებდა, რომ ის პაციენტებს ღვინოსაც უნიშნავდა. მისი დევიზი იყო *Cito tuto jucunde*, ანუ „სწრაფად, უსაფრთხოდ, სასიამოვნოდ“.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასკლეპიადესი პაციენტებს სიამოვნების მინიჭებით მკურნალობდა. მოგვიანებით მე განვი-

ხილავ, რამდენად თანხვედრა ასეთი მიდგომა ფიზიოლოგიის თანამედროვე მონაცემებს. ამჯერად, ის უნდა აღინიშნოს, რომ ეპიკურელი ექიმი პაციენტებისათვის სიამოვნების მინიჭებას თერაპიული მიზნით იყენებდა. თუკი სიამოვნების მდგომარეობამდე მიყვანა მკურნალობის გზაა, მაშინ რამდენად არის სიამოვნების მიღება ეთიკური მაქსიმა? შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უფრო ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეთიკურ იმპერატივთან.

შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეპიკურეს ტექსტების გაქრობამ, ხოლო მეორე მხრივ კი არისტოტელეს ავტორიტეტმა, ეპიკურეს შემორჩენილი ფრაგმენტები, ინტელექტუალების თავებში ფიზიოლოგიური ტრაქტატიდან ეთიკურ ტრაქტატად გადააკეთა. მით უმეტეს, თუკი ეპიკურეს ფრაგმენტებში მოიპოვებოდა სიტყვა (ἐπιμύσθια) ეუდემონია, ხოლო არისტოტელეს ტექსტებში ეუდემონია – ბედნიერება, განსაზღვრულია ეთიკის და არა ბუნების, φύση-ს სფეროდ.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ეპიკურე სიამოვნების ორ სახეს განიხილავდა: მოძრავ (κατὰ κίνησιν ἡδοναί) და უძრავ სიამოვნებებს (κατασθηματικαὶ ἡδοναί).

მოძრავი სიამოვნება სხეულის სიამოვნებაა, ხოლო უძრავი სიამოვნება – ტვინისა. ტკივილის და ვნების არარსებობას ეპიკურე განსაზღვრავდა, როგორც სიამოვნებასა და ბედნიერებას. შესაბამისად, ეპიკურე, როგორც ჩანს, იმდენად ეთიკურ ფილოსოფიას კი არ აღწერდა, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობას, რომელიც კარგადაა, მშვიდაა, როდესაც არ განიცდის ტკივილს და ვნებას. ტკივილი და ვნება ორივე სფეროს – ტვინს და სხეულს ახასიათებს და ორგანიზმის კეთილდღეობის მიზანი უნდა იყოს ორივესგან გათავისუფლება. ამიტომაც ეპიკურეს სწავლება მიმართული იყო იმაზე, თუ როგორი აგებულებისაა ორგანიზმი, როგორ უნდა გაათავისუფლო

სხეული და ტვინი ტანჯვა/ვნებისაგან სიამოვნების მიღების საშუალებით, რაკი ეს სქემა (ტანჯვისაგან გათავისუფლება სიამოვნების საშუალებით) თავად ადამიანის ორგანიზმში ძვეს.

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეპიკურე სიამოვნებას ტანჯვის არარსებობას უწოდებდა (Konstan). ეს ასეცაა, რადგანაც ტანჯვისგან გათავისუფლება არის სიამოვნება. თუმცა, ეს არ არის „უბრალოდ“ ნეგატიური განსაზღვრება: ასკლეპიადესის პრაქტიკა სწორედ იმას მიუთითებს, რომ ტანჯვისაგან და ვნებისაგან გათავისუფლება სიამოვნების მიღწევით ხდება, რის შედეგადაც ორგანიზმში ტკივილის/ვნებისაგან იცლება.

ალბათ, იდეების ისტორიაში ეპიკურეს შემთხვევა ყველაზე უფრო თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს: ეპიკურეს მიერ ბედნიერება/სიამოვნების მიღწევის ფიზიოლოგიური სისტემის აღწერა ადვილად ტრანსფორმირდა ბედნიერების მიღწევის მაქსიმად და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ადამიანის სოციალური მისწრაფება, იყოს ბედნიერი. არადა, სავსებით შესაძლებელია, რომ ეპიკურე მხოლოდ ადამიანის ფიზიოლოგიური პროფილის შესახებ წერდა: ადამიანის კარგად ყოფნა ნიშნავს სიამოვნების გზით ტანჯვის და ვნების დათრგუნვა/გაქრობას.

როგორც ჩანს, ავეუსტინეს მრისხანებამ გამოიწვია, ერთი მხრივ, ეპიკურეს დავინყება შუა საუკუნეების განმავლობაში, ხოლო არსიტოტელეს ავტორიტეტმა, მეორე მხრივ, ეპიკურეს ფიზიოლოგიური თეორია ეთიკის თეორიად გადააკეთა. ვერ იტყვი, რომ საბოლოოდ, ამ გაუგებრობამ ცუდი შედეგები მოიტანა – ბოლოს და ბოლოს – დემოკრატის თეორიის უტილიტარისტული დაფუძნება მოხდა, თუმცა ამ დაფუძნებას არაფერი ჰქონდა საერთო ეპიკურეს ფიზიოლოგიურ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანის ძირითადი, ფიზიოლოგიური სწრაფვა სიამოვნების მიღებაა.

საგულიხმოა, და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ეპიკურეს გაგება ახალ დროში საკმაოდ დაშორდა თავის პირვანდელ იდეას: შემორჩენილი ციტატების მიხედვით აღდგენილი, ეპიკურეს პოლიტიკური თეორია მთლიანად ეწინააღმდეგება იმ დასკვნებს, რაც მისმა მიმდევრებმა, მის „ბედნიერების თეორიაზე“ დაყრდნობით გააკეთეს. როგორც პლუტარქე წერს (Plutarch, 1128c), ეპიკურე მცირე სიამოვნებების და შეუმჩნეველად ცხოვრების მომხრე იყო, რადგანაც აქტიური პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ ზიანის მომტანი იყო მისთვის. მით უმეტეს, ულტრანდივიდუალისტური თეორიის ავტორს ალბათ მიაჩნდა, რომ იმ სიამოვნების მიღება, რომლისკენაც ადამიანები პოლიტიკაში მონაწილეობით ისწრაფვიან, უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ შეიძლება. ამიტომ იყო, რომ, როგორც ამბობენ, ეპიკურე გადაჭარბების წინააღმდეგი იყო – რადგან გადაჭარბებას ტკივილი მოაქვს.

საბოლოოდ, ამ მცირე განხილვიდან თითქოს ირკვევა, რომ ის, რაც შემდგომ ეპოქებში ეპიკურეს ეთიკურ თეორიად მიაჩნდათ, მისი ბიოლოგიური ანთროპოლოგია იყო, ხოლო ის, რაც პოლიტიკურ თეორიად – ეთიკის სწავლება.

შემდგომ თავებში მე კიდევ დავუბრუნდები ეპიკურეს შესაძლებელ თეორიას. ამჯერად ვნახოთ, რას გვეუბნება თანამედროვე მეცნიერება ტვინის, სხეულის და სიამოვნების მიღების შესახებ.



## ჩვენი ტვინი და ჩვენი ცნობიერება

ამ თავში აღწერილია ცნობიერება, როგორც ტვინის (უმაღლესი ნერვული სისტემის) მოქმედების სოციალურ სისტემაში პროექციის აღქმა. რაც უფრო რთულია ეს აღქმა, მით უფრო რთულია ტვინი. შესაბამისად, ცნობიერება ამავე დროს თვით-ცნობიერებაცაა. ცნობიერების განვითარების პროცესი სიამოვნების მიღების/შეკავების სწავლის პროცესია: ახალდაბადებული, ტვინის მქონე არსება, სწავლობს, რომ მისი სურვილების დაკმაყოფილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, ასევე, სწავლობს იმასაც, რომ სურვილის მყისიერი დაკმაყოფილება არ არის დაკავშირებული სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტასთან. რაც უფრო რთული და ხანგრძლივია სიამოვნების მიღების გზების და მეთოდების დასწავლის სისტემა, მით უფრო რთულ ტვინთან და რთულ ცნობიერებასთან გვაქვს საქმე. აღზრდის სისტემა სხვა არაფერია, თუ არა სიამოვნების მიღების გადავადების და სიამოვნების მიღების ტექნიკების სწავლა. შესაბამისად, რაც უფრო მრავალფეროვანია სიამოვნების მიღების დასწავლის სისტემა, მით უფრო მეტი შანსი აქვს ამ სისტემით აღზრდილს, იყოს წარმატებული. ცნობიერებას აქვს ორი დონე: ერთი – თვითცნობიერება, როდესაც ცოცხალი არსება აღიქვამს საკუთარი ტვინის მოქმედების პროექციას სოციალურ სისტემაში, ანუ ცხოვრობს, როგორც მას ასწავლეს, რეაგირებს გარე გამაღიზიანებლებზე, იღებს სიამოვნებას, როგორც ასწავლეს და ირიდებს ტანჯვას, ხოლო მეორე დონე, რომელსაც შეიძლება თვითრეფლექსია დავარქვათ, არის დონე, როდესაც ცოცხალი არსება იწყებს მეტი სიამოვნების მიღების მიზნით საკუთარი ცხოვრების დაგეგმვას. ცნობიერების ეს ორი დონე, მეტ-ნაკლებად, ტვინის მქონე ყველა არსებას ახასიათებს.

ცნობიერება არის ჩვენი ტვინის (უმაღლესი ნერვული სისტემის) მოქმედების სოციალურ ქცევაში (სისტემაში) პროექციის აღქმა. სოციალურ სისტემაში პროეცირების გარეშე არ არსებობს ნერვული სისტემა. ხოლო ცნობიერება იწყებს არსებობას, როდესაც ხდება ტვინის მოქმედების პროექციის აღქმა. რაც უფრო სრულია ეს აღქმა, მით უფრო რთულ ნერვულ სისტემასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ცნობიერება ამავე დროს თვითცნობიერებაცაა, ხოლო თვითცნობიერების ხარისხი (სისრულე) განასხვავებს ცნობიერების მქონე არსებებს ერთმანეთისაგან: რაც უფრო რთულია ტვინი, მით უფრო სრულია თვითცნობიერება.

შესაბამისად, ტვინის შესახებ მსჯელობისას, შესაძლებელია ვიმსჯელოთ ტვინზე, როგორც მეცნიერების ობიექტის შესახებ, და შესაძლებელია ვიმსჯელოთ ტვინის შესახებ იმ პროექციის მიხედვით, რომელიც სოციალურ სისტემაში ხდება.

თუკი ცნობიერება არსებობს, მისი მუშაობა (ანუ პროექციის აღქმა) პროექციასთან ერთად იწყება. შესაბამისად, სოციალურ სისტემაში ტვინის მოქმედების პროექცია და ამ პროექციის აღქმა ერთდროული პროცესია.

განვიხილოთ, თუ როგორ ხდება [თვით]ცნობიერება: ახალდაბადებული ბავშვი თავიდანვე სწავლობს, რომ სიამოვნების მიღება (წარმოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილება) შესაძლებელია შესაბამისი ფიზიკური აქტიურობით: ტირილი – ჭამა; ტირილი – შემანუხებელი სისველისაგან გათავისუფლება და ა.შ.

შესაბამისად, ტვინის მუშაობის პირველი პროექცია სოციალურ სისტემაში სურვილის შესრულების და, შესაბამისად, სიამოვნების მიღების მექანიზმების გამოცდა და სწავლაა. სიამოვნების პირველად მიღება დაკავშირებულია სასიცოცხლო ფუნქციებთან. შესაბამისად, ადამიანი დაბადებიდანვე

სწავლობს, რომ მისი სურვილის შესრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შემდეგ, რაც უფრო იზრდება, სწავლობს სიამოვნების მიღწევის გზებს და ასევე იმასაც, რომ სიამოვნების მიღწევა, როგორც წესი, არ არის მყისიერი. სწავლება შეიძლება მიმდინარეობდეს სოციალურ სისტემაში უბრალო ყოფნით, ან სპეციალური სისტემის საშუალებით, რომელიც არსებობს იმისათვის, რომ ადამიანმა ისწავლოს სიამოვნების მიღების საშუალებები (როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროექტები). ამავე პროცესში ადამიანი სწავლობს, რომ სიამოვნების მყისიერი დაკმაყოფილება არ არის სასიცოცხლო ფუნქციასთან დაკავშირებული და დაკმაყოფილების გადავადება არ იწვევს სიკვდილს.

პრინციპში, ნებისმიერი არსება, რომელსაც უმაღლესი ნერვული მოქმედება აქვს, ამ სქემის მიხედვით ზრდის თავის ნაშიერებს. ხოლო ის, თუ რამდენად ხანგრძლივია ეს აღზრდა, გვიჩვენებს, რამდენად რთულია ამა თუ იმ უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედება.

ხოლო აღზრდის პროცესის ხანგრძლივობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის, რა ასაკში აღწევენ ნაშიერები ზრდასრულობას – ფიზიკურად და ფიზიოლოგიურად. რაც უფრო ხანგრძლივია ბავშვობა, მით უფრო ხანგრძლივია სწავლების დრო, მით უფრო რთულია ტვინის მოქმედება და, შესაბამისად, ტვინის მოქმედების პროექცია სოციალურ სისტემაში.

ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციაც ამ სქემით მიმდინარეობს: სოციალური ქცევით ევოლუციის კომუნიკაციური თეორიის მიხედვით (იხ. წინა თავი), ევოლუცია მიმდინარეობს სოციალური ქცევის გართულებით, რაც ამავე დროს ნიშნავს ტვინის მუშაობის პროექციის და ამ პროექციის აღქმის გართულებას.

იმ სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანი სწავლობს

სიამოვნებისკენ სწრაფვის (ტანჯვა-ვნების გაქრობისკენ) არამყისიერებას და ამ სიამოვნების მიღწევის სხვადასხვა ტექნიკას, განათლების და აღზრდის პროცესი ჰქვია. შესაბამისად, განათლების პროცესიც ინფორმაციის მაქსიმალურად ადეკვატურად მიღების და გადაცემის სწავლებაა, რომლის საბოლოო მიზანიც – სიამოვნების მაქსიმალურად დაუბრკოლებელი მიღებაა: იმ სიამოვნების, რომლის შესახებაც ადამიანის პირველი გამოცდილება ის არის, რომ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებაა.

როდესაც ბავშვი აწყდება პირველ აკრძალვას, ის პირველად ხვდება [თვით]ცნობიერების აქტი: ის აღმოაჩენს, რომ სიამოვნების მიღების მის წესს დაბრკოლება შეექმნა. ანუ, ის პირველად აღიქვამს საკუთარი ტვინის მოქმედების პროექციას სოციალურ სისტემაში. შესაბამისად, ცნობიერების პირველი აქტი არის რეაქცია აკრძალვაზე: მას ხვდება წინააღმდეგობა და ის აცნობიერებს, რომ მისი მოქმედება არ იძლევა მოსალოდნელ შედეგს. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, განვიხილოთ აღზრდა და განათლება, როგორც [თვით]ცნობიერების განვითარება, ანუ იმ უნარებისა და ცოდნის განვითარება, რომლებიც კონკრეტულ ინდივიდს აძლევს საშუალებას, დაინახოს აკრძალვების/წარუმატებლობების მიზეზები, აკონსტრუიროს მიზნის (სიამოვნების) მიღწევის გეგმა და განახორციელოს ის.

გარდა ამისა, აღზრდა/განათლების სისტემა ასწავლის ბავშვს სიამოვნების მიღწევის გზებს და ფორმებს: სპორტი, კითხვა, თამაში – ყოველივე ეს, საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული, სხვა არაფერია, თუ არა სიამოვნების მიღების ფორმების მრავალფეროვნება. შესაბამისად, ცხადია, უკეთესია (არა ფარდობითად, არამედ აბსოლუტურად) განათლების ის სისტემა, რომელიც სიამოვნების მიღების უფრო მრავალფე-

როვან წესებს ასწავლის, ვიდრე ის, რომელიც ამ სასწავლო წესების რაოდენობას ზღუდავს.

შესაბამისად, აკრძალვის/წინააღმდეგობის ანალიზის რაც უფრო მეტ მეთოდს/წესს ფლობს ბავშვი/მოზარდი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას, მიიღოს სასურველი სიამოვნება და, შესაბამისად, ჯანმრთელი ფსიქიკა.

ანუ მივედით დასკვნამდე, რომ ჯანმრთელი ფსიქიკა და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრების გასაღები [თვით]ცნობიერების განვითარებით ხდება, კონკრეტულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტვინის მოქმედების სოციალურ სისტემაში პროექციის აღქმის უნარის განვითარებით.

თვითცნობიერება, ანუ იმის გაცნობიერება, რომ „შენ“ არსებობ, შენი მოქმედება არსებობს, ცოდნა იმისა, თუ როგორ აირიდო ყოველდღიური ტანჯვა და წუხილი, არის თვითცნობიერება. მაგრამ არსებობს შემდეგი საფეხურიც, როდესაც ადამიანი იწყებს საკუთარი ცხოვრების დაგეგმვას, რომ საბოლოო ჯამში მაქსიმალურად დიდი რაოდენობის სიამოვნება მიიღოს.

შესაბამისად, თვითცნობიერებას ორი დონე მაინც აქვს: პირველი, რომელიც მას აძლევს საშუალებას, უმტკივნეულოდ იარსებოს სოციალურ სისტემაში, შეასრულოს ის, რაც მას ასწავლეს აღზრდის და განათლების სისტემებით, და მეორე, როდესაც ის, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გეგმავს საკუთარ მომავალ ცხოვრებას. საბოლოო ჯამში, ცნობიერების ეს ორივე დონე ერთ მიზანს ემსახურება: პირველი – ყოველდღიურობაში წუხილის არიდებას და სიამოვნების მიღებას, ხოლო მეორე – მომავალი სიამოვნების მიღების დაგეგმვას. ცხადია, თვითცნობიერების ორივე დონე ახასიათებს ყოველ ცოცხალ არსებას, რომელსაც ტვინის მოქმედების პროექციის აღქმის უნარი გააჩნია და არ არის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი.

თვითცნობიერების მეორე საფეხურზე სუბიექტი იწყებს საკუთარი მოქმედების გაცნობიერებას არა ყოველდღიურ გაღიზიანებაზე პასუხად, არამედ სიამოვნების მიღწევის სტრატეგიის დასაგეგმავად. იმისათვის, რომ ცნობიერების ეს ორი მოდული განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, ამ მეორე საფეხურს შეიძლება თვითრეფლექსია დავარქვათ.

მაშასადამე, ცნობიერებას ორი მოდული აქვს: თვითცნობიერება და თვითრეფლექსია. ეს დასკვნა მივიღეთ არა მსჯელობის ფორმების განხილვიდან, როგორც დღეს ეს ცნობიერების ფილოსოფიის უმეტეს ტექსტებში ხდება, არამედ, ტვინისა და სოციალური სისტემის ურთიერთქმედების ანალიზიდან.

სანამ ამ მსჯელობას გავაგრძელებდეთ, საჭიროა, უფრო დაწვრილებით მიმოვიხილოთ, თუ რას ამბობს თანამედროვე მეცნიერება ტვინში მიმდინარე პროცესების შესახებ.

## სიამოვნების გამომწვევი ნივთიერებების წარმოშობა ტვინში და მისი სოციალური პროექციები

ამ თავში, ბიოლოგიის და ფიზიოლოგიის თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ტვინი მუშაობს, როგორც ალგზების წარმოშობა/ჩაქრობის რთული სისტემა, სხვადასხვა ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფის გზით, საბუთდება: 1. ის, რომ, თუკი სოციალური ქცევა არის ტვინის მოქმედების პროექცია სოციალურ სისტემაში, მაშინ სოციალური ქცევის მიზანიც სიამოვნების მიღება ყოფილა; 2. განათლების სისტემა არის სიამოვნების მიღების გზებისა და მეთოდების სწავლა/კონსტრუირების ინსტიტუციონიზირებული პროცესი; 3. გამოდინარე იქიდან, რომ ეს დრო (სიამოვნების მიღების მდგომარეობის მიღწევამდე) არ არის ერთი და იგივე ყველა ადამიანისათვის, განათლების უნიფიცირებული სისტემა სეგრეგაციულია და ემსახურება მხოლოდ ერთი ტიპის ადამიანების წარმატებას.

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ემოციური ბალანსის, ანუ სიამოვნების მიღება/მიუღებლობის მნიშვნელობას სოციალური და ფსიქიკური სისტემებისათვის (Cohen... 2004; Maulick... 2009): კონკრეტული მოქმედებებისას, რომელთა საბოლოო მიზანი სიამოვნების მიღებაა, ადამიანის ორგანიზმში წარმოიშობა კონკრეტული ნივთიერებები (ოპიოიდები), რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ რელაქსაციას, აუქმებენ სტრესის მიერ გამოწვეული სხვა ნივთიერებების მოქმედებას (Drolett... 2001). ამ კონკრეტული ნივთიერებების (ოპიოიდების) წარმოშობის გამომწვევია სპეციფიკური სოციალური ქცევა. ეს ქცევა და

მისი შედეგი, კონკრეტული ოპიოიდი, იცავს ადამიანის ტვინს სტრესისაგან, რომელიც მას ამ ინტერაქციის გარეშე ემართება. კონკრეტული სოციალური მოქმედებები ადამიანის ორგანიზმში ააქტიურებს სპეციალურ სისტემას (ენდოგენურ ოპიოიდურ სისტემას), რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია იმ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (დოფამინი, ოქსიტოცინი) გამოყოფაზე, რომლებიც ჯერ მოქმედებს კონკრეტული ადამიანის ტვინზე და უზრუნველყოფს მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას (ტვინის და მთელი ორგანიზმის წონასწორობაში შენარჩუნებას (Eisenberger 2012, Valentino 2015), ხოლო შემდეგ – სოციალურ სისტემაზე და იწვევს სოციალური სისტემის წონასწორობას (თევზაძე et al 2016).

ოპიოიდური სისტემა ცენტრალურ როლს თამაშობს ტკივილის აღქმასა და გაუტკივარებაში [Holden... 2005]. გარდა ამისა, ის მონაწილეობს ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესში, ისეთებში, როგორებიცაა პასუხი სტრესზე, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების მუშაობა, ენდოკრინული და იმუნური პროცესების მიმდინარეობა, ჰედონისტური გუნება-განწყობილების და ხასიათის ფორმირება, ეიფორიული მდგომარეობის და მიჩვევის ფენომენის ჩამოყალიბება [Kelly 2004; Kelly... 2002].

ამრიგად, ოპიოიდური სისტემა, განსაკუთრებით ტვინის ის უბნები, რომლებიც ოპიოიდების გამოყოფაზეა პასუხისმგებელი, მონაწილეობს იღებს ყველა იმ მექანიზმის ფუნქციონაში, რომლებიც ქცევითი რეაქციების (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) განმტკიცებასთან (ანუ დასწავლასთან) და დადებითი შედეგის (სიამოვნების) მიღებასთან არის დაკავშირებული (Khachaturian... 1993).

როგორც ვხედავთ, ტვინში მუშაობს სტრესისა და ტკივილის ჩამქრობი პროცესი. სოციალური ქცევა იწვევს, როგორც



სტრესს, ასევე, ამ სტრესის ჩამქრობი ნივთიერებების გამოყოფას, ანუ ტვინის მოქმედების პროექცია იწვევს, როგორც სტრესსა და ტკივილს, ასევე, ამ სტრესის და ტკივილის უფნებელყოფას. შესაბამისად, თუკი ტვინი მიმართულია სიამოვნების გამომწვევი ნივთიერებების გამოყოფაზე, მისი პროექციაც (სოციალური ქცევა) მიმართულია იმავეზე, ანუ სიამოვნების მიმნიჭებელი ქცევებისა და მექანიზმების ძიებაზე.

როგორც ზემოთ მოყვანილი განხილვიდან გამომდინარეობს, სოციალურ სისტემაში ტვინის მოქმედების პროექციის კონკრეტული ფორმა დამოკიდებულია ენდოგენული ოპიოიდების სისტემის მუშაობაზე: როგორ, რამდენად სწრაფად და რა პირობებში ხდება ოპიოიდების გამომუშავება და, შედეგად, კონკრეტული ქცევიდან გამომდინარე, სიამოვნების მიღება. ეს უკანასკნელი კი განამტკიცებს ქცევას, განაპირობებს დასწავლას და უზრუნველყოფს ტვინის დასვენება/მომზადებას ახალი გაღიზიანებისა და ახალი სიამოვნებისათვის.

შესაბამისად, წინა პარაგრაფში დასმულ საკითხს რომ დაეუბრუნდეთ, უნდა ვიკითხოთ, არის თუ არა გაღიზიანებიდან სიამოვნების მიღებამდე დრო მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე? ანუ ხომ არ არის სოციალურ სისტემაში ადამიანის ტვინის მუშაობის პროექციის აღქმა (თვითცნობიერება) სტანდარტული? ანუ კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ ეს კითხვა, ხომ არ არის გაღიზიანების და გაღიზიანების ჩამქრობი ნივთიერების გამოყოფის დრო სტანდარტული ყველა ადამიანისათვის და, შესაბამისად, ყველა ტვინისათვის?

ეს არ არის ჩვეულებრივი კითხვა: თუკი დრო, რომელიც ადამიანს აქვს რეცეპტორების გაღიზიანებიდან დაწყნარებამდე, სტანდარტულია, მცირე გადახვევებით, მაშინ ეს აისახება სწავლების სისტემაზე: თუკი სიამოვნების მოთხოვნილებიდან სიამოვნებამდე დასაშვები დრო მეტ-ნაკლებად ერთნაირია,

მაშინ, შესაძლებელია, ადამიანები მეტ-ნაკლებად ერთნაირად აღვზარდოთ: ერთნაირად ვასწავლოთ სიამოვნების მიღების ტექნიკები და უნარები.

ეს არ არის ჰედონიზმის ფილოსოფია, მისი ყოველდღიური გაგებით: მიუხედავად იმისა, რომ ტვინი რთული მექანიზმია, მისი პროექციის განვითარება ალგებრა/დანყნარებაზეა ორიენტირებული: სხვა ყველაფერი – დამახსოვრების მექანიზმები, სარკისებური ნეირონები, ტვინის ქერქი – ამ ორი იმპულსის კონტექსტშია: როგორც ზემოთ დავწერე, ბავშვობის და მოზარდობის პერიოდში ხდება აღზრდა და განათლება, რაც, სხვა არაფერია, თუ არა სიამოვნების იმწამსვე დაკმაყოფილების სურვილის მართვის და სიამოვნების (ენდოგენული ოპიოიდების გამოყოფის) მიღწევის ტექნიკების სწავლა.

შესაბამისად, თუკი სოციალური ქცევა სოციალურ სისტემაში ტვინის მოქმედებს პროექციაა, მაშინ, ტვინი იმის პროექცირებასაც ახდენს, რაც მისი ნორმალური მუშაობის საფუძველია – ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფის გზებისა და საშუალებების ძიებას. შესაბამისად, კულტურული და პოეტური დანამრევეები რომ მოვაშოროთ, მივიღებთ, რომ ბავშვის სწავლების, აღზრდის და განათლების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ტვინის გაღიზიანებიდან ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფამდე დროის პერიოდის მაქსიმალური გაზრდა და ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფის ტექნიკების შესწავლა.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს განათლების თეორიის და განათლების ფილოსოფიის ისტორიას, ადვილად მიხვდება, რომ ამ კითხვაზე პასუხი კულტურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა იყო: შუა საუკუნეებში და ახალ დროში არსებობდა შეხედულება, რომ არსებობს სტანდარტული მოთხოვნები, რომელთა მიმართაც ადამიანი სხვადასხვანაირად ავლენს თავს: ან ვერ ასრულებს, ან ასრულებს, ან ასრულებს ძალიან

კარგად. შესაბამისად, ისინი, ვინც ვერ ასრულებდნენ, იყვნენ წარუმატებლები, ვინც ასრულებდნენ, იყვნენ ნორმალურები, ხოლო ვინც ძალიან კარგად და ადვილად ასრულებდა, ანუ კარგად და ადვილად ითვისებდა სიამოვნების მიღების ტექნიკას და უნარებს, ისინი ითვლებოდნენ ძალიან წარმატებულებად.

თუმცა, ახალ დროში და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში, ცხადი გახდა, რომ უნიფიცირებული განათლების სისტემა წარუმატებელია იმ აზრით, რომ ის ვერ ახერხებს ყოველი ინდივიდის შესაძლებლობების გამოვლენა/განვითარებას. ეს, ზემოთ შემუშავებულ კოდირების სისტემის მიხედვით, ითარგმნება, როგორც სიამოვნების მიღების განსხვავებული ტექნიკებისადმი მიდრეკილებების უგულებელყოფა.

## ჰოვარდ გარდნერის მრავალი ინტელექტის თეორია

განხილულია ჰოვარდ გარდნერის მრავალი ინტელექტის თეორია და დასმულია კითხვა, თუ როგორ მოხერხდა ამდენი ინტელექტის (უნარის) შენარჩუნება ადამიანის ევოლუციის და ქცევითი გადარჩევის პროცესში, თუკი ამ უნარებიდან ზოგიერთი, მხოლოდ რამდენიმე ათასი წელია, რაც აქტუალურია (მაგ., ლოგიკურ-მათემატიკური) და, წესით, არ უნდა შენარჩუნებულიყო.

ამ პოზიციის ყველაზე უფრო გამორჩეული ჰოვარდ გარდნერის მულტიინტელექტის თეორიაა, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა ინტელექტი აქვს (Gardner, 1985). სკოლის მოსწავლეებზე ჩატარებულ ცდების საფუძველზე გარდნერმა თავისი თეორიის პირველ ვერსიაში ინტელექტის (უნარის) შვიდი ტიპი გამოყო; ესენია: ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინეტიკური, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური, მუსიკალური, ლოგიკურ-მათემატიკური და ლინგვისტური. გარდნერის მიხედვით, ეს ის ძირითადი უნარებია, რომელთა საშუალებითაც ადამიანი ოპერირებს სამყაროში, ანუ რომელთა საშუალებითაც ახორციელებს, როგორც [თვით] ცნობიერებას, ასევე, თვითრეფლექსიას.

თითოეული ინტელექტი შემდეგნაირად აღინერება:

**ვიზუალურ-სივრცითი** – აზროვნებენ ფიზიკური სივრცის ცნებებით, როგორც, მაგ., არქიტექტორები და მეზღვაურები. კარგად ერკვევიან საკუთარ გარემოში. უყვართ ხატვა, პაზლების (მოზაიკური თავსატეხების) აწყობა, რუკებში გარკვევა, ოცნება. მათი სწავლება უნდა ხდებოდეს ხატვით, სიტყვიერი და ფიზიკური წარმოსახვის საშუალებით. სასწავლო საშუაოები

უნდა შეიცავდეს მოდელებს, ნახატებს, სამგანზომილებიან (3D) მოდელირებას, ვიდეოკონფერენციებს, ტელევიზიას, მულტიმედიას, ტექსტს ვიზუალური თვალსაჩინოებით (ნახატებით/ცხრილებით/გრაფიკებით).

**სხეულებრივ-კინეტიკური** – იყენებენ სხეულს ეფექტიანად, როგორც მოცეკვავეები ან ქირურგები. კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი სხეული. უყვართ მოძრაობა, შეხება, კეთება. კარგად ამყარებენ კომუნიკაციას სხეულის ენით. მათ უნდა ისწავლონ ფიზიკური აქტივობით, შეხებით სწავლებით, როლური თამაშებით. სასწავლო საშუალებები უნდა შეიცავდეს რეალურ ობიექტებს და აღჭურვილობას.

**მუსიკალური** – მგრძნობიარენი არიან რიტმის და ბგერების მიმართ, უყვართ მუსიკა, მაგრამ, ამავე დროს მგრძნობიარენი არიან მათ გარემოში არსებული ბგერების მიმართაც. ისინი უკეთესად სწავლობენ მუსიკის ფონის თანხლებით. მათ უნდა ისწავლონ გაკვეთილებში პოეტურობის გამოყენებით, რიტმული ლაპარაკით, რიტმული დარტყმებით. სასწავლო მასალები უნდა შეიცავდეს მუსიკას, რადიოს, სტერეოსისტემას, CD-ROM-ებს, მულტიმედიას.

**ინტერპერსონალური** – ესმის სხვების და ურთიერთობს სხვებთან. ეს მოსწავლეები სწავლობენ ურთიერთობის საშუალებით. ჰყავთ ბევრი მეგობარი, არიან ემპათიურები. მათ უნდა ისწავლონ გუნდური მუშაობით, სემინარებით, დიალოგით. სასწავლო საშუალებებში უნდა შედიოდეს ტელეფონი, აუდიოკონფერენცია, ინსტრუქტორის დრო, ვიდეოკონფერენცია, წერა, კომპიუტერული კონფერენცია, ელექტრონული ფოსტა.

**ინტრაპერსონალური** – კარგად აცნობიერებენ საკუთარ ინტერესებს, მიზნებს. ეს მოსწავლეები, როგორც წესი, ძალიან მორცხვები არიან. ძალიან ჩაღრმავებულები არიან თავის შინაგან გრძნობებში. მათ აქვთ სიბრძნე, ინტუიცია და მოტივაცია,

ისევე, როგორც ძლიერი ნება, დარწმუნებულობა და საკუთარი აზრი. მათ უნდა ისწავლონ დამოუკიდებელი, ინდივიდუალური პროგრამით. სასწავლო საშუალებები შეიცავს წიგნებს, დღიურებს, პრივატულობას და დროს. ეს მოსწავლეები ყველაზე უფრო დამოუკიდებლები არიან სხვა ინტელექტების მქონეებთან შედარებით.

**ენობრივი** – ეფექტიანად იყენებენ სიტყვებს. ამ მოსწავლეებს აქვთ კარგად განვითარებული აუდიტორიული უნარები და ხშირად ფიქრობენ ლაპარაკით. მათ უყვართ კითხვა, სიტყვებით თამაში, ლექსების ან მოთხრობების წერა. მათ უნდა ისწავლონ შეგულიანებით, რომ თქვან და დაინახონ სიტყვები, წიგნების ერთად კითხვით. სასწავლო მასალები მოიცავს კომპიუტერებს, თამაშებს, მულტიმედიას, წიგნებს, ჩამწერებს და ლექციებს.

**ლოგიკურ-მათემატიკური** – მსჯელობა, თვლა. აზროვნებენ ცნებებით, აბსტრაქტულად და შეუძლიათ დაინახონ წესები და კავშირები. უყვართ ექსპერიმენტირება, თავსატეხების ამოხსნა, რთული, „კოსმოსური“ კითხვების დასმა. მათ უნდა ასწავლოთ ლოგიკური თამაშებით, გამოძიებით, საიდუმლოებების ამოხსნით. მათ ჯერ უნდა ისწავლონ ცნებები და შემდეგ ჩაუღრმავდნენ დეტალებს.

შემდგომ კვლევებში და ინტერვიუებში გარდნერმა ამ 7 ძირითად უნარს (ინტელექტს) დაუმატა ნატურალისტური და ეგზისტენციური (მორალური) უნარები.

ზემოთ აღწერილი ტვინის მოქმედებიდან გამომდინარე, ამ შვიდ უნარს უნდა ახლდეს ალგზნების ჩამქრობი, სულ მცირე, შვიდი ტექნიკა.

ცხადია, და ამას არც გარდნერი უარყოფდა, რომ ამ თეორიაში სწავლების უნარები უფრო იგულისხმება, ვიდრე ინტელექტის ტიპები. თუმცა საკითხავია, როგორ მოახერხა სწავლის ამდენმა უნარმა ევოლუციურად გადარჩეულ-გადარჩენილიყო,

როდესაც ადამიანის განვითარების დიდ პერიოდებში ამ უნარებიდან რამდენიმე აშკარად არ იყო მოთხოვნილი: მაგალითად, ლოგიკურ-მათემატიკური უნარის გამოყენება საკმაოდ გვიან უნდა გამხდარიყო აქტუალური, ცივილიზაციის დასაწყისთან ერთად. სად იყო ეს უნარი იქამდე, ვიდრე ადამიანებს ის არ სჭირდებოდათ და როგორ შემორჩა – გაუგებარია. ამიტომ, ალბათ უფრო ადეკვატური იქნება ვილაპარაკოთ და ვიმსჯელოთ იმ ძირითად უნარებზე, რომლებიც შემდგომ ამ შვიდი თუ რვა უნარის განვითარებას დაედო საფუძვლად.

ვფიქრობ, ამ და სხვა, ადამიანის თუ მისი ინტელექტის ტიპებთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხი ადამიანის და მისი ქცევის ევოლუციაში უნდა ვეძებოთ, რაც საბოლოოდ გაგვცემს პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ალგზნება-ალგზნების ჩაქრობის დრო მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული. ეს კი, თავის მხრივ, გაგვცემს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვანყოთ სასწავლო გარემო იმ ჩარჩოში, რომელიც პირველ ნაწილში აღვწერეთ და რომელიც გულისხმობს პლატონისეული პარადიგმის პითაგორული პარადიგმით „ჩუმი“ ცვლილების აქტიური ცვლილებით ჩანაცვლებას.

## ადამიანის ქცევის ევოლუცია და ინტელექტის ორი ტიპი

ადამიანის ქცევის ევოლუციის განხილვას მივყავართ ორი ტიპის ინტელექტის არსებობის დაშვებამდე: პერფორმანსული, რომელიც ჰომო საპიენს საპიენსების მემკვიდრეობაა და კვლევითის, რომელიც ჩვენი ნეანდერტალელი წინაპრებისგან მომდინარეობს. ორივე ეს ინტელექტი ჩამოყალიბდა კონკრეტული გარემოს და სოციალური პირობების გავლენით და ძირითადად, განსხვავდება ერთმანეთისგან იმ დროით, რომელიც ტვინს სჭირდება აღგზნებიდან სიამოვნების (ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფამდე) მიღწევამდე: პერფორმანსული ინტელექტი ახასიათებს ისეთ ტვინს, სადაც ეს დრო მოკლეა, ხოლო კვლევითი ინტელექტი – ისეთ ტვინს, სადაც ეს დრო ფარდობითად ხანგრძლივია. ორივე ეს მემკვიდრეობა კაცობრიობის უმრავლესობაშია და, თუ რომელი ინტელექტი პრევალირებს, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ძლიერი ან სუსტია ნეანდერტალელის თუ ჰომო საპიენს საპიენსის გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ თეორიულ დაშვებამდე მივყავართ მსჯელობას მოშინაურების ახალი თეორიის, ვირთაგვებზე რეალური თუ ჰიპოთეზური ექსპერიმენტების და მენტალური გადახრის ახალი ჰიპოთეზის განხილვის გზით.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი ადამიანის წარმოშობის და განვითარების გარშემო არსებულ სააზროვნო სივრცეში, არის კითხვა მოშინაურების შესახებ.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მოშინაურება ადამიანის განმსაზღვრელი გარე ფაქტორია: დღეს ჩვენ ძნელად თუ წარმოგვიდგენია რაიმე კულტურა, სადაც მოშინაურებულ ან მიჩვეულ ცხოველს/მცენარეს მნიშვნელოვანი ადგილი არ



უჭირავს. ევრაზიულ კონტინენტზე წარმოშობილ ცივილიზაციაში მოშინაურება ცივილიზაციის სინონიმადაც შეიძლება განვიხილოთ. ოდნავი დაფიქრების შედეგად ცხადი ხდება, რომ მოშინაურებული ჯიშების მიღებას წინ უძღოდა მიჩვევის მრავალსაუკუნოვანი პერიოდი. ცხადია, თავიდან არც ის კულტურული მცენარეები იყო ისეთები, როგორებიც დღეს არიან და არც ის ცხოველები იყვნენ ისეთი მორჩილები და რენტაბელურები, როგორადაც დღეს გამოიყურებიან. იდეა, რომ მიჩვევა/მოშინაურება ვინრო პრაქტიკული მიზნებით ხდებოდა, მომხიბვლელია, მაგრამ ვერ უძლებს დროის არგუმენტის დაპირისპირებას: კულტურული ჯიშების მიღებას, როდესაც ხელოვნური გადარჩევა მიზანმიმართულად არ მიმდინარეობს, ასწლეულები სჭირდება, თუ ათასწლეულები არა. ამიტომ, საეჭვოა, რომ მიჩვევის ათასწლეულების განმავლობაში პირველყოფილ ადამიანებს მომავალი რენტაბელური, საკვებად კარგად გამოსაყენებელი ჯიშის გამოყვანა ამოძრავებდათ.

გარდა იმისა, რომ გარეული ცხოველების და მცენარეების მოშინაურება და მიჩვევა ადამიანის განმსაზღვრელი მახასიათებელია, მოშინაურების წინაისტორიული ცენტრები, რომელთა შესახებაც დღეს ინფორმაცია გვაქვს, მსოფლიოში არათანაბრადაა განაწილებული: მოშინაურების არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება სუბსაჰარის აფრიკასა და ავსტრალიაში, ხოლო მოშინაურების/მიჩვევის დასაწყისის მთელი სიძიძიე მოდის ევრაზიის კონტინენტზე.

დიდი ხნის კვლევის შემდეგ ჩვენ (თევზაძე.. 2016) მივედით დასკვნამდე, რომ მოშინაურების დაწყების, ანუ მიჩვევის დაწყების მიზეზი ენდოგენური ოპიოდების გამოყოფაა. ჩვენ მიერ შემოტანილი მოშინაურება/მიჩვევის განსაზღვრება ასე გამოიყურება: **მოშინაურება არის ადამიანის მიერ შექმნილი, ცხოველების და მცენარეების სახეობათა კონკრეტული, ხში-**

**რად გენეტიკური მოდიფიკაციის საშუალებით მიღებული, ინდივიდების და მათი მოქმედების შედეგების განმეორებითი, სოციალური და ინდივიდუალური გამოყენების სისტემა, ადამიანის ორგანიზმის მიერ ენდოგენური ოპიოიდების დიდი რაოდენობით გამომუშავების მიზნით. როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, მიჩვეული ცხოველების მომდევნო საკვებად ან სხვა მიზნით გამოყენება მიჩვევა/მოშინაურების პრინციპის კონკრეტული, ერთ-ერთი და არა ერთადერთი განხორციელებაა.**

ის, რომ ჩვენს სამყაროში გვეგონია, რომ მოშინაურებული ცოცხალი სამყაროს მთავარი დანიშნულება ადამიანების გამოკვებაა, არანაირად არ არის ახლოს მოშინაურება/მიჩვევის, როგორც ადამიანის ქცევის, წარმოშობასთან. როგორც ჩანს, ცხოველებისა და მცენარეების მიჩვევის დასაწყისი იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა: შემთხვევითი არ არის, რომ პირველად ცხოველების სახეობებიდან მოშინაურდა მგელი, ხოლო მცენარეებიდან – ის მცენარეები, საიდანაც ალკოჰოლის მიღება ტექნოლოგიურად ადვილი იყო. შესაბამისად, მოშინაურების, როგორც ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციის ღერძის, საფუძველი ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, სიამოვნების მიღებაა: როდესაც ურთიერთობა გვაქვს შინაურ/მიჩვეულ ცხოველთან, ჩვენს ტვინში გამოიყოფა ენდოგენური ოპიოიდები, რომლებიც აქრობენ წარმოშობილ ალგზებას და უზრუნველყოფენ ჯანმრთელ, დაუზიანებელ ტვინს და, შესაბამისად, მის ადეკვატურ პროექციასაც.

თუკი ეს ასეა, რატომ ხდება მოშინაურება/მიჩვევის დასაწყისი მხოლოდ ევრაზიის კონტინენტზე და აფრიკის კონტინენტზე – არა? პალეონტოლოგიური მასალა დაჟინებით გვეუბნება, რომ აფრიკის კონტინენტზე არც ერთი ცხოველი არ მოშინაურებიათ. რაც შეეხება მცენარეებს – მართალია, აფრიკაში ბევრი მცენარე გამოიყენება ტრადიციულ კულტურებში, მაგრამ არც

ერთი კულტურული მცენარე არ წარმოშობილა ადგილობრივად.

ამ უცნაურ კითხვაზე პასუხი თანამედროვე ადამიანების წინაპრებშია, რომლებიც დაახლოებით 50 000 წლის წინათ შეხვდნენ ერთანეთს ევრაზიის კონტინენტზე: ჰომო საპიენს ნეანდერტალელები, რომლებიც დაახლოებით 500 000 წლის წინათ გადმოვიდნენ აფრიკის კონტინენტიდან ევრაზიის კონტინენტზე და ჰომო საპიენს საპიენსები, რომლებმაც სწორედ 50 000 წლის წინ შეაღეს ევრაზიის კონტინენტის კარები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტი კვლევის შედეგები ქვეყნდება, რომლებშიც ცდილობენ დაასაბუთონ ჰომო საპიენს საპიენსის, ანუ აფრიკელი ადამიანის უპირატესობა ჰომო საპიენს ნეანდერტალელთან შედარებით (McCarthy, 2016), ფაქტია, რომ ადამიანის ცივილიზაციამ სწრაფი განვითარება ნეანდერტალელის და აფრიკელი ადამიანის შეჯვარების შედეგად დაიწყო. ნეანდერტალელი დაახლოებით 50 000 წლის წინ გაითქვიფა ჰომო საპიენს საპიენსებში, ხოლო პირველი ქალაქები 8-10 000 წლის წინ შეიქმნა. მანამდე არც ევრაზიის კონტინენტზე, სადაც ნეანდერტალელები 500 000 წელს ცხოვრობდნენ, და არც აფრიკის კონტინენტზე, სადაც – ჰომო საპიენს საპიენსები, სულ მცირე, 240 000 წელს, მსგავსი არაფერი მომხდარა.

სავარაუდოა, რომ სწორედ ნეანდერტალელისა და აფრიკელის შეჯვარებამ მისცა დასაბამი ჩვენს ცივილიზაციას. მაგრამ საინტერესოა, რა შეერთდა, როგორც გენეტიკურად, ასევე, კულტურულად: რა იყო ის მნიშვნელოვანი fusion რამაც ჩვენი ცივილიზაცია განაპირობა.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ნეანდერტალელების წვლილი ცხოველებისა და მცენარეების მოშინაურების დაწყება უნდა ყოფილიყო. ნეანდერტალელთა საზოგადოება არ იყო მხოლოდ ამით მნიშვნელოვანი: მათ ჰქონდათ ხელოვნების, მედიცინის

ჩანასახები, როგორც პალეონტოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ (Alper, 2003).

დღეს მეტ-ნაკლებად მიღებულია იდეა, რომ ნეანდერტალური საზოგადოების წევრები მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ: ქალები და ბავშვები ცალკე, ზრდასრული მამაკაცები ცალკე (Binford, 1992). მამრი ნეანდერტალელების ცალკე ცხოვრება, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ევრაზიის კონტინენტის მკაცრი ჰავით და შესაბამისად, საკვების სიმცირით: ძლიერ მამრებს ადვილად შეეძლოთ მიესაკუთრებინათ მთელი საკვები და, შესაბამისად, ეს პოპულაციას დალუპვით დაემუქრებოდა. ცალ-ცალკე ცხოვრება იყო ის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც საშუალებას აძლევდა ნეანდერტალელების პოპულაციას, გადარჩენილიყო, მაგრამ, უარყოფითად მოქმედებდა საზოგადოების განვითარებაზე: პატარა საზოგადოებებში გაცილებით ნაკლებია, როგორც ტექნოლოგიური, ასევე, სოციალური განვითარების შესაძლებლობა, ვიდრე დიდ სოციუმებში.

სავარაუდოა, რომ სწორედ ცხოვრების ამ წესის გამო ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომელიც შედარებით დიდ დროს აძლევდა ნეანდერტალელის ტვინს, ჩაეჭრო ალგზნება: ტვინში ალგზნების ჩაქრობის და ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფის ყველაზე უფრო გავრცელებული წესი, ადამიანების საზოგადოებაში, არის ისევ და ისევ სოციალური ურთიერთობა (Cohen, 2004). როდესაც ინდივიდი ამ ურთიერთობას მოკლებულია (მაგ., ნეანდერტალელი მამრი) მას სჭირდება უფრო დიდი დრო, რაკი ის მყისიერად ვერ პოულობს ალგზნების ჩამქრობ მექანიზმებს.

შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ნეანდერტალელს, სხვადასხვა ფაქტორების დამთხვევის გამო, მიეცა სიამოვნების გამომწვევი მექანიზმების ძიების შესაძლებლობა: ალგზნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა არა მყისიერად, ან მოკლე დროში, არამედ, შედარებით უფრო ხანგრძლივი დროის

განმავლობაში. სწორედ ამ ძიების პოტენციალს უნდა მიეცა ნეანდერტალელებისათვის საშუალება, რომ მათ სოციუმებში, სიმცირის მიუხედავად, ჩასახულიყო მედიცინისა და ხელოვნების ელემენტები.

მეორე საკითხია, როგორი იყო აფრიკელი ადამიანების საზოგადოება, რომელიც 50 000 წლის წინ გადმოვიდა ევრაზიის კონტინენტზე. თანამედროვე ადამიანის წინაპარი დაახლოებით 200 000 წლის წინ გაჩნდა აფრიკის კონტინენტზე. თანამედროვე სუბსაჰარის აფრიკის საზოგადოებები ამ ადამიანების შთამომავლები არიან. მათი პოპულაციების დღევანდელი აღწერა, ასევე, ნამარხი მასალა, საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ აფრიკელი ადამიანის საზოგადოება მრავალრიცხოვანი და რთული იყო (თევზაძე, 2013): საკვების პრობლემა აფრიკაში არ ყოფილა, ხოლო საზოგადოების მრავალრიცხოვნება მათ საშუალებას აძლევდა, თავი დაეცვათ მტაცებლებისაგან, რომელთა უმეტესობა, ევრაზიის კონტინენტისაგან განსხვავებით, აფრიკის კონტინენტზე ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში იყო.

მრავალრიცხოვან საზოგადოებას აქვს უპირატესობები, მაგრამ პრობლემებიც აქვს: როდესაც სოციუმი ბევრ ინდივიდს აერთიანებს, საჭიროა სოციალური წესრიგის განმსაზღვრელი მექანიზმები, რომლებიც ერთი მხრივ, სოციალურ წესრიგს უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების მენტალურ სიჯანსაღეს.

როგორც ზევით დავწერე, ნეანდერტალურ საზოგადოებაში ეს მექანიზმი იყო ძებნა/ძიება: აღგზნებისა და სიმშვიდის მიმნიჭებელი ენდოგენიური ოპიოიდების გამომყოფი მექანიზმების ძებნა და პოვნა. აფრიკელი ადამიანების საზოგადოებაში ეს მექანიზმი განსხვავებული იყო და უკავშირდებოდა მასობრივი რიტუალების შესრულებას (თევზაძე, 2013):

ადამიანის ორგანიზმი ენდოგენულ ოპიოიდებს გამოყოფს

ფიზიკური აქტივობის შესრულების დროსაც (Eizenberger, 2012): როდესაც ფიზიკური აქტიურობა ხორციელდება საზოგადოებაში, ეს გამოყოფა კიდევ უფრო ინტენსიურია. სხვადასხვა მიზეზების გამო (თევზაძე, 2013) აფრიკელი ადამიანის საზოგადოებაში რიტუალის მასობრივი შესრულება გახდა ენდოგენური ოპიოიდების გამოყოფის მთავარი წყარო. დიდი გამაერთიანებელი რიტუალის შესრულება არა მარტო უზრუნველყოფდა სოციუმის სტაბილურობას, არამედ, ამავე დროს, ასრულებდა სოციალური გადარჩევის ფუნქციასაც: ვინც რიტუალში არ/ვერ მონაწილეობდა, სავარაუდოდ, აგრესიულობის/ინდიფერენტულობის მაღალი დონით გამოირჩეოდა და, შესაბამისად, ხდებოდა მისი გამრავლების პოტენციალის ამოღება/გაუქმება.

ასე რომ, აფრიკულ საზოგადოებაში წარმატება დიდწილად იყო დაკავშირებული დიდი გამაერთიანებელი რიტუალების გამოგონება/გაძლიერებასთან; ამ ფუნქციას წარმატებით ასრულებდნენ შამანები. აფრიკელი ადამიანის სოციუმში, შესაძლებელია, სწორედ რიტუალის ორგანიზების და შესრულების უნარის მიხედვით უფრო ხდებოდა წარმატებული წევრების იდენტიფიკაცია, ვიდრე გამორჩეული მონადირეობით ან მეომრობით.

შეიძლება ვთქვათ, რომ სუბსაჰარის აფრიკის ადგილობრივ კულტურებში დიდი გამაერთიანებელი რიტუალების შესრულებისკენ მიდრეკილება დღესაც საყოველთაოა.

ჰომო საპიენსის ეს ვარიანტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და იმდენად გავრცელდა აფრიკის კონტინენტზე, რომ სრულად დაიკავა იგი და დაახლოებით 50 000 წლის წინათ გადმოვიდა ევრაზიის კონტინენტზე, სადაც შეხვდა ნეანდერტალელებს და დენისოველებს (შესაძლოა კიდევ სხვა, ადამიანის ჯერაც აღმოუჩინებლ ქვესახეობებსაც). როგორი სპეკულაციებიც არ უნდა ვაგოთ ამ ორი პოპულაციის შეხვედრის შესახებ, ფაქტია,

რომ აფრიკის გარეთ დღეს არ არსებობს ადამიანების პოპულაცია, რომელსაც არა აქვს ნეანდერტალელის ან დენისოველის გენების კომპლექსი. ეს კი მხოლოდ ერთ რამეს მიუთითებს: აფრიკელი ადამიანის და ევრაზიელი ადამიანის შეჯვარება იმდენად წარმატებული იყო, რომ აფრიკის გარეთ არ დაუტოვა არანაირი შანსი არც „სუფთა“ აფრიკელ და არც „სუფთა“ ნეანდერტალელ/დენისოველ ადამიანს.

ამ ორი პოპულაციის შეჯვარებით მივიღეთ თანამედროვე ადამიანი, რომელმაც შეჯვარების დასრულებიდან (ნეანდერტალელების და დენისოველების აბსორბაციიდან) სულ რაღაც 20 000 წლის შემდეგ შექმნა პირველი ქალაქები და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ცივილიზაციის. ასევე, შესაძლებელია, რომ ადამიანის რასების გარეგნული განსხვავება აფრიკელი ადამიანის სხვადასხვა ევრაზიელ ადამიანთან შეჯვარების შედეგია. თუმცა, ეს სხვა მსჯელობის თემაა.

მიუხედავად იმისა, რომ ევრაზიელი ადამიანების გენეტიკური მემკვიდრეობა თანამედროვე ადამიანში საკმაოდ მცირეა (სხვადასხვა შეფასებით, 4-დან 20%-მდე (Ed Yong, 2014), ადამიანების ორ ჯგუფად დაყოფა (მაგ., კენი/აბელი), შეიძლება ითქვას, კულტურული მუდმივაა და დღემდე აქტუალურია. არ არის გამორიცხული, რომ კეთილ-ბოროტის პერსონიფიცირება არა მეორადი, არამედ პირველადი მოქმედებაა (ანუ შემდეგ მოხდა სიკეთისა და ბოროტების აბსტრაქტირება ადამიანის განსხვავებული მახასიათებლებიდან).

თუმცა, კულტურული მუდმივის განხილვის გარეშეც სავსებით შესაძლებელია, არსებული გამოცდილების საფუძველზე, მოვახდინოთ კაცობრიობის ორ არათანაბარ ჯგუფად დაყოფა, ჩვენი წინაპრების სოციალური სისტემების და ენდოგენური ოპიოიდების უზრუნველმყოფი სისტემების მიხედვით: პერფორმანსზე, ანუ დიდ გამაერთიანებელ რიტუალში მონაწილეობაზე

ორიენტირებულებად და კვლევა-ძიებაზე ორიენტირებულებად.

ეს დაყოფა შესაძლებელია ინტელექტის ორ ფორმადაც, ორ ძირითად უნარადაც გადმოვცეთ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანები მკაცრად იყოფიან პერფორმანსზე და კვლევაზე ორიენტირებულებად: თუ ეს დაყოფა ახლოა სინამდვილესთან, გენეტიკურ დონეზეც კი ყველა (არა სუბსაჰარაში მცხოვრები) ადამიანის ინტელექტს ორივე უნარი უნდა ჰქონდეს, როგორც პერფორმანსული, ასევე, კვლევითი.

ეს არ არის ისეთი დაყოფა, როდესაც პერფორმანსული მხოლოდ თეატრალურ ნიჭს ნიშნავს, ხოლო კვლევითი მხოლოდ მეცნიერულს: ემპირიულ დონეზეც კი შეგვიძლია მოვახდინოთ მეცნიერის იდენტიფიკაცია, რომლის ინტელექტიც პერფორმანსულია, ანუ ორიენტირებულია მიღებული შედეგების და პროცესის წარმოდგენად ქცევაზე, და მსახიობები, რომელთა საქმიანობაც უკიდურესად კვლევითია – მაგ., დიდი რეჟისორები, მხატვრები, რომლებიც ძალიან ნელა მუშაობენ და მკვლევრები უფრო არიან, ვიდრე არტისტები.

საბოლოო ჯამში, ეს ორი ინტელექტი განსხვავდება ტვინში აღგზნების ჩაქრობისთვის განსაზღვრული დროის ხანგრძლივობით: თუკი ეს დრო შედარებით მცირეა, ამ ინტელექტის მატარებელი ადამიანი პერფორმანსზეა ორიენტირებული, ანუ ენდოგენური ოპიოიდების გამოსაყოფად მას სჭირდება პერფორმანსი და ამ პერფორმანსით მიღებული სიამოვნება/ენდოგენური ოპიოიდები. თუკი დრო შედარებით დიდია, მაშინ ამ ინტელექტის მატარებელ ადამიანს აქვს დრო, რომ იპოვოს, განსაზღვროს და აკონსტრუიროს სიამოვნების მინიჭების მექანიზმი.

სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ორი ინტელექტის მატარებელი ადამიანები განსხვავდებოდნენ სოციუმში ორიენტირებითაც: მათ მიერ ემოციების ამოცნობა, სოციალური ინტერაქციის სურვილი, ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იყოს.



ასევე, განსხვავებული უნდა იყოს მათ მიერ სხვადასხვა გაღიზიანებაზე რეაქცია და ბოლოს და ბოლოს – სწავლის მოდელებიც: თუკი ადამიანი პერფორმანსზე ორიენტირებული ინტელექტის მატარებელია, მისი სწავლება სხვანაირად უნდა წარიმართოს, ვიდრე იმისი, ვისაც უპირატესად კვლევითი ინტელექტი აქვს.

პერფორმანსზე ორიენტირებული ინტელექტის მქონე ადამიანები უფრო მეტად უნდა იყვნენ კომუნიკაციასა და საზოგადოებაში ყოფნაზე ორიენტირებულები, ხოლო კვლევითი ინტელექტის მქონენი – უფრო მეტად ასოციალურად და ჩაკეტილად უნდა გამოიყურებოდნენ, რაკი ტვინი აძლევს მათ საშუალებას, ალგზნების მყისიერი, ან თითქმის მყისიერი ჩაქრობა არ მიიღონ და ჩამქრობი მექანიზმების ძიებას მეტი დრო დაუთმონ.

ეს არ ნიშნავს, რომ არსებობენ საქმეები, ან პროფესიები, რომლებსაც პერფორმანსული ინტელექტის ადამიანი უკეთესად გააკეთებს, ვიდრე კვლევითი ინტელექტის მქონე. მაგრამ, ისინი ამ სამუშაოს სხვადასხვანაირად გააკეთებენ, რაც, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სიამოვნების მიღების მექანიზმების სწავლების (განათლების) სისტემებში.

მაგრამ, სანამ უშუალოდ სწავლების ფორმებზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ, თუ რა შედეგები გამომდინარეობს იმ მოვლენიდან, რომ ადამიანის ტვინის და, შესაბამისად, მისი [მოქმედების] პროექციის მთავარი მამოძრავებელი სიამოვნების მიღება, ანუ ალგზნების ჩაქრობაა.

დღეს ძალიან ძნელია ვივარაუდოთ, რამდენად ჰქონდა ეპიკურეს დამუშავებული სიამოვნების ორი ტიპის თემა: სავსებით შესაძლებელია, სიამოვნების ორი ტიპი აღნიშნავდა, ამავე დროს, სიამოვნების მიღების ორი ტიპის ადამიანებსაც: ანუ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, სიამოვნება ტვინით მიიღონ და ადამიანებისა, რომლებიც სიამოვნებას სხეულით იღებენ.

ეს დაყოფა კარგად ჯდება ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ ადამიანების დაყოფაში მათი ევოლუციური წარმოშობის მიხედვით. მაგრამ რამდენად ახლოსაა ეს ეპიკურეს სწავლებასთან, დღეს შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ.

თუმცა დიოგენე ლაერტელისაგან, რომლის „ცნობილ ფილოსოფოსთა ცხოვრება“ ძირითადი წყაროა ეპიკურეს სწავლების შესახებ, შესაძლებელია, ცხადად ამოვიკითხოთ, რომ ეპიკურე, თავისი წიგნების ნაწილში აღწერდა ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას, როგორც სიამოვნებისკენ სწრაფვას, ხოლო ნაწილში – ასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი საკუთარი ბუნების მიხედვით, ანუ მოერიდოს ტკივილს და მიიღოს სიამოვნება.

ინტელექტის ორი ტიპის განსხვავება შესაძლებელია, ექსპერიმენტულადაც ვაჩვენოთ, თუკი მენტალური პრობლემების მოდელირებას შევეცდებით. ჩვენმა კვლევებმა ვირთაგვებზე (Tevzadze et al 2015) მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში აჩვენა, რომ ერთი და იგივე პრეპარატით ზემოქმედებისას, სხვადასხვანაირი მიდრეკილების მქონე ტვინები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. კერძოდ, ჩვენი ექსპერიმენტის მიზანი იყო გაგვეზომა კონკრეტული ტოქსინის მოქმედება ჩვეულებრივი და ეპილეფსიისაკენ მიდრეკილი ტვინების მქონე ვირთაგვებზე. ტოქსინი იყო ის, რაც ბოლოდროინდელი კვლევებით აუტიზმის მიზეზია: ამ თეორიის მიხედვით, ნაწლავებში მიკროფლორის დარღვევის გამო, ეს ტოქსინი გამომუშავდება ადამიანის ორგანიზმში, ლახავს ტვინი-სხეულის ბარიერს და აზიანებს ტვინს. ჩვეულებრივი, სტანდარტული ქცევის ვირთაგვებში ტოქსინის შეყვანისას, მივიღეთ სტანდარტული შედეგი: ვირთაგვების ქცევა შეიცვალა: მათ დაინყეს ქცევა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო აუტიზმისათვის დამახასიათებელი, „აუტიზმის მსგავსი ქცევა“, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, როგორც უმიზნო კვლევითი აქტი-

ვობა. როდესაც ამ ქცევის ვირთაგვებში ხდებოდა სიამოვნების ჰორმონის შეყვანა (ოქსიტოცინი), მათი ქცევა ნორმალურ, სტანდარტულ ქცევას უბრუნდებოდა.

მოულოდნელი შედეგი მივიღეთ, როდესაც ტოქსინი შევუყვანეთ ეპილეფსიისაკენ მიდრეკილ თავგებს (ბუნებრივად და ხელოვნურად გამონვეულს). ორივე შემთხვევაში ტოქსინმა გამოიწვია ეპილეფსიის ინტენსიფიკაცია და ეპილეფსიის უფრო ინტენსურ საფეხურზე გადაყვანა.

როდესაც მოხდა ამ ვირთაგვების ტვინების გამოკვლევა, ცხადი გახდა, რომ ტოქსინი ორივე შემთხვევაში ტვინის ერთსა და იმავე უბნებზე მოქმედებდა.

რა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა ეს შედეგები? ყველაზე მთავარი შედეგი, ვფიქრობ, არის ის, რომ სხვადასხვანაირად მონყობილი ტვინი ერთსა და იმავე ნივთიერებაზე სხვადასხვანაირად, ე.წ. არსებული მიდრეკილების მიხედვით რეაგირებს: თუკი ალგზნების „ჩაქრობისათვის“ გამოყოფილი დრო „დიდია“, ტოქსინის მოქმედება გამოიხატება აუტიზმით, ხოლო თუ „მცირეა“ – ეპილეფსიით. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ექსპერიმენტები ახალგაზრდა თავგებზე ტარდებოდა.

ამ ექსპერიმენტებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია დავუშვათ, ადამიანის ტვინიც ორი სქემის მიხედვითაა მონყობილი და ამ დებულების გამყარებისათვის აუტიზმის და ეპილეფსიის ეპიდემიოლოგიას უნდა მივმართოთ: რა უცნაურიც არ უნდა იყოს, აუტიზმი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ არის აღწერილი სუბსაჰარის აფრიკაში, როდესაც აფრიკის გარეთ – აუტიზმის შემთხვევები ძალიან ხშირია. ამის საპირისპიროდ, სუბსაჰარის აფრიკაში ეპილეფსიის შემთხვევები გაცილებით ხშირია, ვიდრე აფრიკის გარეთ. ეს კი საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ სუბსაჰარის აფრიკის მოსახლე-

ობის ტვინი სხვანაირად იყო მოწყობილი, ვიდრე არასუბსაჰარელის (ნეანდერტალელის) ტვინი და მოითხოვდა გაღიზიანებაზე მყისიერ დაკმაყოფილებას, ხოლო არასუბსაჰარელის (ნეანდერტალელის) ტვინი საშუალებას იძლეოდა, სიამოვნების ძიების/აღზნების ჩაქრობის პერიოდი განხგრძლივებულიყო.

ყოველივე ეს არა მარტო იმას მიუთითებს, რომ განსხვავება ადამიანების ამ ორ, სანყის ინტელექტს შორის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, სიამოვნების მინიჭების დროის და მოძიების საშუალებების ჩათვლით: ეპილეფსიის და აუტიზმის საერთო საფუძვლის დაშვებამ შეიძლება მთლიანად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენები მენტალური გადახრების შესახებ: შესაძლებელია, მენტალური გადახრა სხვა არაფერია, თუ არა ყველა შემთხვევაში ტვინის ერთსა და იმავე უბანზე/რეცეპტორებზე ზემოქმედება, მაშინ როცა, ამ ზემოქმედების გამოხატვის მრავალფეროვნება ვარირებს ადამიანის ასაკის, გენეტიკური მემკვიდრეობის და სოციალური გარემოს მიხედვით. ანუ ერთმა და იმავე ზემოქმედებამ (მაგ., ერთი და იგივე ტოქსინი, რომელიც ნაწლავებში წარმოიშობა, ან თავის ერთი და იგივე ტრავმა) სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა სოციალური გარემოს ადამიანებში შეიძლება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სოციალური პროექცია მოგვცეს: დეპრესიულ-ჩაკეტილიდან აგრესიულ-შიზოფრენიულამდე. ამის დასამტკიცებლად შეიძლება ექსპერიმენტიც კი ჩატარდეს: ზრდასრულ ვირთაგვებს, როგორც ნორმალურს, ასევე, ეპილეფსიისკენ მიდრეკილების მქონეს, უნდა შევუყვანოთ ერთი და იგივე ტოქსინი და დავაკვირდეთ ამ ტოქსინის ზემოქმედებას. თუკი ზემოთქმული დაშვება მართებულია, მათი ტვინების სოციალური პროექციები უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

თუ ეს ასეა, შეიძლება ასკლექიადესის და ეპიკურეს ორი ათას წელზე მეტი წლის წინ გაკეთებული დაშვება (როგორც

ვიციტ, პრაქტიკაში წარმატებული), რომ ყველა მენტალური ავადმყოფობა სიამოვნების არქონაა, მართებული აღმოჩნდეს: ნეანდერტალელის და ჰომო საპიენსის შთამომავლებს უნდა ახასიათებდეთ მენტალური გადახრის როგორც პასიური, ასევე, აგრესიული ფორმები, რომლებიც ივარირებს გენეტიკურ მემკვიდრეობაში ნეანდერტალელის წონის მიხედვით, ხოლო მხოლოდ ჰომო საპიენს საპიენსის შთამომავლების მენტალური გადახრა ექსკლუზიურად აგრესიული ფორმებით უნდა გამოიხატოს.

## ივლიკაციები პოლიტიკური თეორიებისათვის

შესაძლებელია თუ არა ადამიანთა საზოგადოების მარეგულირებელის (სახელმწიფოს) გარეშე არსებობა, თუკი ადამიანის მთავარი მიზანი სიამოვნებისაკენ სწრაფვაა? სახელმწიფო ამ შემთხვევაში გვევლინება, სიამოვნებისაკენ სწრაფვის დამარეგულირებლად, რადგან, თუკი ადამიანის მიზანი არ არის რაციონალური, მაშინ, არ უნდა ველოდოთ, რომ დამარეგულირებელის გარეშე ის მოახერხებს გადარჩენას. სახელმწიფოს როლი, ასეთი ხედვისას, არის სიამოვნების მარეგულირებელი მექანიზმების დასწავლის სისტემის უზრუნველყოფა. რომ არა ეს უზრუნველყოფა, საეჭვოა ადამიანების პოპულაციის შენარჩუნება: რაც უფრო რთულია ტვინი, მით უფრო რთული და კომპლექსური უნდა იყოს სიამოვნების მარეგულირებელი მექანიზმების დასწავლის სისტემა და, რაც მთავარია, ის უნდა იყოს ერთიანი (შინაგანი მრავალფეროვნების მიუხედავად) – ნინაალმდე შემთხვევაში ადამიანების კოოპერაცია/კომუნიკაცია გართულდება და არაეფექტიანი გახდება. ყოველივე ეს სახელმწიფოს უპირველეს ფუნქციად ადგენს განათლების სისტემის უზრუნველყოფას და უარყოფს თეორიებს სახელმწიფოს არასაჭიროების შესახებ.

თუკი ადამიანის ძირეული და ფიზიოლოგიური მისწრაფება სიამოვნების მიღებაა, ხოლო სოციალური სისტემის მიზანი, ასწავლოს/გაახანგრძლივოს სიამოვნების მიღების დრო და ის სოციალურ ჩარჩოებში ჩასვას, რამდენად ადეკვატურია ადამიანის ბედნიერებისაკენ სწრაფვის მაქსიმა, რომელიც, როგორც ვნახეთ, თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

ის, რომ ბედნიერება სოციალური კონსტრუქტია, ცხა-  
დია. ამიტომაც არის ბედნიერება პოლიტიკური თეორიების  
და (უკვე) სისტემების მიზანი. მაგრამ, როგორ უკავშირდე-  
ბა ბედნიერება ადამიანის ფიზიოლოგიურ მიზანს – მიიღოს  
სიამოვნება? როგორც წინა თავებში შევეცადე მეჩვენებინა,  
სიამოვნების მიღება ტვინის მუშაობის აუცილებელი პირობაა,  
რომლის გარეშეც ადამიანის განონასწორებული და ჯანმრთე-  
ლი არსებობა შეუძლებელია. მსჯელობით მივედი დასკვნამდე,  
რომ ადამიანური კულტურა (და რა მარტო ადამიანური) ორი-  
ენტირებულია, გაამრავალფეროვნოს სიამოვნების მიღების  
გზები და სიამოვნება მეტ-ნაკლებად შორეულ მიზნად აქციოს.  
ამისათვის კულტურა ადამიანს უამრავ რამეს „ასწავლის“ და  
ყველა ამ სწავლების საფუძველში სიამოვნება/ტკივილის შესაძ-  
ლებელი მიღება/არმიღებაა. თუკი შევეცდებით, ნებისმიერი  
ცხოვრებისეული გეგმა, კარიერული მონახაზი და დაგეგმვა  
გადავანყოთ სიამოვნების ადრე/გვიან მიღების მატრიცაზე,  
უდავოდ წარმატებას მივაღწევთ.

შესაბამისად, როდესაც პოლიტიკური სისტემების ანმეოსა  
თუ მომავალზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ  
ბედნიერებისკენ სწრაფვა ეთიკური მაქსიმია და არა მოცემუ-  
ლობა. მოცემულობა სიამოვნების მიღებისკენ სწრაფვაა. შესა-  
ბამისად, ბედნიერებისაკენ სწრაფვის მაქსიმას უნდა შევხედოთ,  
როგორც სიამოვნებისკენ სწრაფვის კულტურულ და ცივილი-  
ზაციურ პროექციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკა, ფართო აზრით,  
არის ყოველი კონკრეტული ადამიანის სიამოვნებისკენ სწრაფ-  
ვის დარეგულირების მექანიზმების ერთობა. ამ თვალთახედ-  
ვით, საინტერესოდ გამოიყურება კითხვა სახელმწიფოს აუცი-  
ლებლობა/არააუცილებლობის შესახებ.

პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ, არის ის,

თუ რამდენად საჭიროა ერთ საზოგადოებაში სიამოვნებისკენ სწრაფვის დარეგულირების მექანიზმების ერთგვაროვნება, ანუ რამდენად უნდა ჰქონდეთ საზოგადოების წევრებს ამ მექანიზმების მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული არჩევანი, მექანიზმების მაქსიმალური მრავალფეროვნების შემთხვევაშიც კი.

ის, რომ სიამოვნებისაკენ სწრაფვის დარეგულირება საჭიროა, ვფიქრობ, ისედაც ცხადია. სხვანაირად არ იარსებებს არანაირი აღზრდა-განვითარება. ეს რომ არ იყოს, ნაშიერები მხოლოდ მიბაძვით ისწავლიან, რაც, გამომდინარე თუნდაც ინტელექტების სხვადასხვაგვარობიდან, ყოველთვის წარმატებული ვერ იქნება. პერფორმანსის ინტელექტის მქონე ადვილად ისწავლის მიბაძვით, კვლევითი ინტელექტისას – შედარებით გაუჭირდება. თუმცა, ეს მხოლოდ მცირე პრობლემაა.

ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ სიამოვნების დამარეგულირებელი მექანიზმების გარეშე ნაშიერები გადარჩენისათვის ბრძოლაში ადრეული ასაკიდანვე ჩაერთვებიან. ეს კი ნაშიერების, თუ სრულიად არა, მაქსიმალურ განადგურებას გამოიწვევს. შესაბამისად, სიამოვნების მარეგულირებელი მექანიზმების დასწავლა, შეიძლება ითქვას, საერთოა ყველა ძუძუმწოვრისათვის.

შესაძლებელია თუ არა, რომ სოციუმის ყველა მიკროელემენტს სიამოვნების მარეგულირებელი მექანიზმების დასწავლის საკუთარი წესი და შინაარსი ჰქონდეს? პრინციპში შესაძლებელია, ოღონდ ამ შემთხვევაში, ნაშიერების გადარჩენის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, როგორც კი ნაშიერები საკუთარი მიკროსოციუმს დატოვებდნენ და ეცდებოდნენ, სხვა მიკროსოციუმის ნაშიერებთან ურთიერთობის დამყარებას.

ამიტომ სიამოვნების რეგულირების მექანიზმების დასწავლის უნიფიცირებული წესის არსებობის აუცილებლობაა საზოგადოებრივი კონტრაქტი, თუ სხვა რამ, რაც სახელმწი-



ფოს არსებობას განაპირობებს. რაც უფრო რთულია ინდივიდის ტვინი, მით უფრო რთული სისტემაა საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს სიამოვნების რეგულირების მექანიზმების საყოველთაობას, ჩართულობასა და ეფექტიანობას.

სამხედრო საკითხი, ტერიტორიის თავდაცვა და ა.შ. შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიულად წინმსწრები, მაგრამ პრინციპულად ნაკლები მნიშვნელობის საკითხია:

ვერც ერთი საზოგადოება ვერ მიაღწევს სამხედრო თავდაცვის და უსაფრთხოების ეტაპამდე, თუკი სიამოვნების რეგულირების მექანიზმების დასწავლის საყოველთაოობა და მონაწილეობა ვერ მოაგვარა. ადამიანთა საზოგადოებები ისტორიულად სხვადასხვანაირად აგვარებდნენ ამ საკითხს, მაგრამ, ერთი რამ ყოველთვის უცვლელი იყო და არის: იმისათვის, რომ საზოგადოება არსებობდეს, უნდა არსებობდეს შეთანხმება სიამოვნების რეგულირების მექანიზმების შესახებ: ან, ძალადობრივი (დიქტატურები), ან კონსენსუსური (დემოკრატიები). ეს შეთანხმება ნებისმიერი საზოგადოების არსებობის საფუძველია. შესაძლებელია, ამ საფუძველზე რეფლექსიაც კი არ არსებობდეს, მაგრამ ის მაინც უნდა იყოს (მაგ., ტრადიციულ საზოგადოებებში).

ბედნიერება, საბოლოო ჯამში, სიამოვნებების კონტინუუმი. სიამოვნების მიღების რეგულირების მექანიზმი, ამ კონტინუუმისაკენ მისწრაფებას, მეტ-ნაკლებად უსაფრთხო (როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებისათვის) ჩარჩოებში ათავსებს.

შესაბამისად, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების მთავარი საკითხი უნდა იყოს, თუ როგორია სიამოვნების მიღების რეგულირების ოპტიმალური მექანიზმი. ჩემი მსჯელობის შემთხვევაში, როგორი უნდა იყოს სიამოვნების რეგულირების ის მექანიზმი, რომელსაც პრინციპულად ორი ტიპის ინტელექტთან აქვს საქმე? შემდეგ თავში განათლების სისტემის შიდა ორგანიზაციის შესაძლებელ სქემას განვიხილავთ.

## **ორი ინტელექტის გარემოცვაში: როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები**

ამ თავში აღწერილია ორი ინტელექტის თეორიიდან გამოდინარე მიზნები, რომლებიც უნდა ჰქონდეს განათლების სისტემას. ჩამოთვლილია სფეროები, სადაც ამ ორი ინტელექტიდან თითოეული აღწევს წარმატებას და წარუმატებლობას. მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ მომავლის განათლების სისტემის შინაარსი, რომლის აღწერაც შემდეგ თავებშია, ორ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: 1. მოახდინოს ამ ორი ინტელექტის იდენტიფიკაცია; 2. შექმნას თითოეულის მაქსიმალურად განვითარების შესაძლებლობა.

თუკი ჩემი დაშვება მართებულია და ადამიანები პრინციპულად ორი სახის ინტელექტის (შესაძლებლობის) მატარებლები არიან, ეს უნდა აისახოს სიამოვნების რეგულირების მექანიზმების დასწავლაშიც.

ცხადია, სუფთა სახით რომელიმე ინტელექტის დაფიქსირება სულ უფრო და უფრო ძნელი გახდება: დღეს გლობალიზაციის გამო უკვე სუბსაჰარის აფრიკაშიც ნელ-ნელა უნდა მცირდებოდეს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც ნეანდერტალურ-დენისოვური გენები არ აქვთ. ამიტომ, როდესაც ადამიანის შესაძლებლობებზე (ინტელექტზე) ვსაუბრობთ, უნდა წარმოვიდგინოთ არა რომელიმე ერთი ინტელექტის არსებობა, არამედ, რომელიმე ერთი ინტელექტის პრევალირება.

ამიტომ, აქაც და ქვემოთაც, სადაც გამოვიყენებ „პერფორმანსულ“, ან „კვლევით“ ინტელექტს, ნაგულისხმევი იქნება რომე-

ლიმე ინტელექტის პრევალირება და არა განსხვავებულობა.

კაცობრიობის დღევანდელი პროფესიების განაწილებას რომ გადავხედოთ, უფრო მეტი ისეთი პროფესია შეგვხვდება, რომელიც მეტწილად პერფორმანსზე ორიენტირებული ინტელექტისთვისაა განსაზღვრული, ვიდრე მეტწილად კვლევაზე ორიენტირებულისათვის. ეს გასაგებიცაა – დღეს კაცობრიობის უმრავლესობაში აფრიკელი ადამიანის მემკვიდრეობა პრეველირებს ნეანდერტალურ-დენისოვურზე: უფრო გასაგები ტერმინებით რომ ვთქვათ, ის, რომ დღევანდელ მსოფლიოში პროფესიათა უმეტესობა სერვისზეა ორიენტირებული, სწორედ პერფორმანსული ინტელექტის პრევალირებაზე მიუთითებს.

ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობ მხოლოდ მსახიობებზე, რელიგიურ პირებზე და მასწავლებლებზე: ტექნოლოგიური განვითარებაც უმეტესად პერფორმანსულია, იმდენად, რამდენადაც ორიენტირებულია კავშირების სისწრაფეზე, სიადვილეზე და შედეგების მაღე მიღებაზე. ის, რომ თანამედროვე სამყარო ტექნოლოგიურია, სულაც არ ნიშნავს, რომ ის მეტწილად კვლევითია. პირიქით – სწორედ იმიტომ, რომ სოციალური კავშირების გამასწრაფებელი ტექნოლოგიების განვითარებაა მიზნად დადგენილი, თანამედროვე სამყარო, სულ უფრო და უფრო, დომინანტურად პერფორმანსული ხდება.

დომინანტურად პერფორმანსულია არა მარტო ტექნოლოგიებსა და ყოველდღიურობაზე ორიენტირებული სფეროები, არამედ ისეთი სფეროც, რომელიც, განსაზღვრების თანახმად, კვლევითი ინტელექტის საბრძანებელი უნდა იყოს: თანამედროვე მეცნიერება უპირატესად პერფორმანსულია, იმდენადაა ყოველი მეცნიერის სამეცნიერო ბედი დამოკიდებული სწრაფ და ხშირ პუბლიკაციებზე და ციტირების მაღალ რეიტინგზე. ეს ვითარება მეცნიერების განვითარების შედეგია. ვერ იტყვი, რომ კვლევითი ინტელექტის მნიშვნელობა იკარგება მეცნიე-

რებაში, თუმცა, ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ სამეცნიერო უნივერსუმში, ორგანიზაციულ დონეზე, კვლევითი ინტელექტი დაქვემდებარებულია პერფორმანსულს.

თუმცა, მეორე მხრივ, ქაოსურად, ყველა ხვდება კვლევითი ინტელექტის მნიშვნელობას: ისეთ ოდითგანვე პერფორმანსულ სფეროებშიც კი, როგორებიცაა მსახიობობა და შემოქმედება, დღეს კვლევა ხდება მომავალი პერფორმანსის ნარმატივის საფუძველი.

შედეგად, თანამედროვე სამყაროს პერფორმანსული ინტელექტის ნარმატივაზე ორიენტირებულობის გამო, შესაძლებელია კვლევითი ინტელექტის დათრგუნვა და მისი განვითარება, როგორც პერფორმანსული ინტელექტისა. თითქოსდა არაფერი, მაგრამ კვლევითი ინტელექტის რეპრესიამ და პერფორმანსული ინტელექტის განვითარებამ შეიძლება ადამიანის ევოლუცია შეაფერხოს. ევოლუციის შეფერხება კი გამოიხატება ტექნოლოგიური განვითარების შეფერხებით, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს მედიცინის, განათლების, მეცნიერების განვითარების შეფერხებას, რაც უარყოფითად აისახება ყოველ ჩვენგანზე.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, გამოვა, რომ მნიშვნელოვანია სიამოვნების რეგულირების შესწავლის ისეთი სისტემის კონსტრუირება, რომელიც ორივე ტიპის ინტელექტს გამოვლენისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს მისცემს. გასათვალისწინებელია ამ ორი ინტელექტის მატარებლებისათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები: პერფორმანსული ინტელექტის მატარებელი უფრო სოციალური უნდა იყოს, სოციალური კავშირების განვითარებაზე ორიენტირებული, კვლევითი ინტელექტის მატარებელი ინდივიდები – მეტად ინტროვერტები და ისეთები, რომლებსაც დღევანდელ კულტურებში „საკუთარ თავში ჩაკეტილს“ უწოდებენ.

როგორც ზემოთ აღვწერე, ეს ჩაკეტილობა/გახსნილობა ტვი-

ნის ფუნქციაა, რომელიც აძლევს საშუალებას ერთ ინტელექტს შედარებით დიდი დრო დაუთმოს სიამოვნების წყაროს ძიებას, ხოლო მეორეს – მცირე დრო და ლამის იმნუთიერად მოითხოვოს სიამოვნების მიღება. უფრო ზუსტად: კვლევით ინტელექტს შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს პირველად მიღებულ შედეგებს და გააგრძელოს სიამოვნების უფრო სრულყოფილი წყაროს ძიება, მაშინ როდესაც პერფორმანსული ინტელექტი ცდილობს, რაც შეიძლება მალე მიაღწიოს შედეგს და ის პერფორმანსად გარდაქმნას.

მცირედ რომ დავფიქრდეთ, ზედაპირული ანალიზით მივალთ იდეამდე, რომ იდეალური (შეძლებისდაგვარად) საზოგადოება იქნება ისეთი, სადაც მაქსიმალურად იქნება გახსნილი, როგორც კვლევითი, ასევე პერფორმანსული ინტელექტის მქონე ადამიანების შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ სქემატურად გავყოთ ამ ორი ინტელექტის მატარებელი ადამიანები, ჩამოვთვლი პროფესიებს/ხელობებს, რომლებიც მათ უნდა ახასიათებდეს:

პერფორმანსული ინტელექტი: ბიზნესმენი, მსახიობი, ხელობების უმეტესობათა მცოდნეები, მასწავლებელი;

კვლევითი ინტელექტი: მეცნიერი, მკვლევარი, ფერმერი, მონადირე.

ეს დაყოფა, ცხადია, სქემატურია: როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეიძლება შეგვხვდეს პერფორმანსული ინტელექტის მეცნიერი და კვლევითი ინტელექტის მქონე მსახიობი. განათლების სისტემის შინაარსი, რომლის აღწერასაც ქვემოთ ვაპირებ, ორ მიზანს უნდა ემსახურებოდეს:

მოახდინოს ამ ორი ინტელექტის იდენტიფიკაცია;

შექმნას თითოეულის მაქსიმალურად განვითარების შესაძლებლობა.

## სასწავლო სისტემა, როგორც ჰოგვორტსის გამანადილეელი ქუდი

გამომდინარე ორი ინტელექტის თეორიიდან, პითაგორას პარადიგმაზე დამყარებული განათლების სისტემის მთავარი ამოცანაა ამ ინტელექტთა მატარებლების ადრეულ ასაკში იდენტიფიცირება და სპეციალური, ინდივიდუალური პროგრამებით მათი სწავლება. ასევე, სწავლების პროცესში გუნდების ორგანიზება, სადაც ამ ორი ინტელექტის მატარებლებს ასწავლიან ერთად მუშაობას და საერთო ტექნოლოგიური მიზნების დასახვა-მიღწევას. კაცობრიობის წარმატებული მომავალი პერფორმანსული და კვლევითი ინტელექტის მატარებელი ადამიანების წარმატებულ თანამშრომლობაშია. გარდა ამისა, აღწერილია მასწავლებლის ახალი როლი ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ სამყაროში, რომელიც, გარდა მოსწავლეებთან მეტ-ნაკლებად ტრადიციული ურთიერთობისა, მშობლების განათლებასაც იგულისხმებს, იმდენად, რამდენადაც მშობლების როლი განათლების პროცესში, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა ნაწილში განვიხილე, თუ როგორი უნდა იყოს ფორმალური განათლების სისტემა, რომელიც თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური იქნება და ახალ (პითაგორასეულ) პარადიგმას დაემყარება. მივედი დასკვნამდე, რომ სწავლება უნდა ხდებოდეს ტექნოლოგიების მიზნად დასახვით: როდესაც ტექნოლოგია ისწავლება არა როგორც ბოლომდე შეუმეცნებელი სამყაროს შემეცნების გზაზე წარმოშობილი გვერდითი პროდუქტი, არამედ, როგორც საბოლოო მიზანი, ხოლო თეორიები და სამყაროს აგებულების ხატები არის ტექნოლოგიის შექმნის გზაზე წარმოშობილი საშუალებები.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს წიგნიც ამ მეთოდით იწერება. რაც არ უნდა რთული გეჩვენოთ პლატონის ტექსტების ანალიზი, პითაგორას და ეპიკურეს რეკონსტრუქცია და ორი ინტელექტის თეორია, ყველა ეს ემსახურება ორ ტექნოლოგიურ მიზანს: 1. შევიმუშაო განათლების სისტემა, რომელიც უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ყველა არსებული; 2. შევიმუშაო სწავლების სისტემა, რომელიც მოსწავლის ბავშვობის ასაკიდან იქნება ორიენტირებული ინტელექტის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენამდე; 3. ჩამოვაყალიბო ინტელექტის ევოლუციური თეორია, რომელმაც, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მენტალური გადახრების მიმართ ზრუნვაში.

ამ უკანასკნელს რაც შეეხება, არა მგონია, რომ იმაზე მეტის თქმა შეიძლებოდეს, ვიდრე მეორე ნაწილის ბოლოს ვთქვი: ამ თეორიის მიხედვით, მენტალური გადახრების უმეტესობა ტვინის ერთი და იმავე უბნების/რეცეპტორების აღზნებით უნდა იყოს გამოწვეული, ხოლო სოციალურ სისტემაში ამ გადახრის პროექციების მრავალფეროვნება დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ევოლუციურ წინაპრებზე, ასაკზე, სოციალურ გარემოზე, ინდივიდუალურ გამოცდილებაზე. ამ დებულების მართებულობა ადვილი შესამჩნევია, თუკი გავითვალისწინებთ, როგორ გადადის მენტალური გადახრები ერთმანეთში (მაგ., აუტიზმი ეპილეფსიაში, ეპილეფსია დეპრესიაში და ა.შ.) და ერთსა და იმავე ქცევას, ბავშვის შემთხვევაში, როგორ ვარქმევთ, მაგალითად, აუტიზმს, ხოლო მოზრდილის შემთხვევაში – დეპრესიას ან შიზოფრენიას.

დავუბრუნდეთ სასწავლო სისტემას. მართალია, თანამედროვე სამყარო წარმატებისათვის მოითხოვს პერფორმანსულ მოქმედებებს, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვს კვლევით ინტელექტსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანების უმეტესობა (და მალე ყველა) ორივე ინტელექტის შესაძლებლობის

მატარებელია, ცხადია, ინტელექტის განვითარება ხდება იმ მიმართულებით, რა მიმართულების წარმატებაც სოციალური ცხოვრების ზედაპირზე ძევს. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, კვლევითი ინტელექტის უპირატესობის ინდივიდი პერფორმანსული ინტელექტის მიმართულებით განვითარდეს. ამიტომაცაა, რომ ბევრად უფრო მეტია ის ადამიანი, რომელიც პერფორმანსულ კარიერას ირჩევს, ვიდრე კვლევითს.

თუმცა ერთია დეკლარირებული და სოციალური სისტემის მიერ ნაკარნახევი კარიერული გზა და მეორე – ამ გადაფარვებს უკან არსებული რეალობა: როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვლევითი ინტელექტის აუცილებლობა ნელ-ნელა იჭრება ნებისმიერი პროფესიის სფეროში და არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე პერფორმანსული. ამის დამადასტურებელია, ჯერ ერთი, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა და, ასევე, პროფესიების ის ტექნოლოგიზაცია, რომლის მომსწრენიც დღეს ვართ.

თუმცა ის, თუ როგორი იქნება სწავლების ოპტიმალური სისტემა, დღევანდელი საზოგადოების საინფორმაციო და სოციალური სტრუქტურებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

დღევანდელი სკოლები ნელ-ნელა კარგავენ ინფორმაციის ექსკლუზიური გადაცემის ფუნქციას, თუ უკვე არ დაკარგეს. მსოფლიო ქსელი სავსეა იმ ინფორმაციით და კიდევ უფრო მეტით, რომლის სწავლასაც სკოლის სასწავლო გეგმა არ მოითხოვს. თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მოძიება არ არის რთული, სირთულეს წარმოადგენს ამ ინფორმაციის ადეკვატურობის და სანდოობის დადგენა.

ამიტომ, სწავლის ერთ-ერთი ამოცანაა ინფორმაციულ ნაკადებში გარკვევა: სწავლების სისტემამ უნდა ასწავლოს მოსწავლეს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ინფორმაციულ სამყაროში, როგორ უნდა შეამოწმოს და დაადგინოს ინფორმაციის სანდოობა;



ინფორმაციის სანდოობის დადგენის პირობა სკოლაში ინფორმაციის ათვისების/სწავლის აუცილებლობას აუქმებს: რა საჭიროა მასწავლებლის მოსმენა, თუკი იგივე შეიძლება სახლში გააკეთო, მშობლების დახმარებით (როგორც ჩანს, მასწავლებლების ერთ-ერთი მომავალი ფუნქცია მშობლების ტრენინგი იქნება – ინფორმაციის სანდოობის დადგენის მიმართულებით);

თუკი ეს ასეა, რა ფუნქცია რჩება სკოლას, გარდა იმისა, რომ მასწავლებლები მშობლებს ასწავლიან, თუ როგორ მიიღოს მათმა შვილმა ინფორმაცია?

დავუბრუნდეთ პირველი თავის დასკვნებს: თუკი სწავლების მიზანი ტექნოლოგია იქნება, ეს მაინც არ შეცვლის ინფორმაციის მიღების წესს და მოსწავლეები სახლებში დარჩებიან, მაგრამ, თუკი სწავლების მიზანი ტექნოლოგიის მოდელირება იქნება, მაშინ სკოლა გახდება ის ადგილი, სადაც მოსწავლეები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და მასწავლებელს კონკრეტული მოქმედებების ჩასატარებლად და კრიტიკული მიდგომების გამოსამუშავებლად.

მაგრამ, როგორი უნდა იყოს ეს შეხვედრა? ამჯერად მივედით იმ ადგილამდე, სადაც ჩვენი პრობლემა ორი ტიპის ინტელექტის შეხვედრაა: სკოლა არის მნიშვნელოვანი სოციალიზაციის ადგილი, სადაც პერფორმანსული და კვლევითი ინტელექტი ხვდება ერთანეთს. თუ ეს ასეა, როგორ უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ სკოლამ ბავშვების განვითარება რომელიმე ერთი (დღევანდელი გადმოსახედიდან, პერფორმანსული) ინტელექტის მიმართულებით არ წაიყვანოს და მეორე არ დათრგუნოს?

ვფიქრობ, აქ ჩნდება მასწავლებლის ახალი როლი: რთული არ უნდა იყოს ტესტების შემუშავება, რომლებიც მეტწილად პერფორმანსულ და მეტწილად კვლევით ინტელექტის მატარებლებად დაყოფს მოსწავლეებს. მაგრამ გამართული ტესტების არსებობის მიუხედავად, ეს არ იქნება ტრივიალუ-

რი ამოცანა: შესაბამისად, მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ ინტელექტის ტიპების და გრადაციების განსხვავება: მაგალითად, სქემა, სადაც ორი რადიკალური პოლუსი იქნება კვლევითი და პერფორმანსული ინტელექტი, ხოლო მათ შორის განლაგდება სხვადასხვა უნარები, პირობითად, გარდნერის კლასიფიკაცია რომ გამოვიყენოთ, სხეულებრივ-კინეტიკურიდან მათემატიკურამდე. ცხადია, მანამ, სანამ ამ სკოლამდე მივალთ, დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, რომელიც ინტელექტის ტიპებს და გრადაციებს დაადგენს (ჰოგვორტსის გამანანილებელი ქუდის სოციალ-ფსიქოლოგიური სარკვევია შესაქმნელი).

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე რთულ სამყაროში წარმატება გუნდური მუშაობის შედეგია. ინდივიდუალური ძალისხმევები, რომლებიც გუნდში ერთიანდება, კუმულაციურ ეფექტს იძლევა. მართალია, ბევრი ტექნოლოგიური სიახლე ინდივიდუალური შემოქმედებაა, მაგრამ ის აკუმულირებას უკეთებს იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც წლების განმავლობაში გროვდება.

რა იქნება, თუ ბავშვებს წარმატების გუნდური მუშაობის წესებს ვასწავლით? ცხადია, ინდივიდუალური განვითარების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მომავლის სკოლაში მოსწავლე საჭირო ინფორმაციას სახლში აითვისებს, კრიტიკულ აზროვნებას სკოლაში განვითარებს, ისევე როგორც ისწავლის ტექნოლოგიებზე მიმართულ მოქმედებას.

შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანა სასწავლო მიზნების მისაღწევად ოპტიმალური გუნდების შედგენაში უნდა მდგომარეობდეს. მას ექნება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის ინტელექტის მიმართულების შესახებ და ამ ინფორმაციის საფუძველზე, ისე უნდა მოაწყოს ყოველი კონკრეტული ჯგუფი, რომ მასში თანაბარი ურთიერთშემავსებელი ძალა ჰქონდეს,

როგორც პერფორმანსული, ასევე, კვლევითი ინტელექტის მქონე ბავშვებს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ხომ ისაა, რომ ამ ორი ინტელექტის მატარებლებს ერთმანეთის მაინცდამაინც არ ესმით (მაგ., მეცნიერს და ბიზნესმენს) და ორივე ცდილობს, თვითონ შეივსოს მეორე ტიპის ინტელექტის დანაკლისი. წარმოიდგინეთ, როგორ განვითარდება ტექნოლოგია, ამ ორი ტიპის ინტელექტს ერთმანეთთან თანამშრომლობა რომ ვასწავლოთ. სასწავლო სისტემა ისე უნდა მოეწყოს, რომ ბავშვები პატარა ასაკიდანვე მიეჩვიონ განსხვავებული ინტელექტის მატარებლის მიღებას, მასთან ურთიერთობას და ერთად მუშაობას. ეს მარტო ბრწყინვალე შედეგებს კი არ მოიტანს მომავალში, არამედ ინდივიდუალურ შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად განავითარებს.

სამყაროს მომავალი კვლევითი და პერფორმანსული ინტელექტების მატარებელი ადამიანების წარმატებულ თანამშრომლობაშია. რაც მეტად ვასწავლით მათ ერთად მუშაობას, მით უფრო მეტი ტექნოლოგიური მიღწევა (ყველაზე ფართო აზრით) გვექნება და ჩვენი ევოლუციაც მით უფრო შეუფერხებლად წავა წინ – მეტად ტექნოლოგიური, შესაბამისად, სიამოვნების მიღების მრავალფეროვანი მომავლისაკენ.

# საპოლიტიკო სტრატეგია: მომავლის სწავლებისა და სწავლის პრინციპები

ექვსი პრინციპი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მომავლის სკოლა, მასწავლებლის მომზადება და მშობლების განათლება.

ამ თავში მოკლედ ჩამოვთვლი მომავლის სკოლის და ამ სკოლის გარემოს იმ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა გარეშეც, ვფიქრობ, სასურველი შედეგი არ დადგება:

1. მასწავლებლების განათლება: მასწავლებლის განათლება, გარდა უკვე ჩვეული კომპონენტებისა (სპეციალიზაცია, ბავშვთა ფსიქოლოგია და ა.შ.), მთავარ ელემენტებად უნდა მოიცავდეს ა) ინტელექტის ტიპის იდენტიფიცირებისა და განვითარების ტექნიკას; ბ) ინფორმაციის სანდოობის დადგენაში მშობელთა ტრენინგის ტექნიკას; გ) ორი ტიპის ინტელექტის მატარებლებიდან ოპტიმალური გუნდის ფორმირების ტექნიკას; დ) კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნიკას.

2. მშობლების განათლება: მშობლების განათლება, როგორც ჩანს, მომავლის სკოლის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება: ძირითად ინფორმაციას, რომელიც მოსწავლეებს ტექნოლოგიის შესწავლის მიზნით დასჭირდებათ, მოსწავლეები სახლში აითვისებენ, მშობლების მეთვალყურეობით;

3. სწავლების მიზანი: სწავლების მიზანი ინდივიდუალური ინტელექტის განვითარებაა. მასწავლებლის ამოცანა იქნება, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი ინდივიდუალური გამოცდილების კონსტრუირება, რომელიც მის კონკრეტულ ინტელექტს მაქსიმალური განვითარების საშუალებას მისცემს. მაქსიმალური განვითარების კრიტერიუმი იქნება სისტემის მიზნის – ტექნოლოგიების შექმნის – მაქსიმალურად წარმატებით შესრულება. განათლების სისტემის მიზანი იქნება

არა უნარების და გამოცდილების განვითარება სამყაროს აღწერების შესწავლის გზით, არამედ სამყაროს აღწერების შესწავლა და გამოცდილების კონსტრუირება ტექნოლოგიების შექმნის მიზნით;

4. მოსწავლეების მიერ ინფორმაციის ათვისება: მომავლის სკოლის მოსწავლეები ინფორმაციას და გამოცდილებას ორგვარად შეიძენენ: სახლსა და სკოლაში. სკოლაში ყოფნის მიზანი იქნება ტექნოლოგიების შექმნის შესწავლა და გუნდური მუშაობის ათვისება; ასევე, საპირისპირო ინტელექტის მატარებლებთან კონტაქტის დამყარების უნარის და გამოცდილების განვითარება;

5. გუნდური მუშაობა სკოლაში: გუნდური მუშაობა მომავლის სკოლის ხერხემალი გახდება: გუნდური მუშაობა, ერთი მხრივ, განავითარებს ინდივიდუალურ ინტელექტს, რადგანაც, ინდივიდუალური ინტელექტის სპეციფიკა იქნება ის საფუძველი, რის გამოც მოსწავლე მოხვდა გუნდში, ხოლო მეორე მხრივ, ისწავლის გუნდთან ერთად წარმატების მიღწევის გზებს და შესაძლებლობებს.

## თვითცნობიერება და თვითრეფლექსია

ამ და მომდევნო თავებში განხილულია თვითრეფლექსია, როგორც თვითცნობიერების გაცნობიერება და წარმატების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი: თვითრეფლექსია, როგორც თვითცნობიერების გაცნობიერება, ანუ აზროვნება იმის შესახებ, თუ რატომ იქცევა ჩემი [თვით]ცნობიერება ასე და არა სხვაგვარად, რატომ მაქვს ასეთი და არა სხვაგვარი გეგმები, რატომ არის ჩემი ტვინის მოქმედების პროექცია ასეთი და არა სხვაგვარი. თვითრეფლექსია დამოკიდებულია ცოდნაზე: რაც უფრო მეტი და მრავალფეროვანი ცოდნა აქვს ინდივიდს, მით უფრო სრულად ახორციელებს ის თვითრეფლექსიას და მით უფრო წარმატებულია, ე.ი. მით უფრო უმტკივნეულოდ და ადვილად პოულობს სიამოვნების მიღების გზებს.

როგორც წინა თავებში აღვწერეთ, ცნობიერება და თვითცნობიერება ერთსა და იმავეს აღნიშნავს, თუკი ცნობიერებას განვსაზღვრავთ, როგორც ტვინის (ცენტრალური ნერვული სისტემის) მოქმედების სოციალურ სისტემაში პროექციის აღქმას. ეს აღქმა, ანუ თვითცნობიერება, არის ჩვენი ყოველდღიური მოქმედების საფუძველი: ჩვენ ვარსებობთ სოციალურ სისტემაში, გვაქვს რეაქცია სხვის მოქმედებაზე, შეგვიძლია ვიცოდეთ, რა მოჰყვება ჩვენს ამა თუ იმ მოქმედებას და ა.შ. თვითცნობიერების გარეშე ჩვენი მოქმედება შეუძლებელია: თუკი არ ვიცი, რა შესაძლებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩემს მოქმედებას, მაშინ დიდი შანსია, რომ სოციალური სისტემის ნევრებმა არაადეკვატურად ჩათვალონ ჩემი მოქმედება და მოქმედების თავისუფლება შემიზღუდონ.

შესაბამისად, თუკი არ არსებობს [თვით]ცნობიერება, არც სოციალური სისტემა არსებობს და არც ამ სისტემაში განხილ-

რციელებული მოქმედებები. თვითცნობიერება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია: ჩვენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ ვარდება სოციალური სისტემის დადგენილი სტანდარტიდან, აღინერება, როგორც თვითცნობიერება. ხოლო ნებისმიერი ამოვარდნილი, მიღებულ სტანდარტებთან შეუსაბამო მოქმედების შემთხვევაში დგება [თვით] ცნობიერების არსებობა/არარსებობის საკითხი.

თვითცნობიერება არის ცნობიერების პირველი, ყოველდღიური დონე, სადაც ჩვენი ყოველდღიურობა ხორციელდება: ყველაფერი, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებთ: ვჭამთ, გვძინავს, ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვერთობით, გვაქვს სექსი და ა.შ. – თვითცნობიერების ფორმებია. თვითცნობიერების ფორმაა აგრეთვე ცხოვრების დაგეგმვა, ხვალისათვის გეგმების დანერგვა, კარიერული მიზნების ქონა და ა.შ. ესე იგი, ყველაფერი ის, რაც სოციალურ სისტემაში არსებობს, როგორც სოციალური ფაქტი და რაც მიმართულია ყოველდღიური ტანჯვის შესაძლებელ არიდებაზე და სიამოვნების შესაძლებელ მიღებაზე.

მაგრამ არსებობს ცნობიერების კიდევ ერთი დონე, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოციალურ სისტემაზე და რომლის განხორციელების შესაძლებლობაც ცნობიერებაში არსებობს: თვითრეფლექსია, როგორც თვითცნობიერების გაცნობიერება, ანუ აზროვნება იმის შესახებ, თუ რატომ იქცევა ჩემი თვითცნობიერება ასე და არა სხვაგვარად, რატომ მაქვს ასეთი და არა სხვაგვარი გეგმები, რატომ არის ჩემი ტვინის მოქმედების პროექცია ასეთი და არა სხვაგვარი.

თვითრეფლექსია თვითცნობიერების გაცნობიერებაა: ანუ აზროვნება ჩვენი საკუთარი ყოველდღიურობის შესახებ. ცხადია, მოსალოდნელია კითხვა, თუ რაში გვჭირდება თვითრეფლექსია, თუკი თვითცნობიერებაში შედის ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტი?

პირველი, ზედაპირული პასუხი შემდეგია: თვითრეფლექსია გაძლევს პასუხს იმ ქცევების შესახებ, რომელიც შენ გარდაუვალი და თავისთავად ცხადი გგონია. შედეგად, ნებისმიერი ქცევის სავალდებულოობიდან თავის დაღწევა ნიშნავს მეტ თავისუფლებას და, გამომდინარე აქედან, შესაძლებელი მოქმედებების დაგეგმვის მრავალფეროვნებას. თვითრეფლექსია გვებმარება გავიგოთ, რა დგას ჩვენი მოქმედებების უკან და შესაძლებელია თუ არა სხვანაირი ქცევა.

ამიტომ, თვითრეფლექსია პიროვნული წარმატების ინსტრუმენტია, თუკი წარმატებას სიამოვნების მიღების თავისუფლებას და სიამოვნების მიღების შესაძლებელ მრავალფეროვნებას დაუკავშირებთ.

ცხადია, ვერავინ, თქვენი თავის გარდა, ვერ გეტყვით, თქვენი კონკრეტული საქციელი თუ გეგმა თვითცნობიერებისეულია თუ თვითრეფლექსური. ამის შესახებ პასუხი მხოლოდ თქვენ გაქვთ. თვითრეფლექსიის იდეაც ამაში მდგომარეობს: მისი საზომი მხოლოდ თქვენ ხართ. თვითცნობიერების და თვითრეფლექსიის მიხედვით განხორციელებული ორი ქცევა შეიძლება ერთნაირად გამოიყურებოდეს. განსხვავება, ამ შემთხვევაში, არის ის, რომ თვითრეფლექსიური ქცევის ავტორი მზადაა ქცევის განვითარების ყველა შესაძლებლობისათვის, მაშინ, როდესაც თვითცნობიერების მიხედვით განხორციელებული ქცევის ავტორი ყველა შესაძლებელი განვითარებისათვის არ არის მზად: მხოლოდ ისეთებისათვის, რომელსაც ყოველდღიურობა, თვითცნობიერება აწოდებს.

შესაბამისად, თვითრეფლექსია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის შესახებ აზროვნებაა. ცხადია, ის ცოდნას მოითხოვს. რაც მეტია სუბიექტის ცოდნა სამყაროს შესახებ, მით უფრო ფართოა მისი თვითრეფლექსია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამყაროს შესახებ ცოდნის კიდევ ერთი მნიშვნე-



ლოვანი მიზანი ჩანს: რაც მეტი ვიცი სამყაროს შესახებ, მით უფრო ფართო და სრულყოფილია ჩემი თვითრეფლექსია.

თვითრეფლექსიას ჩვენს სამყაროში საკუთარი ისტორია აქვს. თვითრეფლექსია, თემატიზაციის გარეშე, იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, რომ მისი ინსტიტუციონალიზაციის მცდელობები ძალიან ბევრია.

შემდეგ თავში მოკლედ მიმოვიხილავ თვითრეფლექსიის ისტორიას, რომლის კვალიც, შესაძლებელია, თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზაციის, ანუ სოციალურ მუდმივებად ქცევის მცდელობების აღმოჩენით დადგინდეს.

## თვითრეფლექსიის ისტორია

თვითრეფლექსია ახასიათებს, როგორც ადამიანს, ასევე ცხოველსაც. განსხვავება ისაა, რომ ცხოველის თვითრეფლექსია ყოველთვის ინდივიდის დონეზე რჩება, მაშინ, როდესაც ადამიანი თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზაციას ახდენს იდეოლოგიების, ფილოსოფიების, რელიგიური სწავლებების სახით. ანუ თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზებული ფორმა სთავაზობს ადამიანს, საკუთარი გამოცდილება ჩაანაცვლოს უკვე მზა გამოცდილებით. ამ ვითარებაში პლატონის ეპისტემოლოგიური პარადიგმის მიხედვით, თვითრეფლექსიის ყველა ინსტიტუციონალიზებული ფორმა საკუთარ თავს საბოლოო ჭეშმარიტებად მიიჩნევს. შემდეგ თავში განხილული იქნება, რა მოუვა თვითრეფლექსიის ამ ფორმებს პარადიგმული ცვლილების შემთხვევაში.

თვითრეფლექსიის ისტორია ისეთივე ხანგრძლივია, როგორც ცნობიერების ისტორია: თვითრეფლექსიის ყველაზე უფრო მარტივი მაგალითი სწავლაა – როდესაც ცოცხალი არსება სწავლობს რაიმე მოქმედებას, როგორც მასწავლებლის საშუალებით, ასევე, საკუთარი შეცდომების არ გამეორების გზით.

შესაბამისად, ნებისმიერი სწავლა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტია, მაგრამ არა თვითრეფლექსიის აქტი. თვითრეფლექსია არის კონსტრუირებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი თვითცნობიერების (ანუ სოციალურ სისტემაში ტვინის მოქმედების პროექციის აღქმის) შესახებ აზროვნება. ეს პროცესი იმდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანისათვის (და არა მარტო), რომ მოხდა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტების ფორმალიზაცია, ანუ სწავლების ინსტიტუტის ფორმალიზაცია. ეს ფორმალიზაცია არსებობს ყველა საზოგადოებაში, რომლის ნევრსაც ტვინი აქვს.

თუმცა ადამიანების საზოგადოება, განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ამაზე არ გაჩერებულა: ადამიანების საზოგადოებას თვითრეფლექსიის მოქმედება კონკრეტული ადამიანისაგან მთელ საზოგადოებაზე გადააქვს და ქმნის იდეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებიც საზოგადოების წევრებს უყვებიან მათ საკუთარ თავზე: როგორები არიან, რა არის მათი ყოველდღიურობის საფუძველი და როგორები შეიძლება გახდნენ.

განსხვავებაც, ადამიანის და სხვა ცხოველების საზოგადოებებს შორის, ესაა: ცხოველის თვითრეფლექსია, ისევე როგორც გამოცდილების გადაცემა/დასწავლა – ყოველთვის ინდივიდის დონეზე რჩება. ადამიანის თვითრეფლექსია ჩანაცვლებულია თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზებული ფორმებით: იდეოლოგიებით, ფილოსოფიებით, სხვადასხვა სწავლებებით და ა.შ.

განსხვავებით სხვა ცხოველისაგან, საზოგადოება ადამიანს სთავაზობს, ინდივიდუალური თვითრეფლექსია ჩანაცვლოს თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზებული ფორმებით: ამის ახსნა ყველაზე კარგად ფსიქონალიზით, ან ნებისმიერი სხვა სწავლების მაგალითით შეიძლება: ნევროზის ფროიდისტული თეორია, რომელიც ადვილად აღქმად სქემას აგებს ადამიანის შესახებ, არის ინსტრუმენტი, რომელსაც ფსიქონალიზის თუნდაც ზედაპირულად მცოდნე და ფსიქონალიზში მორწმუნე ადამიანი იყენებს საკუთარი საქციელის/განწყობის ასახსნელად. ანუ, ახორციელებს ინსტიტუციონალიზებულ თვითრეფლექსიას – ადგენს საკუთარი ქცევის მიზეზს და „რეალურ“ მიზანს. ეს არის სწორედ ის ცოდნა, რომელიც ინსტიტუციონალიზებულია საზოგადოებაში, როგორც თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი.

თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე გამორჩეული ფორმა, ალბათ, მაქსიმა „შეიცან თავი შენი“ და

გამოქვაბულის მითია: გამოქვაბულის მითი გვთავაზობს უნივერსალურ გზას, თუ როგორ უნდა გამოხვიდე ყოფნის გამოქვაბულიდან ყოფნის ქეშმარიტების შუქზე: ეს სწავლება, ისევე როგორც გამოთქმა „შეიცან თავი შენი“ – კონკრეტული ფილოსოფიაა, რომელიც გასწავლის შენს გარემომცველ სამყაროს და წარმატების მიღწევის გზას: ის ყველასათვის საერთო და უნივერსალურია.

შესაბამისად, თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, გვიჩვენებს სამყაროს და ჩვენს ადგილს მასში, ისე, რომ ძალიან ცოტა ადგილი რჩება ინდივიდუალური თვითრეფლექსიისათვის.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა სამყაროში პიროვნული თვითრეფლექსია საზოგადოებრივი, საყოველთაო თვითრეფლექსიითაა ჩანაცვლებული: საგანმანათლებლო სისტემები, მეცნიერული თეორიები, კვლევები – გვაძლევს თვითრეფლექსიის ინსტრუმენტებს, რომელთა მიყენებაც საკუთარი თავისთვის ადვილია და ყოველთვის ერთსა და იმავე სტანდარტულ შედეგს იძლევა. გარდა ამისა, იგივე ინსტრუმენტები გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ სხვა ადამიანის საქციელიც.

ადამიანის ცოდნის განვითარებასთან ერთად თვითრეფლექსიის ინსტრუმენტებიც ვითარდება და მრავალფეროვნდება: მაგ., ევროპის შუა საუკუნეებში თვითრეფლექსიის ერთადერთი ლეგიტიმური ინსტრუმენტი რელიგიური იდეოლოგია იყო. აღსანიშნავია, რომ ტოტალიტარული რეჟიმები მოწოდებულები არიან, ჰქონდეთ მხოლოდ ერთი თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი და აკრძალონ სხვები: მაგ., ასე იყო საბჭოთა კავშირში, როდესაც თვითრეფლექსიის ლეგიტიმური ინსტრუმენტი საბჭოთა იდეოლოგია იყო (რომელიც პერმანენტულად განიცდიდა რევიზიას, პოლიტიკური მიზეზებით), ხოლო

თვითრეფლექსიის სხვა, იმ დროს დასავლურ ცივილიზაციაში არსებული ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა გენეტიკა, სოციოლოგია, კიბერნეტიკა, დარვინის ევოლუციური თეორია<sup>1</sup> – აკრძალული. ცხადია, რატომაც: ყველა ეს თეორია იძლევა სოციალური ქცევების სხვა ინტერპრეტაციას, ვიდრე საბჭოთა იდეოლოგია იძლეოდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირი არ კრძალავდა ფიზიკას, მათემატიკას, რომლებიც ვერ იმუშავებდნენ, როგორც თვითრეფლექსიის ალტერნატიული ინსტრუმენტები. მაგრამ, იმ თეორიების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომლებსაც ადამიანის შესახებ განსხვავებული ცოდნის აგების პოტენციალი ჰქონდა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ადამიანების საზოგადოების მიერ თვითრეფლექსიის ინსტრუმენტების ინსტიტუციური განვითარება შეიძლება აღვწეროთ, როგორც თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალური ფორმების გამრავალფეროვნება: რაც უფრო ნაკლებად ტოტალიტარულია საზოგადოება, თვითრეფლექსიის მით უფრო მეტი ლეგიტიმური ინსტიტუციონალიზებული ინსტრუმენტი არსებობს.

მაგრამ, რამდენად გვეხმარება ეს ინსტრუმენტები თვითრეფლექსირებაში და ხომ არ არის ყველა ეს ინსტრუმენტი კვლავ თვითცნობიერების დონეზე არსებული, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთი მათგანი ძალიან რთულად და, საკუთარი ქცევის ახსნისათვის მომხიბლველად გამოიყურება?

ეს კითხვა სხვანაირადაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ხომ არ ხდება თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზაციით თვითცნობიერების სფეროს გაფართოება? თუკი თვითრეფლექსიის

---

<sup>1</sup> დარვინის ევოლუციური თეორია სსრკ-ში „ნახევრად კანონგარეშე“ გახდა საბჭოთა პოლიტიკის მიერ გენეტიკის დაგმობის შემდეგ, იმდენად ადასტურებდა გენეტიკური კვლევები დარვინის თეორიას. დარვინი არ აუკრძალავთ, მაგრამ არც გამოუციათ და სკოლებში/უნივერსიტეტებში დარვინის საკუთარ, ოციციალურ ვერსიას ასწავლიდნენ.

ინსტრუმენტები სოციალური სისტემის ზედაპირზე გვეძლევა (განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების სახით), რამდენად რჩება ისინი თვითრეფლექსიის ინსტრუმენტებად და არ გარდაიქნება თვითცნობიერების სფეროდ, ანუ ყოველდღიურობად?

თუკი ადამიანის ევოლუციის პროცესი სოციალური ქცევის ტექნოლოგიზაციაა, თვითრეფლექსიაც, როგორც სოციალური ქცევა (არასოციალური ქცევა არ არსებობს), ტექნოლოგიზაციას უნდა დაექვემდებაროს და ექვემდებარება კიდევ. მაგრამ, ხომ არ არის ეს იმის საბუთი, რომ ტექნოლოგიზაცია გარდაუვალად მიგვაქანებს თვითრეფლექსიის თვითცნობიერებამდე დაყვანისაკენ? არამც და არამც. ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობა დაკარგული სამოთხის შესახებ ტირილს დაემსგავსებოდა, რითაც სავსეა მეოცე საუკუნის (და არა მარტო) ფილოსოფიები ადამიანის შესახებ.

ტექნოლოგიზაცია, ერთი მხრივ, თვითრეფლექსიის გართულებას, იმიტომ, რომ ის რთულ აღწერებს გვთავაზობს და მოითხოვს ჩვენგან, რომ ამ აღწერებში გავერკვეთ. მაგრამ, მეორე მხრივ, ტექნოლოგიზაცია გვიადვილებს თვითრეფლექსიას, რაკი თვითრეფლექსიის ბევრ ინსტრუმენტს გვთავაზობს: რაც უფრო მეტი თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი მაქვს, მით უფრო ადვილია თვითრეფლექსია, აზროვნება საკუთარი თვითცნობიერების შესახებ: თუკი ერთი რომელიმე თეორია დამაკმაყოფილებლად ვერ ან არ ხსნის ჩემს ქცევას, მაშინ ამას წარმატებით გააკეთებს სხვა თეორია.

ოღონდ აქაც, არსებული, პლატონის მიერ შეცვლილი პარადიგმა პრობლემას უქმნის თვითრეფლექსიის განხორციელებას: პლატონისეული პარადიგმის მიხედვით, თვითრეფლექსიის ეს ინსტრუმენტები საბოლოო ინსტანციებადაა წარმოდგენილი: სამყაროს ყველა აღწერა, რომელიც შეიძლება გამოდგეს ჩვენი თვითრეფლექსიისათვის, საკუთარ აღწერას ერთადერთ და

აუცილებელ აღწერად მიიჩნევს, სადაც ჩვენი ქცევა ამას ნიშნავს და არა სხვა რამეს. თვითრეფლექსიის ინსტრუმენტების ასეთი აღქმა არსებულ პლატონისეულ პარადიგმაში გარდაუვალია: ყველი სურათი მოგვეწოდება, როგორც, არსებული მომენტისათვის, სამყაროს ქეშმარიტ სურათთან საბოლოო და, ამ მომენტისათვის შეუცვლელი მიახლოება.

შემდეგ თავში განვიხილავ, რა ემართება თვითრეფლექსიის ინსტრუმენტს პარადიგმის ცვლილების შემთხვევაში.

## პარადიგმის ცვლილება და თვითრეფლექსია

პარადიგმული ცვლილება და პითაგორულ პარადიგმასთან დაბრუნება თვითრეფლექსიის ყველა ფორმას გადააქცევს სიამოვნებების კონტინუუმის, ანუ ბედნიერების მისაღწევ ინსტრუმენტად. ამიტომ, თვითრეფლექსიის ინსტიტუციონალიზებული ფორმების აღქმა აღარ მოხდება, როგორც საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებისა და ისინი იქნება განხილული, როგორც ინსტრუმენტები, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევისთვისაა გამოსადეგი. თუკი თვითრეფლექსია სამყაროს აღწერების შესწავლას მოითხოვს, ჩვენ კვლავ მივდივართ განათლების სისტემის კონსტრუირების საკითხამდე: როგორი უნდა იყოს სამყაროს აღწერების შესწავლის სქემა, რომელიც ადამიანს დაეხმარება თვითრეფლექსიისა და საბოლოო მიზნის – სიამოვნებების კონტინუუმის მიღწევაში.

რა მოხდება, თუკი სამყაროს არსებულ აღწერებს პითაგორას დავინყებულები პარადიგმის მიხედვით განვიხილავთ? როგორც ამ წიგნის პირველ ნაწილში აღვწერე, პითაგორას პარადიგმის მიხედვით, სამყაროს აღწერები ტექნოლოგიის შექმნის გზაზე წარმოშობილი აუცილებელი, მაგრამ არა საბოლოო კონსტრუქტებია. სამყაროს აღწერა არის არა ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე საბოლოო ნერტილი, არამედ ჭეშმარიტების, რეალობის შექმნის (ანუ ტექნოლოგიის, რომელიც მუშაობს) გზაზე ერთ-ერთი საფეხური. შესაბამისად, შეცვლილ პარადიგმაში ადამიანს ზუსტად ეცოდინება, რომ სამყაროს სურათი აუცილებელი კონსტრუქციაა, რომელიც მას მიზნის მიღწევაში უნდა დაეხმაროს.

რა ხდება, როდესაც ადამიანის მიზანი თვითრეფლექსიაა,



ახალი პარადიგმის პირობებში? სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში, ადამიანი არ უყურებს სამყაროს სურათს და, შესაბამისად, საკუთარი ქცევების აღწერას, როგორც საბოლოო ინსტანციას და ცდილობს სხვადასხვა თეორიული კონსტრუქცია მოარგოს საკუთარ ქცევას, იმისათვის, რომ ქცევის ამხსნელი დამაჯერებელი პასუხი მიიღოს.

საბოლოო ჯამში, თვითრეფლექსიის საჭიროება, როგორც ზემოთ აღწერეთ, სიამოვნების მიღების კონტინუუმის შექმნაში, ანუ საკუთარი ბედნიერების კონსტრუირებაშია: ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი ადამიანმა იცის საკუთარი თავი, იცის საკუთარი ქცევის რეალური საფუძვლის შესახებ და ამ ცოდნით გეგმავს საკუთარი მომავალი ბედნიერების მიღწევას.

ამ შემთხვევაში, სამყაროს ყველა აღწერა, რომელიც ადამიანს აქვს მომარჯვებული ინსტრუმენტად, განიხილება როგორც მიზნის მიღწევის საშუალება და, შესაბამისად, მათი შესწავლა, ამ შემთხვევაშიც, კონკრეტულ ტექნოლოგიურ მიზანს ემსახურება: სამყაროს აღწერების შესწავლა საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა შესძლოს საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა სიამოვნების კონტინუუმის, ანუ ბედნიერებისაკენ.

ამ მსჯელობიდან კი გამომდინარეობს, რომ, თუკი თვითრეფლექსია სამყაროს აღწერების შესწავლას მოითხოვს, ჩვენ კვლავ მივდივართ განათლების სისტემის კონსტრუირების საკითხამდე: როგორი უნდა იყოს სამყაროს აღწერების შესწავლის სქემა, რომელიც ადამიანს დაეხმარება თვითრეფლექსიის და საბოლოო მიზნის – სიამოვნების კონტინუუმის მიღწევაში?

## განათლების სისტემა თვითრეფლექსიისათვის

თუკი ტექნოლოგიაზე ორიენტირებული სწავლება ადეკვატურად მოეწეობა, ანუ მასში საკმარისი დრო დაეთმობა სამყაროს აღწერების შესწავლას, მაშინ სწავლების მეორე მიზანი, მოსწავლის მომზადება თვითრეფლექსიისათვის, შესრულებული იქნება: სამყაროს აღწერის რაც უფრო მეტ სურათს ისწავლის მოსწავლე, მით უფრო გაუადვილდება მას თვითრეფლექსია, როგორც ბედნიერების დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, იმის გაცნობიერება, რომ სამყაროს კონკრეტული სურათი მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია ტექნოლოგიის შექმნის გზაზე, მისცემს მას საშუალებას, არ მიებას რომელიმე ერთ აღწერას, როგორც უპირობოდ ჭეშმარიტს, და შეცვალოს იგი საკუთარი საჭიროების მიხედვით. სკოლის ამ ახალი მიზნის გამოჩენით, მასწავლებლის მომზადებას ახალი მოდული ემატება: მასწავლებლები უნდა ფლობდნენ თვითრეფლექსიის მართვის ტექნიკას, უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს თვითრეფლექსიის წარმართვაში, სამყაროს აღწერების გამოყენებაში და უნდა ასწავლონ მათ სამყაროს აღწერის შეცვლა, თუკი კონკრეტულ აღწერა/მიდგომას არ მოაქვს შედეგი, ანუ, თუკი ვერ ახორციელებს ქცევის ახსნას და გამოსავლის/მიმართულების ჩვენებას.

ზემოთ უკვე აღვწერე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი განათლების სისტემა ახალი პარადიგმის მიხედვით: განვითარებული მსჯელობის მიხედვით, განათლების სისტემა უნდა იყოს ტექნოლოგიაზე (ყველაზე ფართო აზრით) ორიენტირებული და უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს/სტუდენტებს ტექნოლოგიის შექმნისაკენ მიმართული ცოდნის კონსტრუირებაში.

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ტექნოლოგიაზე ორიენტირებული სწავლება, ამავე დროს, თვითრეფლექსიის უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლებაცაა: თუკი ტექნოლოგიაზე ორიენტირებული სწავლება ადეკვატურად მოეწყო, ანუ მასში საკმარისი დრო დაეთმობა სამყაროს აღწერების შესწავლას, მაშინ სწავლების მეორე მიზანი, მოსწავლის მომზადება თვითრეფლექსიისათვის, შესრულებული იქნება.

სამყაროს აღწერის რაც უფრო მეტ სურათს ისწავლის მოსწავლე, მით უფრო გაუადვილდება მას თვითრეფლექსია, როგორც ბედნიერების დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, იმის გაცნობიერება, რომ სამყაროს კონკრეტული სურათი მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია ტექნოლოგიის შექმნის გზაზე, მისცემს მას საშუალებას, არ მიეხდეს რომელიმე ერთ აღწერას, როგორც ჭეშმარიტს, და შეცვალოს იგი საკუთარი საჭიროების მიხედვით.

გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ სამყაროს სურათის, როგორც ინსტრუმენტის, ამ შესწავლით, მოსწავლეები კიდევ ერთ ტექნოლოგიურ მიზანს აღწევენ: ისინი ისწავლიან საკუთარი ცხოვრების მოწყობას ისე, რომ საბოლოო ჯამში ბედნიერად იგრძნონ თავი და სიამოვნების კონტინუუმში აღმოჩნდნენ.

ახალი პარადიგმის მიხედვით მონყობილ სკოლებში კონკრეტული დრო, ალბათ, უნდა დაეთმოს თვითრეფლექსიის ტექნიკების სწავლას: მოსწავლეთა მიერ საკუთარი ყოველდღიურობის ანალიზს არსებული ცოდნის მიხედვით. ეს ტექნიკურად რთული არ უნდა იყოს, იმდენად, რამდენადაც ტექნოლოგიებზე მიმართული სწავლება აუცილებლობით მოიცავს სამყაროს სოციოლოგიურ აღწერასაც, რომლის ცოდნის გარეშეც ყოველდღიურობაში გამოყენებული ტექნოლოგიის შესწავლა არ იქნება არც სრული და არც გასაგები.

ტექნოლოგიაზე ორიენტირებული სწავლება იმითაცაა მნიშ-

ვნელოვანი, რომ მოსწავლე სწავლების დაწყების მომენტიდან იწყებს საზოგადოების და საკუთარი ქცევის შესწავლას, აცნობიერებს თავის გარემომცველ საგნებს, როგორც კონკრეტული მიზნის მქონე ობიექტებს. მაშინ, როდესაც მას თვითრეფლექსიის პირველი მცდელობა ექნება, ცხადია, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მას უკვე ექნება კონკრეტული, შეიძლება მარტივი, მაგრამ მაინც, ჩამოყალიბებული აზრი გარემომცველ სოციუმზე და საკუთარი ქცევების მიზეზებსა და მიზნებზე.

სკოლის ამ ახალი მიზნის გამოჩენით, მასწავლებლის მომზადებას ახალი მოდული ემატება: მასწავლებლები უნდა ფლობდნენ თვითრეფლექსიის მართვის ტექნიკას, უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს თვითრეფლექსიის წარმართვაში, სამყაროს აღწერების გამოყენებაში და უნდა ასწავლონ მათ სამყაროს აღწერის შეცვლა, თუკი კონკრეტულ აღწერა/მიდგომას არ მოაქვს შედეგი, ანუ, თუკი ეს აღწერა ვერ ახორციელებს ქცევის ახსნას და გამოსავლის/მიმართულების ჩვენებას.

ამ მიმართულებით, მასწავლებლის ფუნქცია იქნება, ასწავლოს მოსწავლეებს სამყაროს აღწერების გამოყენება – ისეთი აღწერებისა, რომლებსაც ტექნოლოგიური მიზნები აქვთ: სიამოვნების შესაძლებელი მიღება/ტანჯვის შესაძლებელი არიდება და, საბოლოოდ, ცხოვრების ისეთი დაგეგმვა, რომელსაც სიამოვნების კონტინუუმამდე მივყავართ. ამ სწავლებაში, ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილი ექნება დათმობილი მეორე შენი მსგავსის არსებობას და მის ასეთსავე სწრაფვას, მიიღოს სიამოვნება, აიცილოს ტანჯვა და მიაღწიოს სიამოვნების კონტინუუმამდე.

ნიგნის შემდეგ ნაწილში შევეცდები, თვითრეფლექსიის მოკლე სახელმძღვანელო გადმოვცე: როგორ არის შესაძლებელი თვითრეფლექსიის გამოყენება ყოველდღიურობაში და რა წესს უნდა მიჰყვე, რომ თვითრეფლექსია გამოიყენო სიამოვნების კონტინუუმის მისაღწევად.



ნანილი III

თვითრეფლექსიის

სახელმძღვანელო



## თვითრეფლექსია, როგორც თეორია საკუთარი თავის შესახებ

შემოდის ახალი ცნება – „სიამოვნების ხე“, რომელიც მნიშვნელოვანია თვითრეფლექსიაში: „სიამოვნების ხის“ აგებით ადამიანი სწავლობს ბევრ რამეს საკუთარი თავისა და საკუთარი მომავლის შესახებ.

ამ წიგნის წინა ნაწილებში მსჯელობით მივედით დასკვნამდე, რომ თვითრეფლექსია არა მარტო ევოლუციურადაა აუცილებელი, არამედ მნიშვნელოვანი მიზანია წარმატებისა და სიამოვნების მიღწევის გზაზე: თვითრეფლექსიის გარეშე შეუძლებელია, სიამოვნების კონტინუუმის, ანუ ბედნიერების მიღწევა.

თვითრეფლექსია პასუხობს ოთხ ძირითად კითხვას:

- რა მსიამოვნებს?
- რამდენად შეიძლება (რაზეა დამოკიდებული, რომ) ის, რაც მსიამოვნებს, იყოს მდგრადი და მეტ-ნაკლებად მუდმივი?
- რამდენად შესაძლებელია, რომ ის, რაც მსიამოვნებს, მივიღო სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად?
- რამდენად მაზიანებს ის, რაც მსიამოვნებს და რამდენად შესაძლებელია სიამოვნების მიღება ჩემი დაზიანების გარეშე?

ეს ოთხი მარტივი კითხვა არის თვითრეფლექსიის საფუძველი. ამ კითხვებზე პასუხი ყოველდღიური ქცევის რეგულირებას ახდენს: თუკი შენ გაქვს პასუხი ამ კითხვებზე, შესაბამისად, საკმაოდ რთულია, ჩაიძინო ისეთი საქციელი, რომელიც ან ქცევის განხორციელების მომენტში, ან მომავალში, შენზე უარყოფითად იმოქმედებს. შესაბამისად, თვითრეფლექსიის ამ ოთხი შეკითხვის პასუხი აადვილებს ბედნიერებასთან დაახლოებას და, შესაბამისად, სიამოვნების კონტინუუმის მიღწევას.



თუმცა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის: იმისათვის, რომ გაიგო, რა გვსიამოვნებს, საჭიროა საკუთარი გრძნობების, მისწრაფებების, განწყობების გაანალიზება. ამისათვის კი საჭიროა საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გააზრება და სკალის – „სიამოვნების ხის“ შედგენა.

მაგრამ, „სიამოვნების ხის“ შედგენამდე, საჭიროა იმის გაცნობიერება, თუ რა არის სიამოვნება, რა მდგომარეობაა ეს, ტვინისა და ორგანიზმის როგორი ურთიერთმესაბამისობაა. მთავარი ამ გაცნობიერებაში არის სიამოვნებისა და სიამოვნების წყაროს (აღზნების) განცალკევება ერთმანეთისაგან, იმის გარკვევა, თუ რა არის სიამოვნების მდგომარეობა და რა არის ამ მდგომარეობის მიღწევის საშუალება.

ცხადია, ამ გაცნობიერებაში თქვენ მიერ ნასწავლი სამყაროს აღწერები დაგეხმარებათ. უნდა გახსოვდეთ, რომ სამყაროს აღწერები მხოლოდ ინსტრუმენტებია, რომლებსაც ამჯერად იყენებთ კონკრეტული პრაქტიკული მიზნის მისაღწევად: კონკრეტულად, უნდა დაადგინოთ, თუ რა არის თქვენთვის სიამოვნების წყარო(ები).

ცხადია, ასაკთან ერთად სიამოვნების წყაროებიც იცვლება. შესაბამისად, თქვენი სიამოვნების ხე ინტენსიურ რევიზიას საჭიროებს. რევიზიის საჭიროების მიმანიშნებელი უნდა იყოს სიამოვნების შემცირების განცდა. ამ შემთხვევაში თქვენ თავიდან უნდა გაიაროთ ოთხი კითხვის პასუხის გზა.

ხშირ შემთხვევაში სიამოვნების გრძნობის შემცირება, თვითრეფლექსიის გარეშე, იწვევს კონკრეტული სიამოვნების წყაროს ძებნის ინტენსიფიკაციას. შედეგად, ზიანი ადგება არა მარტო თქვენს გზას სიამოვნების კონტინუუმისაკენ, არამედ, შესაძლებელია, თქვენს გარემოსაც და ადამიანებსაც თქვენს გარემოში: სწორედ ეს არის ის კრიტიკული წერტილი, როდესაც თვითრეფლექსია აუცილებელი ხდება. წინააღმდეგ შემთხვევა-

ში, გემუქრებათ ვითარება, როდესაც თქვენი მიზანი იქნება ის, რაც უკვე სიამოვნებას აღარ განიჭებთ. ამიტომ სიამოვნების ძიებაში თქვენ სულ უფრო და უფრო მეტ ძალისხმევას გაიღებთ, უფრო და უფრო მეტს გარისკავთ, დამაკმაყოფილებელი შედეგის გარეშე. შედეგად, დაანგრევთ საკუთარ თავსაც და საკუთარ გარემოსაც.

შესაბამისად, თვითრეფლექსიას გადამჭრელი როლი აქვს ბედნიერების, როგორც სიამოვნებების მიბჯრის, მიმდევრობის, კონტინუუმის მიღწევაში: თუკი თქვენ წარმატებას მიაღწიეთ, ეს არ ნიშნავს, რომ თვითრეფლექსია არ გჭირდებათ. წარმატების მიღწევის შემთხვევაში ის კიდევ უფრო საჭიროა, რადგან თვითრეფლექსია, რეფლექსია იმის შესახებ, თუ ახლა რა განიჭებთ სიამოვნებას, თქვენს წარმატებას კიდევ უფრო განამტკიცებს და სწორი მიმართულებით წარმართავს. თვითრეფლექსიის გარეშე კი თქვენი წარმატება შეიძლება გაქრეს, თუკი მიღწეულს ისეთ მხარეს განავითარებთ, სადაც ვერ იპოვით თქვენი სიამოვნების წყაროს.

თვითრეფლექსიის ტექნიკური შედეგი არის თეორია თქვენ შესახებ: რა იცით, რა შეგიძლიათ, რა არის თქვენი მიზანი და მიზნები, რა შეგიძლიათ გამოიყენოთ საშუალებებად და ა.შ. თქვენი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე ეს თეორია არ არის საბოლოო, ის მუდამ საჭიროებს გადასინჯვას და კორექტირებას. თვითრეფლექსიის შეწყვეტა და რომელიმე [თქვენ მიერ შექმნილ] თეორიაზე დათანხმება, თქვენი ცნობიერი ცხოვრების შეწყვეტას ნიშნავს.

შემდეგი თავები ზემოთ აღწერილი კითხვების ახსნა-გამოყენებას მიეძღვნება.

## „სიამოვნების ხე“

გრძელდება „სიამოვნების ხის“ შესახებ მსჯელობა. ირკვევა, რომ თვითრეფლექსია უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც თქვენ წარმატებას მიაღწიეთ სიამოვნების გზაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც თქვენ წარუმატებელი ხართ. ეს იმიტომ, რომ წარუმატებლობა თვითონ გიბიძგებთ თვითრეფლექსიისაკენ, როდესაც წარმატებულობა, ანუ იმის განწყობა, რომ სიამოვნების კონტინუუმში მოხვდით, თვითრეფლექსიის საწინააღმდეგო გზაზე გაყენებთ.

„სიამოვნების ხე“ არის თქვენი ინდივიდუალური სიამოვნებების იერარქია, ანუ სიამოვნებების დალაგება, იმისდა მიხედვით, რა განიჭებთ სიამოვნებას ყველაზე მეტად და რა – ყველაზე ნაკლებად. ცხადია, სხვადასხვა ასაკში „სიამოვნებების ხე“ სხვადასხვანაირია: თუკი თქვენ თვითრეფლექსიას თინეიჯერულ ასაკში დაიწყებთ, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ყველაზე მეტ სიამოვნებას სექსი განიჭებთ, ხოლო რამდენიმე წელიწადში, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ძალები არ დასუსტებულა, შესაძლებელია, სიამოვნების ყველაზე მეტად მომნიჭებელი კონცერტზე ყოფნა, ვარჯიში, ან საზოგადოების წინაშე სიტყვით წარმატებული გამოსვლა იყოს.

„სიამოვნების ხის“ აგებისას, მთავარია დაადგინოთ სიამოვნებების იერარქია და სიამოვნებათა კავშირი ერთმანეთთან: ხე ყველაზე სრულყოფილი მაშინაა, თუკი დაადგენთ, თუ როგორ გადადიან სიამოვნებები ერთმანეთში: მაგ., თუკი თქვენ პოლიტიკოსი ან ბიზნესმენი ხართ და თქვენი მაქსიმალური სიამოვნება ძალაუფლების მანიფესტაციაა, უნდა დაფიქრდეთ, თუ რას ნიშნავს თქვენთვის ძალაუფლების მანიფესტაცია, მასების მქუხარე ტაშს, სიტყვით რომ გამოდიხართ, ნებისმიერ ადგილას

თქვენ მიმართ გამოხატულ პატივისცემას, იმის ცოდნას, რომ თქვენი ძალისხმევით ქვეყანა (ან, თქვენი ბიზნესი) ეკონომიკურად ათჯერ უფრო მეტად განვითარდა, ვიდრე თქვენამდე, თუ სექსს ნებისმიერთან, ვისთანაც მოინდომებთ?

ამის შემდეგ, თქვენ უნდა დაადგინოთ, თუ რა არის მეორე ან მესამე რიგის სიამოვნებები და როგორ შეიძლება ამ მეორე და მესამე რიგის სიამოვნებების გამოყენება მთავარი სიამოვნების მისაღწევად. თუკი ვერ იპოვეთ გზა მთავარი სიამოვნებისაკენ, რომელიც სხვა, თქვენთვის უფრო დაბალი ხარისხის სიამოვნებებზე გადის, სავარაუდოა, რომ ის, რაც თქვენ მაქსიმალური სიამოვნება გგონიათ, ასეთი არ არის: ის ან ინსტრუმენტია სხვა, თქვენთვის ჯერ უცნობი სიამოვნების გზაზე, ან ის ტანჯვაა, რომელიც მხოლოდ თქვენი და სხვების ტანჯვით მიიღწევა.

ასე აზროვნებით თქვენ ნელ-ნელა მიხვალთ მეორე კითხვამდე, ანუ კითხვამდე თქვენი სიამოვნებების მდგრადობის შესახებ.

ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ თვითრეფლექსია უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც თქვენ წარმატებას მიაღწიეთ სიამოვნების გზაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც თქვენ წარუმატებელი ხართ. ეს იმიტომ, რომ წარუმატებლობა თვითონ გიბიძგებთ თვითრეფლექსიისაკენ, როდესაც წარმატებულობა, ანუ იმის განწყობა, რომ სიამოვნების კონტინუუმში მოხვდით, თვითრეფლექსიის საწინააღმდეგო გზაზე გაყენებთ.

## სიამოვნების მღვრადობის შესაძლებლობა

რამდენად შესაძლებელია, თქვენი სიამოვნება იყოს მეტ-ნაკლებად მუდმივი, რამდენად გაქვთ ამ სიამოვნების მიღების, როგორც სოციალური, ასევე, ფიზიკური შესაძლებლობა? დიდი მიზნები ძალიან ზუსტ თვითრეფლექსიას საჭიროებს. რაც უფრო დიდა მიზანი, მით უფრო მეტი შანსია, რომ ამ მიზნამდე თქვენ სიამოვნებების გზას კი არა, არამედ თქვენი და სხვების ტანჯვების გზას მიჰყავხართ. საბოლოოდ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენი მიზანი თქვენი და სხვების ტანჯვა გახდა.

მას შემდეგ, რაც უკვე იცით, თუ როგორია თქვენი სიამოვნებების იერარქია, უნდა იფიქროთ იმის შესახებ, თუ რამდენად მდგრადია თქვენი სამიზნე სიამოვნება, ანუ, რამდენად შესაძლებელია თქვენი სიამოვნება იყოს მეტ-ნაკლებად მუდმივი, რამდენად გაქვთ ამ სიამოვნების მიღების, როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური შესაძლებლობა.

სოციალური შესაძლებლობა ნიშნავს, თუ რამდენად არის შესაძლებელი თქვენს სოციალურ გარემოში თქვენთვის სამიზნე სიამოვნების მიღება. თუკი ამ კონკრეტული სიამოვნების მიღება აკრძალულია, მაშინ თქვენ კარგად უნდა დაფიქრდეთ მთავარი სიამოვნების მიღებისაკენ მიმავალ სიამოვნებების გზაზე: ხომ არ არის ამ სიამოვნების მიღწევა უფრო მეტად ტანჯვასთან დაკავშირებული და თქვენვე ხომ არ გიქმნით საფრთხეს? თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სიამოვნების მისანიჭებლის აკრძალვის წინააღმდეგ ბრძოლა. თუკი ეს არ შეგიძლიათ და ეს ბრძოლა მხოლოდ ტანჯვის მომნიჭებელია, მაშინ უნდა შეეცადოთ, ან ჩაანაცვლოთ სიამოვნება, ან, მოძებნოთ ისეთი სოციალური

გარემო, სადაც თქვენი სამიზნე სიამოვნება აკრძალული არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ უფრო მეტ ტანჯვას მიიღებთ, ვიდრე სიამოვნებას და თქვენ მიერ სიამოვნების მიღებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს თქვენ გარშემო მყოფი ადამიანები და თქვენი გარემო.

მაგალითად, თქვენი სამიზნე სიამოვნება პოლიტიკური ლექსების წერაა. ამ დროს, თქვენს სახელმწიფოში პოლიტიკური ლექსების წერა ისჯება სამუდამო პატიმრობით და ხანდახან – სიკვდილით. თქვენ ან უნდა გახდეთ პოლიტიკური ფიგურა, რომელიც იბრძოლებს იმისათვის, რომ ეს აკრძალვა მოიხსნას, ან უნდა წახვიდეთ ემიგრაციაში, თუკი პოლიტიკოსობა თქვენ არავითარ სიამოვნებას არ განიჭებთ. იგივე შეიძლება ითქვას, თუკი თქვენ გეი ხართ და თქვენი სოციალური სისტემა სჯის სექსუალურ უმცირესობებს. უნდა დაფიქრდეთ და მიხვდეთ, რამდენად შეგიძლიათ იყოთ პოლიტიკოსი, რომელიც გეების უფლებებს დაიცავს. იყოთ პოლიტიკოსი და ასე მიაღწიოთ გეებისთვის პრივილეგიებს ფარულად, პოლიტიკური ძალაუფლების გზით, არ არის სიამოვნების მიღწევის გზა, რადგან, სავარაუდოა, რომ ამ თქვენს ტყუილს გამოიყენებენ თქვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და დააზარალებენ არა მარტო თქვენს გარემოს, არამედ, თქვენც. ანდა, მაგალითად, თქვენი მიზანია ძალიან დიდი ფულის ქონა. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა განსაზღვროთ, რამდენად მიგიყვანთ გარემოს და სხვა ადამიანების არადამაზიანებელი სიამოვნებების მიბჯრა ამ მიზნამდე. თუკი ეს შეუძლებელია, თქვენ ან უნდა მოძებნოთ ისეთი სოციალური, სადაც ეს შესაძლებელია, ან უარი თქვათ ამ მიზანზე და იპოვოთ ახალი.

რაც შეეხება ფიზიკურ შესაძლებლობებს: თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ფიზიკური და ფიზიოლოგიური შესაძლებლობები თქვენი მიზნის შესაბამისია. მაგალითად, თუკი

თქვენი მიზანი არის ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონობა, ან ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატობა, კარგად უნდა გაზომოთ საკუთარი შესაძლებლობები. იქნებ უმაღლესი სიამოვნება იმავე სფეროებში მასწავლებლობით მიიღოთ.

დიდი მიზნები ძალიან ზუსტ თვითრეფლექსიას საჭიროებს. რაც უფრო დიდია მიზანი, მით უფრო მეტია შანსი, რომ ამ მიზნამდე თქვენ სიამოვნებების გზას კი არა, არამედ თქვენი და სხვების ტანჯვის გზას მიჰყავხართ. საბოლოოდ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენი მიზანი თქვენი და სხვების ტანჯვა გახდება.

## სიამოვნების მიღება სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად

როდესაც მოიფიქრებთ და დაადგენთ თქვენი სამიზნე სიამოვნების და მისკენ მიმავალი სიამოვნების გზების მდგრადობას, უნდა დასვით კითხვა, რამდენად შესაძლებელია ყველა ამ სიამოვნების მიღება სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად? სიამოვნების მიღებით სხვების დაზიანება, ან თუნდაც სხვების განაწყენება, ყოველთვის შესაძლებელია. თუმცა თქვენი კითხვა უნდა მდგომარეობდეს არა იმაში, ხომ არ განაწყენდება ვინმე, როდესაც თქვენ სიამოვნების მიღებას ეცდებით, არამედ, ხომ არ დაისახავს ვინმე, თქვენი მოქმედების შედეგად საკუთარ სიამოვნებად თქვენი დაზიანება დასახოს? შემდეგი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვით, ამავე რიგისაა: რამდენად შეეძლება მას (ვინც საკუთარ სიამოვნებად თქვენს დაზიანებას განიზრახავს) ამ მიზნის განხორციელება?

წარმოიდგინეთ ადამიანის ცხოვრება, რომელიც კარგად და ზედმინევენით არის დაგეგმილი. არ არის გამოტოვებული არც ერთი ნიუანსი, რომელმაც შეიძლება წარუმატებლობა გამოიწვიოს. ყველაფერი გათვლილია. და ეს ადამიანი, ცხადია, აღწევს დიდ წარმატებას, როგორც დაგეგმილია. მაგრამ, უეცრად, როდესაც ის წარმატების პიკზეა, ის დარტყმას დარტყმაზე იღებს, და ვერ გაურკვევია, რა ხდება. თვლის, რომ ეს შეთქმულებაა მის წინააღმდეგ, ანდა – რომ მას საბოლოოდ ბედმა უმტყუნა. თუმცა, ახსენდება, რომ მისი წარმატება მისივე შექმნილია და იწყებს გამოძიებას. იწყებს და ვერაფერს ვერ პოულობს. არავინ არის ექსკლუზიურად მის წინააღმდეგ. უბრალოდ, ასე ხდება. ბედის გამო? არამც და არამც. უბრალოდ, ეს ადამიანი არ დაფიქრებულა იმ გავლენაზე, რომელსაც მისი წარ-



მატება ახდენდა გარემოზე. არადა, წარმატების შესაბამისად, ეს გავლენა ძლიერი იყო. ამ გავლენამ საკუთარი ადამიანები და ვითარებები შემოიყვანა წარმატების არეალში, რომლებმაც საკუთარი წარმატების მიღწევა გადანყვიტეს. ცხადია, ამ წარმატებების მიღწევის გზაზე მათ უკვე მიღწეული, გაჩერებული, თუმცა ბრწყინვალე წარმატება გადაეყარათ, რომელიც უნდა მოეშორებინათ. სხვანაირად ისინი, სხვები, წარმატებას ვერ მიაღწევდნენ.

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს ზემოთ მოთხრობილი ამბავი წარმატების და მისი სიმყიფის ფორმულაა. ამიტომ, თუკი გადანყვიტე ილი გაქვთ წარმატების მიღწევა, აუცილებლად უნდა იფიქროთ იმ მომავალზეც, რომელიც წარმატების მიღწევის შემდეგ დგება. მართალია, ჩვენი სიუჟეტის გმირს არ უნდოდა სხვებისათვის ზიანის მიყენება, მაგრამ, ეს აუცილებლად ხდება და მით უფრო მასშტაბურია, რაც უფრო მასშტაბურია წარმატება.

როდესაც მოიფიქრებთ და დაადგენთ თქვენი სამიზნე სიამოვნების და მისკენ მიმავალი სიამოვნების გზების მდგრადობას, უნდა დასვათ კითხვა, რამდენად შესაძლებელია ყველა ამ სიამოვნების მიღება სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად? სხვებისთვის ზიანის მიყენება, ან თუნდაც სხვების განაწყენება, სიამოვნების მიღებით ყოველთვის შესაძლებელია. თუმცა, თქვენი კითხვა უნდა მდგომარეობდეს არა იმაში, ხომ არ განაწყენდება ვინმე, როდესაც თქვენ სიამოვნების მიღებას ეცდებით, არამედ, ხომ არ აპირებს ვინმე, თქვენი მოქმედების შედეგად, საკუთარ სიამოვნებად თქვენი დაზიანება დაისახოს მიზნად? შემდეგი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვათ, ამავე რიგისაა: რამდენად შეძლებს ის (ვინც საკუთარ სიამოვნებად თქვენს დაზიანებას განიზრახავს) ამ მიზნის განხორციელებას?

ცხადია, უმჯობესია, რომ თქვენს თვითრეფლექსიის თეორიაში ამ კითხვებზე პასუხი უარყოფითი იყოს. ყოველ შემთხვევაში, მეორე კითხვაზე მაინც. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეორე კითხვაზე ვერასოდეს ვერ გაცემთ დარწმუნებულ უარყოფით პასუხს. თქვენ არასოდეს არ იცით, რა შესაძლებლობას გააჩენს სხვისი სურვილი, მიიღოს სიამოვნება თქვენი დაზიანებით.

ამიტომ, სასურველია, თუკი თქვენს თვითრეფლექსიის თეორიაში ამ კითხვებზე დადებითი პასუხი საერთოდ არ იარსებებს. რაც უფრო მეტ ადამიანს და სოციალურ ქვესისტემას ეხება თქვენი საბოლოო მიზანი – „სიამოვნების ხის“ კენწეროზე რომ არის მოთავსებული – მით უფრო მეტი შანსია, რომ ამ კითხვებზე პასუხი დადებითი იყოს. თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, როდესაც ამ კითხვაზე პასუხი რეფლექსირებულია, მით უფრო ადვილი იქნება თქვენთვის, წინ აღუდგეთ თქვენი დაზიანების მცდელობებს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამის გაცნობიერება გარკვეულწილად აუქმებს თქვენს საბოლოო მიზანს: თუკი შესაძლებელ ზიანზე თვითრეფლექსია არსებობს, მაშინ რამდენად არის საბოლოო სიამოვნება სრული? მეორე მხრივ, თუკი მიზანი და მისაღები სიამოვნება მაღალი ფსიქოლოგიური და სოციალური ღირებულებისაა, შესაძლებელია, თქვენ დათანხმდეთ შესაძლებელ ზიანს. ამ შემთხვევაში, მიზანი (სიამოვნება) განხორციელდება შესაძლებელი ზიანის თვითრეფლექსიით და შესაძლებელი ზიანი თქვენი სიამოვნების მიღწევის ნაწილი გახდება.

## რამდენად შესაძლებელია ჩემთვის სიამოვნების მიღება ჩემთვის ზიანის მოუყენებლად

რაც უფრო მცირე სივრცეს მოიცავს ჩემი სამიზნე სიამოვნების მიღების არეალი (როგორც ფიზიკურს, ასევე მენტალურს), მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა, რომ დავზიანდე და მიღებული სიამოვნება ტანჯვად მექცეს. ცხადია, ბედნიერების, ანუ სიამოვნების კონტინუუმის შეუძლებლობა არ ნიშნავს იმას, რომ სიამოვნების მიღება და მიღწევა გამორიცხულია: ეს შესაძლებელია, თუმცა, სიამოვნების კონტინუუმის მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუკი, „სიამოვნების ხის“ კენწეროს მიღწევის შემდეგ, არ მოხდა „სიამოვნების ხის“ რადიკალური რევიზია და ახალი „ხის“ აგება.

ამ კითხვაზე პასუხი თითქოს უკვე გავეცით წინა მსჯელობაში: რაც უფრო ბევრ ადამიანს და სოციალურ ქვესისტემას ფარავს ჩემი სამიზნე სიამოვნება, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა, რომ დავზიანდე.

შესაბამისად, რაც უფრო მცირე სივრცეს მოიცავს ჩემი სამიზნე სიამოვნების მიღების არეალი (როგორც ფიზიკურს, ასევე მენტალურს), მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა, რომ დავზიანდე და მიღებული სიამოვნება ტანჯვად მექცეს.

თუმცა, მეორე მხრივ, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ, თუკი მისაღები სამიზნე სიამოვნება დიდია, ის გადანონის შესაძლებელ ტანჯვას.

მაგრამ, ამის შესახებ ფიქრისას, არ უნდა დავგავინყდეს, რომ შესაძლებელი ტანჯვა, რომელიც დიდი სიამოვნების და დიდი მიზნის შემთხვევაში შეიძლება მივიღო, მხოლოდ ჩემი შესაძლებელი ტანჯვა არ იქნება, არამედ, მთელ იმ გარემოსაც

შეეხება, რომელიც მე შევქმენი მიზნისკენ სიარულისას.

ამიტომ, დიდი მიზნის და დიდი სიამოვნების დასახვის შემთხვევაში, უნდა მოვახდინოთ რეფლექსია არა მარტო ჩვენს შესაძლებელ ტანჯვაზე, არამედ, ჩვენი გარემოცვის დაზიანებზეც, რომლებსაც ჩვენი გადანყვეტილება არ მიუღიათ.

შესაბამისად, თვითრეფლექსიის ამ პირველ საფეხურზე სამი ტიპის დაზიანება უნდა გავითვალისწინოთ:

- პირველი, ის ზიანი, რომელიც მე შეიძლება მივაყენო სხვებს სიამოვნების ხის კენწეროსკენ მოძრაობაში;

- მეორე – ის ზიანი, რომელიც შეიძლება მე მომადგეს მათი მხრიდან, ვინც გადანყვეტს, რომ ამ ჩემი მიზნის გამო მათი სიამოვნება ჩემთვის ზიანის მიყენება;

- და მესამე – ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ჩემს გარემოს, იმ ადამიანების ჩათვლით, ვისაც ჩემსავით არ მიუღია გადანყვეტილება „სიამოვნების ხის“ კენწეროზე მდებარე მიზნის შესახებ და ჩემს გზაზე აღმოჩნდა ჩემს გარემოში გაერთიანებული.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამისდა მიუხედავად, გადანყვეტილება მიზნის შესახებ მაინც შეიძლება იყოს მიღებული. ამ შემთხვევაში, შესაძლებელი და აქტუალური ზიანი ჩემი სამიზნე სიამოვნების ნაწილი ხდება.

ცხადია, ამ შემთხვევაში, ბედნიერების, როგორც სიამოვნების კონტინუუმის მიღწევა შეუძლებელი ხდება – მიიღწევა სიამოვნება, რომელიც „ბედნიერების ხის“ კენწეროზეა, მაგრამ ბედნიერება, ანუ სიამოვნების კონტინუუმის განხორციელება – შეუძლებელია. თუნდაც იმ შესაძლებელი ზიანის და ტანჯვის მოლოდინის გამო, რომლის შესახებაც ჩვენთვის ცნობილია. თუმცა, ამ შემთხვევაში, თვითრეფლექსიის საშუალებით ჩვენთვის ცნობილი ხდება ბედნიერების და სიამოვნების კონტინუუმის შეუძლებლობა.

ცხადია, ბედნიერების, ანუ სიამოვნების კონტინუუმის შეუძლებლობა არ ნიშნავს იმას, რომ სიამოვნების მიღება და მიღწევა გამორიცხულია: ეს შესაძლებელია, თუმცა, სიამოვნების კონტინუუმის მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუკი სიამოვნების ხის კენწეროს მიღწევის შემდეგ, არ მოხდა სიამოვნების ხის რადიკალური რევიზია და ახალი ხის აგება.

სიამოვნების ახალი ხის აგება თვითრეფლექსიის თავიდან დაწყებას და ამ ოთხი შეკითხვის პროცესის თავიდან დაწყებას ნიშნავს. რამდენად არის ამის შესაძლებლობა, რამდენად განხორცილებადა ეს პროცესი – ამის შესახებ შემდეგ თავში.

ზემოთ, მსჯელობისას მე ვთქვი, რომ „სიამოვნების ხე“ მუდმივ რევიზიას მოითხოვს. თუმცა ის, რის შესახებაც შემდეგ თავში იქნება საუბარი, არის არა რევიზია, არამედ, სიამოვნების ახალი ხე, ახალი სიცოცხლე და სრულიად ახალი თეორია საკუთარი თავის შესახებ.

## სიამოვნების ახალი ხის აუცილებლობა – გაუტამას ცხოვრება

სიამოვნების ახალი ხის აუცილებლობის განმარტება ხდება გაუტამა ბუდას ცხოვრების ახალი ინტერპრეტაციით. მნიშვნელოვანი ბუდას ცხოვრებაში არის არა იმდენად ის, თუ რას მიაღწია მან მეფობაზე უარის თქმის შემდეგ, არამედ ის, რომ მან მეფობის, ანუ წარმატების მიღწევის და სიამოვნების კონტინუუმში ცხოვრებაზე თქვა უარი და სიამოვნების რამდენიმე ახალი ხე აავსო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „სიამოვნების ხე“ რევიზიას მუდამ საჭიროებს. მაგრამ ეს რევიზია რთულდება ასაკთან ერთად: რაც უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს, მით უფრო ჩაჭიდებულნი ვართ ამ გამოცდილებას. შესაბამისად, მით უფრო გვიჭირს სიამოვნების ხის ცვლილება.

თუმცა „სიამოვნების ხის“ კენწეროს მიღწევის შემდეგ, თუკი, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მიზანი მიღწეულია, მაგრამ სიამოვნების კონტინუუმი შეუძლებელია, ჩვენ ვდგებით იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გამოვცვალოთ „სიამოვნების ხე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული კატასტროფა გვემუქრება. როგორი იქნება კონკრეტულად კატასტროფა, ეს გარემო პირობების მიხედვითაა: მუდმივად ხიფათის განცდა თუ ამ ხიფათის განხორციელება.

ამიტომ მნიშვნელოვანია, ოთხივე კითხვის თავიდან გავლა და ახალი, ფუნდამენტურად განსხვავებული მიზნების დაწესება, ახალი ხის აგება, რომელიც წინა სამყაროსაგან განსხვავებულ, სულ სხვა სამყაროში მოგვათავსებს.

კაცობრიობის თქმულებების და ამბების კორპუსში ადვილად შეგვიძლია მოვძებნოთ ცხოვრებათა აღწერა, როდესაც

მეფეები თუ მთავარსარდლები, „უცხად“, გარეგანი მიზეზის გარეშე, თავს ანებებდნენ წარმატებულ სამსახურს და განდგილად მიდიოდნენ. ეს ისტორია, რომელიც თითქმის ყველა ხალხის ლეგენდების კორპუსში გვხვდება და ხანდახან რეალობაშიც პროლობს მკრთალ ასახვას, შესაძლებელია, სწორედ სიამოვნების ხის გამოცვლის გაცნობიერების ანაბეჭდი იყოს: ეს ამბავი გვასწავლის, რომ მასშტაბური და წარმატებული ცხოვრების შემთხვევაში, აუცილებელია სიამოვნების სხვა ხის აგება, სწორედ იმიტომ, რომ პროტაგონისტების ცხოვრება წარმატებული იყო და, შესაბამისად, ბედნიერების შეუძლებლობა – მიღწეული. საბოლოო ჯამში, ყველა ეს ლეგენდა, ალბათ, ბუდას ცხოვრების სხვადასხვა ვერსიას, რომელმაც, იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეების განმავლობაში პერსონაჟებს და გარემოს იცვლიდა, ძირითადი იდეა, წარმატებულობის შემთხვევაში სიამოვნების ახალი ხის აგების აუცილებლობა, იგივე დატოვა.

სიდჰარტა გაუტამას (მომავალში ბუდას) მეფობისათვის ამზადებდნენ, ამიტომ მას ჰქონდა ყველაფერი, რასაც მოისურვებდა და ის ყოველმხრივ დაცული იყო ყველანაირი ზიანისაგან. როდესაც პრინცი გაუტამა 29 წლის შესრულდა, ის გავიდა თავისი სასახლიდან გარეთ და შეხვდა ჯერ მოხუცებულს, შემდეგ სწეულს და ასკეტს და დაინახა მკვდარი. მან ჰკითხა თავის მეეტლეს მოხუცის შესახებ, თუ ეს რას ნიშნავსო. მეეტლემ უპასუხა, ეს ყველა ადამიანის ბედიაო. ამის შემდეგ მიიღო ბუდამ გადანყვეტილება, დაეტოვებინა წინა ცხოვრება და დაეწყო ახალი.

ვფიქრობ, სიდჰარტა გაუტამა ბუდას ისტორიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ესაა, რადგანაც გვიყვება იმ ვითარების შესახებ, თუ როდის უნდა დაიწყო ახალი ცხოვრება, როდის უნდა ააგო სიამოვნების ახალი ხე. ის, რომ გაუტამა

პრინცი, არ ნიშნავს, რომ ის ახალგაზრდაა: შუა საუკუნეებში 29 წელი ცხოვრების ნახევარი იყო (დანტე ალიგიერი, როდესაც ის „ღვთაებრივი კომედიის“ პირველ სტროფებში საკუთარ თავს აღწერდა – *Nel mezzo del cammin di nostra vita* – [ამქვეყნიური ცხოვრების ნახევარი როცა გავლიე] – 30 წლის იყო). შესაბამისად, სიდჰარტას გადაწყვეტილება, სულ მცირე, ცხოვრების ნახევრის გავლის შემდეგაა მიღებული. ცხადი უნდა იყოს, რომ სიდჰარტას ისტორია ალეგორიაა – ეგზოტიკურობის მიუხედავად, ძნელადაა წარმოსადგენი, რომ 30 წლის პრონცი არასოდეს გამოსულა თავისი სასახლეებიდან. ვფიქრობ, ეს ამბავი ალეგორიულად მოგვითხრობს ცხოვრების იმ გზის, სიამოვნების ხის კენწეროს მიღწევის იმ ისტორიას, როდესაც ადამიანი სწორად და კარგად გეგმავს თავის ცხოვრებას, პასუხს სცემს ოთხ კითხვას, აკორექტირებს სიამოვნების ხეს და ბოლოს აღწევს მიზანს – ერთი ნაბიჯია დარჩენილი მეფედ გახდომამდე (ე.ი. საბოლოო წარმატებამდე). მაგრამ, სწორედ ამ დროს, თვითრეფლექსიისას, ხვდება, რომ ბედნიერება მისთვის შეუძლებელია – ხომ არსებობს ის ფაქტორები, რომლებიც ზოგი თავისთავადია, ზოგი კი მისი მმართველობის მიერაა გამოწვეული (მაგ., ასკეტობა). ამიტომ, ასკვნის სიდჰარტა, წარმატება შესაძლებელია, ოღონდ ეს დიდი წარმატება, მიუხედავად იმისა, რომ აღწევს სიამოვნების ხის კენწეროს, გამორიცხავს სიამოვნების კონტინუუმს, ანუ ბედნიერებას. სწორედ ამ დროს, წარმატების პიკზე, იმიტომ, რომ ყველაფერი მიღწეულია ბედნიერების გარდა, რომელიც შეუძლებელია, სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი მიღწეულია, სიდჰარტა ანებებს თავს სამეფოს და ძველ ცხოვრებას და იწყებს ახალს და საბოლოოდ ბუდა ხდება.

ბუდამ ახალი ცხოვრება დაიწყო მას შემდეგ, რაც საკუთარი სიამოვნების ხის კენწეროს მიაღწია და მიხვდა, რომ სიამოვნების კონტინუუმის მიღწევა მის მდგომარეობაში შეუძლებელია.



ამიტომ დაიწყო სიამოვნების ახალი ხის აგება. გაუტამას ისტორია გვიყვება არა იმდენად სწორი გზის შესახებ, არამედ, თვითრეფლექსიის შესახებ: ეს ამბავი მოგვითხრობს, რომ მხოლოდ თვითრეფლექსიის და ბედნიერების შეუძლებლობის ცხადი ხილვის შემდეგ ხვდება გაუტამა, რომ სიამოვნების მიღების მიუხედავად, სიამოვნების კონტინუუმი შეუძლებელია.

მნიშვნელოვანია, რომ გაუტამას შესახებ ისტორიაში ცხოვრების შეცვლის გადანყვეტილებას გაუტამა მას შემდეგ იღებს, რაც საკუთარი ბედნიერების წინააღმდეგობას ნაანყდება – მოხუცის, მკვდრის, სნეულის და ასკეტის სახით: მისი სიამოვნების ხის მწვერვალი მიღწეულია, მაგრამ სიამოვნების კონტინუუმი შეუძლებელია, რადგან არსებობენ მკვდრები, სნეულები და ასკეტები. მათი არსებობის წყარო კი გაუტამას სიამოვნების ხის მწვერვალია. ამიტომ, გაუტამას ბედნიერება შეუძლებელია და გაუტამა მიდის ბედნიერების მისაღწევად. ამაშია თვითრეფლექსიის ძალა და ამოცანა.

გაუტამას მითი ადამიანების სოციუმში შესაძლებელი თვითრეფლექსიის შესახებ ჰყვება: თვითრეფლექსია აუცილებელია არა მარტო სიამოვნების ხის კენწეროს მისაღწევად, არამედ, ამ მიღწევის შემდეგ, მიღწეულისთვის თავის დასანებებლად და ბედნიერების, ანუ სიამოვნების სხვა ხის ასაგებად წასასვლელად.

სიამოვნების ახალი ხე მხოლოდ მაშინ უნდა ააგო, როცა ერთი ხე დასრულებულია.

## **როგორ შეიქმნება ბედნიერება იყოს წარმატების შემდგომი ცხოვრება**

ამ წიგნში შემუშავებული დისკურსის მიხედვით, თუკი სიამოვნების ყოველი ახალი ხე ისევე არის წარმატებებზე ორიენტირებული, როგორც წინა, გარდაუვალია კვლავ ახალი ხის აგებაზე ორიენტაცია. და ასე მუდამ, იქამდე, ვიდრე თქვენი ცხოვრება არ დამთავრდება.

სიამოვნების ახალი ხის შესახებ კითხვის პასუხი ისევე და ისევე ბუდას ცხოვრებაშია: მეფობისათვის თავის დანებების შემდეგ სიდჰარტამ ბევრი გზა სცადა. მაგრამ, ყველა გზამ ისევე და ისევე ამ გზის უარყოფამდე მიიყვანა და სიამოვნების ახალი ხის ასაგებად მიმართა.

ამ წიგნში შემუშავებული დისკურსის მიხედვით, თუკი სიამოვნების ყოველი ახალი ხე ისევე არის წარმატებებზე ორიენტირებული, როგორც წინა, გარდაუვალია კვლავ ახალი ხის აგებაზე ორიენტაცია. და ასე მუდამ, იქამდე, ვიდრე თქვენი ცხოვრება არ დამთავრდება.

მაგრამ, ბუდა გვთავაზობს წარმატების შემდგომი ცხოვრების ერთ ვერსიას – ჭვრეტით, სიმშვიდეში არებობას, როდესაც წარმატება აღარ არის მიზანი და როდესაც აცნობიერებ, რომ წარმატებისაკენ კიდევ ერთი სწრაფვა კიდევ ერთი, სიამოვნების ახალი ხის აგებით დამთავრდება.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ თუკი თქვენი მიზანი ბედნიერება, ჭვრეტით, სიმშვიდეში ცხოვრებაა, მაშინ ყველა ის თქვენი წინა მცდელობები, როდესაც სიამოვნების ხეს აგებდით და აღწევდით წარმატებას, ამ მდგომარეობისათვის მომზადებაა.

ამიტომ, თქვენი წარმატებული ცხოვრება ან ცხოვრებები,

სიმშვიდესა და ჭვრეტაში ცხოვრებისათვის მომზადება უნდა იყოს. ამ მომზადების პროცესის იმდენი ვერსია არსებობს, რამდენიც ადამიანია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუკი გინდათ, ბედნიერი იყოთ, წარმატების მიღწევა არის არა თქვენი მიზანი, არამედ, საშუალება, წარმატების მიღწევის შემდეგ გახდეთ ბედნიერი და დარჩენილი ცხოვრება ჭვრეტასა და სიმშვიდეში გაატარო.

ჭვრეტა და სიმშვიდეში ცხოვრება შეუძლებელი გახდება, თუკი თქვენ, თქვენი ცხოვრების დასაწყისში ის ოთხი კითხვა არ დაუსვით საკუთარ თავს და არ იცხოვრეთ მიღებული პასუხების შესაბამისად. ეს ოთხი კითხვაა:

- რა მსიამოვნებს?
- რამდენად შეიძლება (რაზეა დამოკიდებული, რომ) ის, რაც მსიამოვნებს, იყოს მდგრადი და მეტ-ნაკლებად მუდმივი?
- რამდენად შესაძლებელია, რომ ის, რაც მსიამოვნებს, მივიღო სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად?
- რამდენად მაზიანებს ის, რაც მსიამოვნებს და რამდენად შესაძლებელია სიამოვნების მიღება ჩემ დაუზიანებლად?

ამ ოთხ კითხვაზე პასუხის გაცემით და სიამოვნების შესაბამისი ხის კონსტრუირებით თქვენ მოამზადებთ თქვენს მომავალ ბედნიერ ცხოვრებას წარმატების გავლით. თუკი კონკრეტული წარმატების მიღწევისას თქვენ ჩათვლით, რომ მიღწეული წარმატება არ არის საკმარისი ბედნიერი ცხოვრებისათვის, წარმატების კიდევ ერთ წრეს გაივლით.

გარდაუვალად წარმოიშობა კითხვა, რა არის ეს მომზადება? ცხადია, საკუთარი მომავალი ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფაა, მაგრამ – არა მარტო: თქვენ წარმატებას უნდა მიაღწიოთ გარემომცველი სამყაროსთვის მინიმალური შესაძლებელი ზიანის მიყენებით და მას შემდეგ, რაც ჩათვლით, რომ მზად ხართ ბედნიერების მდგომარეობაში შესასვლელად,

„გარეთ“ არ უნდა დაგრჩეთ რამე ან ვინმე, რამაც შეიძლება შეგანუხოთ, შეგაჯანჯლაროთ და გაიძულოთ, ისევე წარმატების წრებრუნვაში დაბრუნდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბედნიერება – ჭვრეტით და სიმშვიდეში ცხოვრება – გამორიცხულია.

შესაბამისად, რაც უფრო ადრე დაიწყებთ თვითრეფლექსიას, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ, მიაღწიოთ ბედნიერების მდგომარეობას. ეს არ ნიშნავს, რომ გვიან თვითრეფლექსიას არა აქვს შედეგი. უბრალოდ, გვიანი თვითრეფლექსიის, წარმატების მიღწევის შემდგომ თვითრეფლექსიის შემთხვევაში, თქვენ, სავარაუდოდ, უფრო მეტი მიყენებული და „გამოსასწორებელი“ ზიანი გექნებათ, ვიდრე ადრეული თვითრეფლექსიისას. ეს გამოსწორება, შეიძლება მიღწეული წარმატების ფარგლებში ვერ მოახერხოთ და კიდევ ერთი „სიამოვნების ხის“ აგება და წარმატების კიდევ ერთ წრეზე წასვლა დაგჭირდეთ. შესაბამისად, შეიძლება ვერც მოასწოროთ წარმატების წრეებიდან თავის დაღწევა და ბედნიერებაში ცხოვრება. ადამიანის ცხოვრება სასრულია და ხანდახან, უცაბედად სასრული.

საბოლოოდ, კიდევ ორი წარმოსახვითი ბიოგრაფია განვიხილოთ, იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ განსხვავება გვიან და ადრეულ თვითრეფლექსიებს შორის:

პირველი პერსონაჟი წარმატებული ადამიანია, რომელიც ჩვეულებრივად, საზოგადოებაში მიღებული წესების მიხედვით აღწევს დიდ წარმატებას და გადაწყვეტს, რომ ის მზად არის ბედნიერებისათვის. თვითრეფლექსიის, ანუ ოთხ კითხვაზე პასუხის გაცემისას ის აღმოაჩენს, რომ მის მიერ მიყენებული ზიანი დიდია, ბევრ ადამიანს ეხება და მისი ბედნიერება, ანუ ჭვრეტაში და სიმშვიდეში არსებობა შეუძლებელი იქნება, თუკი ამ ადამიანების ზიანი არ გამოასწორა. ამიტომ, პირველი პერსონაჟი გადაწყვეტს, რომ ახალ წარმატებას მიაღწიოს უკვე თვითრეფლექსიის გამოყენებით, შეამციროს წინა წარმატების

მიღწევის დროს მიყენებული ზიანი და შემდეგ თავი დააღწიოს წარმატებების წრეს და ჭვრეტაში და სიმშვიდეში გაატაროს დარჩენილი ცხოვრება. მოახერხებს პირველი პერსონაჟი ამის გაკეთებას? შეიძლება კი, შეიძლება არა. დრო უღმობელია. შეიძლება მისი ცხოვრება ისე დამთავრდეს, რომ ვერც მიაღწიოს იმ მომენტს, როდესაც წარმატებების წრიდან თავის დაღწევას შეძლებს.

მეორე პერსონაჟიც წარმატებული ადამიანია, მაგრამ, განსხვავებით პირველი პერსონაჟისაგან, მან ადრევე დაიწყო თვითრეფლექსია და საკუთარი დიდი წარმატების მიღწევის გზა თვითრეფლექსიის საშუალებით დაგეგმა. შედეგად, როდესაც მან წარმატებას მიაღწია და მოინდომა წარმატებების წრიდან გამოსვლა, მან ეს ადვილად მოახერხა, იმდენად მცირე და უმნიშვნელო ზიანი მიაღვა მისი მხრიდან მის გარემოს და გარემოცვას. მან ადვილად გააგრძელა ცხოვრება ჭვრეტა-სიმშვიდის გზაზე და არც ერთხელ არ დაბრუნებულა წარმატებების წრებრუნვაში.

შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, თუ რამდენად დაცული ხარტ მაშინ, როდესაც ბედნიერებაში იწყებთ ცხოვრებას? რამდენად დაცული ხარტ წარმატებების წრებრუნვაში დაბრუნებისაგან? პასუხია: არანაირად. თუკი პოლიტიკური და სოციალური, ანდა ბუნებრივი კატასტროფა ხდება, თქვენი გადასაწყვეტია, გამოხვალთ თუ არა სიმშვიდიდან და დაბრუნდებით თუ არა წარმატებების წრებრუნვაში, იმისათვის რომ სხვებს მიეხმაროთ. თუმცა თქვენი გამოცდილება, რომელმაც ერთხელ უკვე გამოგიყვანათ წარმატებების წრებრუნვიდან, იმის გარანტია იქნება, რომ უმეტესად სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ და, როგორც კი ამის საშუალება მოგეცემათ, დაბრუნდებით ჭვრეტისა და სიმშვიდის სამყაროში.

## მიტითაგული ლიტერატურა:

1. Binford, L. R., „Subsistence a key to the past.” In S. Jones, R. D. Martin, & D. Pilbeam (Eds.), *Cambridge Encyclopedia of Human Evolution*, 365–368. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
2. Bogdan Mincă, Heidegger’s Interpretation of the Platonic Cave Allegory and Theaetetus ( 1931/32) as an Early Indication of Kehre and Ereignis. eudia |Vol. 9 | Band 9 | 2015. p.9.
3. Burkett, J. P., & Young, L. J. „The behavioral, anatomical and pharmacological parallels between social attachment, love and addiction.” *Psychopharmacology (Berl)*. 224, 2012, 1-26.
4. C. D. C. Reeve, Plato on Friendship and Eros. 2016. <http://plato.stanford.edu/entries/plato-friendship/>;
5. Charles Higham, *The Earliest Farmers and the First Cities*, Cambridge University Press, 1974;
6. Chiara Frugoni, William McCuaig, *Banks, Buttons, and Other Inventions from the Middle Ages*, Columbia University Press, 2003;
7. Chong-Moon Lee, *The Silicon Valley Edge: A Habitat for Innovation and Entrepreneurship*, Stanford Univeristy press, 2000;
8. Cohen, S., Social Relationships and Health. *American Psychologist* 59, 2004, 676–684.
9. David Konstan, Aristotle on love and friendship. *Σχολη* vol. li. 2, 2008. p.212
10. David Konstan, Epicurus, Stanford Encyclopedia of philisiohy;
11. Drolet, G., Dumont, E. C., Gosselin, I., Kinkead, R., Laforest, S., & Trottier, J. F., „Role of endogenous opioid system in the regulation of the stress response.” *Progress in Neuro-*

- Psychopharmacology and Biological Psychiatry* 25, 2001, 729-741.
12. Easton, Stewart C., Roger Bacon and His Search for a Universal Science: A Reconsideration of the Life and Work of Roger Bacon in the Light of His Own Stated Purpose, New York: Columbia University Press, 1952;
  13. Ed Yong, Surprise! 20 Percent of Neanderthal Genome Lives On in Modern Humans, Scientists Find, National Geographic, January, 2014.
  14. Eisenberger, N. I., „The pain of social disconnection: examining the shared neural underpinnings of physical and social pain.” *Nature Reviews Neuroscience* 13, 2012, 421-434.
  15. Emily Sebastia (editor) Technology of the Medieval and Early Modern Worlds, Britannica Encyclopedia Publishing, 2016;
  16. Frances Knight, The Nineteenth-Century Church and English Society, Cambridge University Press, 1995;
  17. Gerard J. Hughes, Aristotle on Ethics, Routledge, 2001;
  18. H. Armstrong, The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy, Cambridge University press, 1967;
  19. Hannele Niemi, Jari Multisilta, Lasse Lipponen, Marianna Vitsou (Editors) Finnish Innovations and Technologies in Schools, Sense Publishers, 2014.
  20. Heidegger, Plato's doctrine of truth. In: Phenomenology and existentialism. New York, 1962. P. 269-270.
  21. Hermann Usener, Epicurea, 1877;
  22. Holden, J. E., Jeong, Y., & Forrest, J. M., „The endogenous opioid system and clinical pain management.” *AACN Advanced Critical Care* 16, 2005, 291-301.
  23. Howard Gardner, Multiple intelligences: New Horizons, New York, 2006;

24. Hsu, D. T., Sanford, B. J., Meyers, K. K. , Love, T. M., Hazlett, K. E., Wang, H., Ni, L., Walker, S. J., Mickey, B. J., Korycynski, S. T. Koeppe, R. A., Crocker, J. K., Langenecker, S. A., & Zubieta, J.-K., „Response of the  $\mu$ -opioid system to social rejection and acceptance.” *Molecular Psychiatry* 18, 2013, 1211-1217.
25. Hwa A Lim, Genetically Yours: Bioinforming, Biopharming, and Biofarming, world Scientific Publishing, 2002.
26. Joe Alper, Rethinking Neanderthals. Smithsonian Magazine. June, 2003.
27. John Dewey, Experience and education, International honour Society in education, 1998;
28. John Locke (1689) "Two Treatises of Government Property"
29. John Philippoussis, Heidegger and Plato's Notion of 'Truth'. Dialogue. Canadian Philosophical review. Cambridge University Press. September 1976 – Volume 15, Issue 03.
30. Jürgen Georg Backhaus (editor), The University According to Humboldt: History, Policy, and Future Possibilities, Springer, 2015;
31. Jürgen Habermas, The Structural Transformation of the Public Sphere, New York, Cambridge, Massachusetts, 1991;
32. Karl Marx, The Difference Between the Democritean and Epicurean Philosophy of Nature.
33. Kelley, A. E., „Ventral striatal control of appetitive motivation: role in ingestive behavior and reward-related learning.” *Neuroscience and Biobehavioral Reviews* 27, 2004, 365-377.
34. Kelley, A. E., Bakshi, V. P., Haber, S. N., Steininger, T. L., Will, M. J., & Zhang, M., „Opioid modulation of taste hedonics within the ventral striatum.” *Physiology and Behavior* 76, 2002, 365-377.
35. Khachaturian, H., Schaefer, M. K. H., & Lewis, M. E., „Anatomy



- and function of the endogenous opioid systems.” In A. Herz, A. H. Akil and E. J. Simon (Eds.), *Opioids*, 471-497. Berlin: Springer, 1993.
36. Lawrence Mensah Akwete, *Business Administration for Students & Managers*, Trafford, 2011;
  37. Le Merrer, J., Becker, J. A., Befort, K., & Kieffer, B. L., „Reward processing by the opioid system in the brain.” *Physiological Reviews* 89, 2009, 1379-1412.
  38. Leroy S. Rouner, *Loneliness*, University of Notre Dame Press, 1998;
  39. Letter: Thomas Jefferson to William Short.
  40. M. L. Dhawan, *Philosophy of Education*, ISHA books, 2005;
  41. Martianus Capella, *De nuptiis Philologiae et Mercurii*;
  42. Maulik, P. K., Eaton, W. W., & Bradshaw, C. P., „The role of social network and support in mental health service use: findings from the Baltimore ECA study.” *Psychiatric Services* 60, 2009, 1222-1229.
  43. Megan Poore, *Using Social Media in the Classroom: A Best Practice Guide*, Sage, 2011;
  44. Michael McCarthy, *Human-Neanderthal gene variance is involved in autism*, Medical Press, August 4, 2016;
  45. Monica Patrut, Bogdan Patrut (editors) *Social Media in Higher Education: Teaching in Web 2.0*, Information Science reference, 2013;
  46. Nicholas Orme, *Medieval Schools: From Roman Britain to Renaissance England*, Yale University press, 2006;
  47. Peter J. James, Nick Thorpe, I. J. Thorpe, *Ancient Inventions*. Ballantine Books, 1995;
  48. Plutarch, *Non posse suaviter vivi secundum Epicurum*;
  49. Rhys Carpenter, *Discontinuity in Greek Civilization*. Cambridge:

- Cambridge University Press, 1966;
50. Robert G. Strom, *Hot House: Global Climate Change and the Human Condition*, Praxis publishing, 2007;
  51. Robert W. Shumaker, Kristina R. Walkup, Benjamin B. Bec  
*Animal Tool Behavior: The Use and Manufacture of Tools by Animals*, John Hopkins University press, 2011;
  52. Rosenwald, Lawrence. "The Theory, Practice & Influence of Thoreau's Civil Disobedience". William Cain (editor). *A Historical Guide to Henry David Thoreau*. Cambridge: Oxford University Press, 2006;
  53. Stephen Gaukroger, *Francis Bacon and the Transformation of Early-Modern Philosophy*, Cambridge University Press, 2001;
  54. Sven Ove Hansson (editor), *The Role of Technology in Science: Philosophical Perspectives*, Springer, 2015;
  55. Gigi Tevzadze, David Mikeladze, Revaz Solomonias, Nikoloz Oniani, Zakaria Besarion Nanobashvili, Elena Zhuravleva, Irina BilaniSvili, Natalia Darchia, Mariam Eliozishvili, Mariam Gogichadze, Ann Kakabadze, Zurab Kakabadze, Lia Karalashvili, Nana Lortkipanidze, Tamar Lortkipanidze, Maia Meparishvili, Tengiz Oniani Jr., Zaal Kikvidze, *Linking autism and epilepsy to the research and artistic performance behaviors – experimental evidence and implications for human evolution theory*, 2015 (unpublished);
  56. Thomas S. Kuhn, *The Structure of Scientific Revolutions*, New York, 1962.
  57. Thomas M. Kavanagh, *Epicureanism across the French Revolution*. In: *Lucretius and Modernity*, Part of the series *The New Antiquity* pp 89- 101;
  58. Trezza, V., Damsteegt, R., Achterberg, E. M., & Vanderschuren, L. J. „Nucleus accumbens  $\mu$ -opioid receptors mediate social

- reward.” *Journal of Neuroscience* 31, 2011, 6362-6370.
59. Valentino, R. J., & van Bockstaele, E., „Endogenous opioids: The downside of opposing stress.” *Neurobiology of Stress* 1, 2015, 23-32.
60. Wise, R. A., „The role of reward pathways in the development of drug dependence.” *Pharmacology and Therapeutics* 35, 1987, 227-263.
61. Yapijakis, C. (2009). Hippocrates of Kos, the Father of Clinical Medicine, and Asclepiades of Bithynia, the Father of Molecular Medicine. *in vivo*, 23(4);
62. არისტოტელე, ნიკომახეს ეთიკა.
63. გიგი თევზაძე, დავით მიქელაძე, რევაზ სოლომონია, ზაზა კიკვიძე, მარტოხელა ნეანდერტალელი: ნეიროქიმიური ბალანსის ძიებაში, კადმოსი, 2013.
64. გიგი თევზაძე, სოციალური ქცევის ევოლუცია homo-მდე და შემდეგ, თბილისი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013;
65. დიოგენე ლაერტელი, გამოჩენილ ფილოსოფოსთა ცხოვრება.
66. ზაზა კიკვიძე, გიგი თევზაძე, ევოლუცია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015;
67. იმანუელ კანტი, მიშენ ფუკო, რა რის განმანათლებლობა, თბილისი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012;
68. პლატონი, ლისისი.
69. პლატონი, ნადიმი.
70. სიმონ ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბ., 1948;
71. ნმ. ავგუსტინე, აღსარებანი.